საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №73 (2773) ხუთშაბათი, 26 მარტი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პრეზიდენტი

## შეხვდა, ესაუბრა

## აღსანიშნავია ის საგრძნობი პროგრესი, რომელსაც საქართველომ მოკლე დროში მიაღწია

ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფებოდა ეუთოს, ევროკომისიის, ევროპის საბჭოს, გაეროს, სხვადასხვა სააგენტოების, დანიის ლტოლვილთა საბჭოს და სოროსის ფონდის წარმომადგენლობითი დელეგაცია. მათი ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, იძულებით ადგილნაცვალი პირების, საკანონმდებლო ბაზისა და საარჩევნო სისტემის მდგომარეობის შესწავლა და თანამშრომლობის სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრა.

24 მარტს აღნიშნული დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორი ჟერარ მტუდმანი, მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

– ჩვენ კარგად გვესმის, რომ დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის საგრძნობი პროგრესი, რომელსაც საქართველომ მოკლე დროში მიაღწია, – განუცხადა საქართველოს პრეზიდენტს ჟერარ მტუდმანმა.



იხ. მე – 2 გვ.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

## ეკოლოგია, ჯანმრთელობა, არჩევნები და...

## ერთი საათით უკან ევროპასთან დასაახლოვებლად

საბედნიეროდ, გარემოზე ადამიანის საქმიანობის უმძიმესი გავლენის აშკარა ნიშნების მიუხედავად, საქართველოს უნიკალურმა ბუნებამ ჯერჯერობით შეინარჩუნა თავისი პირველქმნილი სახე და, მამასადამე, წარმოადგენს სიმდიდრეს, რომლის შეფასება შეუძლებელია. მას არ დაუკარგავს უნარი, ანიჭებდეს ადამიანს ბუნებრივი სამყაროსაგან განუყოფლობის სიხარულს. ხომ ფაქტია, რომ დედამიწის ბევრ რეგიონში ეს ბუნებრივი სამყარო ადამიანებისათვის იმდენად მტრული გახდა, რომ ისინი იძულებულნი არიან გაემიჯნონ მას მათთვის ხელმისაწვდომი ყოველგვარი საშუალებებით. ასეთი ურთიერთგაუცხოების თავიდან აცილების გზაზე გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კანონპროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, რომელიც განიხილეს 24 მარტს გამართულ ქვეყნის მთავრობის მორიგ სხდომაზე, რომელსაც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავმჯდომარეობდა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, კანონპროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის იმ უფლების პრაქტიკულ განხორციელებას, რომ ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ამ ბუნებრივი გარემოთი. კანონპროექტის მიზანია გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის, მისი თვისებრივი შედგენილობის, საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების თანაფარდობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სამართლებრივი უზრუნველყოფა და სხვა.

მთავრობამ მოიწონა კანონპროექტი, ამავე დროს ითქვა, რომ საჭიროა, დამუშავდეს ეკოლოგიური განათლების საკითხი, რათა თითოეულმა მოქალაქემ მონახოს თავისი ადგილი დედამიწის ეკოსისტემის დაცვის საქმეში.

განიხილეს კანონპროექტი „საკრებულოს არჩევნების შესახებ“, რომელიც წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მმართველობის სამსახურის ხელმძღვანელმა ბადრი ხატიძემ. ამ პროექტის მნიშვნელობა ძნელია, გადაჭარბებით შევაფასოთ. როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებით ფაქტობრივად დამთავრდება ძველი სისტემის დემონტაჟი, მისი შემუშავებისას გულდასმით იყო შესწავლილი საქართველოში მოქმედი საარჩევნო კომისიების საქმიანობის პრაქტიკა, არსებული საარჩევნო სისტემების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, აგრეთვე, მთელი რიგი განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსახლეობაში უნდა მოეწყოს ფართო განმარტებითი მუშაობა კანონპროექტის დებულებათა გასაცნობად. მომავალმა არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების შეკავშირებას და პოლიტიკური თვალსაზრისით დაპირისპირებული ძალების შერიგებას, რათა ისინი ერთნაირი აქტიურობით ჩაებნენ თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში.

იხ. მე – 2 გვ.

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 20 მარტი ქ.თბილისი

**დ. ხუბელაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის, ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ქართული პოეზიის უბადლო დეკლამატორი, ისრაელის გ. ბააზოვის სახელობის ქართულენოვანი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი **დავით ხუბელაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 20 მარტი ქ.თბილისი

**მ. ბლიაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **მურმან ბლიაძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

ღირსეულნი

## კეთილ საქმეთა მოთავე



ქართველი და ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მეგობრობას, ალბათ, დავით ხუბელაშვილისნაირი ადამიანები განამტკიცებდნენ წარსულში და აღუღაბებენ დღესაც. აგერ უკვე ოცდაექვსი წელიწადია, რაც იგი ისრაელის მოქალაქეა და იქ დასახლების დღიდან მისი ფიქრი მაინც ქართულ საქმეს დასტრიალებს, ქართული თეატრალური ხელოვნებისა და პოეზიის ქომაგი და მსახურია ისრაელში.

იხ. მე – 10 გვ.

პარლამენტის თავმჯდომარე

## სამი დღე — მომავლისათვის

გუშინ მუშაობა დაასრულა საქართველოს პირველმა ალტერნატიული პარლამენტის საგაზაფხულო სესიამ.

გუშინვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ალტერნატიული პარლამენტის ბიუროს წევრებს შეხვდა. ახალგაზრდებმა პარლამენტის თავმჯდომარეს სესიის პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს და გააცნეს სამი დღის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები.

„დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ უკეთ გააცნობიერეთ, როგორ უნდა მიაღწიოთ წარმატებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ღირსება უპირველესი ფასეულობაა და მე იმედი მაქვს, რომ ალტერნატიული პარლამენტის მუშაობის პროცესში თქვენ უფრო ღრმად გაერკვიეთ დემოკრატიული მიდგომების არსში და მას, რაც დღეს თამაშის წესად შეითვისეთ, ხვალ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ნორმად დაამკვიდრებთ“, – განაცხადა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ახალგაზრდებთან საუბარში. მანვე იმედი გამოთქვა, რომ ალტერნატიული პარლამენტის პირველი მოწვევის დეპუტატები, განაზოგადებენ თავიანთ გამოცდილებას, რაც მომავალი მოწვევის პარლამენტართათვის საბაზო გამოცდილება იქნება. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ახალგაზრდებს წარმატებულად ჩატარებული სესიის დასრულება მიულოცა.

პარლამენტის პრესსამსახური.

ქვეყანა

## რამდენიმე ფაქტი ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან

1977 წელს, თუ არ ვცდები, მარტის ბოლოს, როდესაც ზ. გამსახურდია მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, ღამის 9-10 საათზე შევიკრიბეთ მე, მერაბ კოსტავა, მწერალი გივი მაღულარია და ზვიად გამსახურდია. ამ უკანასკნელის „კოლხოზნიკით“ მივადექით ვიქტორ რცხილაძის სახლს. იგი გარეთ გამოვიდა და ქუჩაში დავიწყეთ „საქმის გარჩევა“.

იხ. მე – 3 გვ.

დასაწყისი იხ. „სრ“ №71-72.

## ისტორია და თანამედროვეობა

საკითხი მოსკოვში რუსული და სომხური მოვინისტური ინტერესების სასარგებლოდ გადაწყდა, ოღონდ ერთი არსებითი კორექტივის მეტანით: იმ დროის დოკუმენტების ენით რომ ვთქვათ, სპეცგასახლებისათვის გამზადებული მუსულმანური კონტინგენტი, მართალია, რელიგიური ნიშნით გაასახლეს, მაგრამ აჭარელთა გასახლებისგან გადასარჩენად, გასასახლებელი მუსულმანები ეთნიკური ნიშნით დაყვეს და, ამ გზით, აჭარლები, როგორც ქართველები, სპეცგასახლების კონტინგენტიდან გამოირიცხნენ. ეს იყო მაქსიმუმი, რაც საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ შესძლო.

იხ. მე – 3 გვ.

დასაწყისი იხ. „სრ“ №71-72.

კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 23 მარტი ქ.თბილისი

**ნ. ჯავახიშვილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს **ნოდარ ჯავახიშვილი** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იმის გამო, რომ იგი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 23 მარტი ქ.თბილისი

**ი. მანაგაძის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **ირაკლი მანაგაძე** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

ე. შევარდნაძე.

ინფორმაცია

### ინვესტორს ურჩიეს იჩქაროს

25 მარტს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა ბელგიის კომპანიის „ტრაქტებელ ელექტრიტი ენდ ინტერნეიშნლის“ აღმასრულებელ ვიცეპრეზიდენტს ჟან-პიერ მეკენ უილემერსს. საუბარი შეეხო საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებისა და გაზსადენის საკითხებს.

„ტრაქტებელის“ წარმომადგენელმა წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოში აშენდეს კომბინირებული გაზის ელექტროსადგური, რომელიც თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალებას მოგვცემს.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი პროექტების მნიშვნელობა. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების პოზიცია გაზსადენის მრავალვარიანტიანობასთან დაკავშირებით და ურჩია „ტრაქტებელს“, დააჩქაროს ამ პროექტის განხორციელება, რადგან ამით ბევრი დიდი კომპანია არის დაინტერესებული.

### ეროვნული თანხმობა – ტერიტორიული მთლიანობის გარანტიაა

ეროვნული შერიგების გარეშე საქართველოს მომავალი არა აქვს, განაცხადა 25 მარტს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარემ ბაკურ გულუამ. როგორც მან აღნიშნა, სწორედ ამის დეფიციტი გახდა ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელსაც მოჰყვა სამოქალაქო ომი, ტერიტორიული დაქუცმაცება, სოციალური და ეკონომიკური კრიზისი. დღეს ქართველებმა, აფხაზებმა, ოსებმა ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა ერთად უნდა ეძებონ ჩიხიდან გამოსვლის გზები.

საქართველოს რეფორმატორთა კავშირი თავის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიც არის კრიზისის დაძლევა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისთვის ისტორიული როლის დაბრუნება საერთაშორისო ასპარეზზე და, უწინარესად, კავკასიაში. აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში კავშირის, როგორც მედიატორის, ინიციატივა მოიწონა საქართველოს პრეზიდენტმა. ყველაზე რადიკალური ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან კონტაქტებმა დაადასტურა, რომ ისინიც გაგებით ეკიდებიან ამ პროცესს.

### სხვებიც ასე აფასებენ

შვეიცარიის კურორტ კრან-მონტანაში დასრულდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ნავთობის ტრანსპორტირების საკითხებს მიეძღვნა. კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ყველაზე პერსპექტიულ მარშრუტად მიჩნეულია საქართველო-სუფსის ნავთობსადენი.

როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენელმა კონფერენციაზე განაცხადა, თითქმის მზად არის სუფსის ტერმინალი და წლის ბოლოსათვის შესაძლებელი გახდება ნავთობსადენის ამოქმედება.

### იქნება თუ არა დსთ?

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ, ამჟამად, მიმდინარეობს კონსულტაციები დსთ სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მორიგი სხდომის თარიღის დადგენის თაობაზე. ხდება კორექტირება იმ დოკუმენტებისა, თუ მოხსენებისა, რომელიც დსთ სამდივნოს უფროსმა ივანე კოროტჩენიამ უნდა წარუდგინოს სამიტის მონაწილეებს. ეს იქნება ანალიტიკური მასალა, რომელშიც მოცემული იქნება დსთ სახელმწიფო მეთაურთა მოსაზრებანი თანამეგობრობის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველო ამ სამიტზე კელავინდებურად აპირებს აფხაზეთის საკითხის მკაცრად დასმას.

### „ვინმე ქეცბა“ კომპრომისს უარყოფს

„იბერიის“ კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან აცნობეს, რომ აფხაზური მხარე ჯერჯერობით აღარც განიხილავს საქართველოს წინადადებას გალის რაიონში ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნის თაობაზე. აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო საბჭოში, რომელიც ჟენევის პროცესის ფორმატში შეიქმნა, ვინმე ქეცბამ განაცხადა, რომ აფხაზური მხარე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნაზე, ვინაიდან გალის რაიონი აფხაზეთის განუყოფელი ნაწილია.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“.**

სასამართლო

## სოლიკო ხაბეიშვილს წინასწარ უთვალთვალებდნენ

### მეორედ აღარა სთქვათ!

წინა დღეს სოლიკო ხაბეიშვილის მეუღლეს გიული ურუშაძეს აივნიდან გადმოუხედავს და ეზოში ორი ჩაცუცქული უცნობი შეუმჩნევია. ერთ-ერთი, ქერათმიანი, ხმელ-ხმელი, ყავისფერი პერანგით, წამომდგარა და მისალმებია კიდეც. ყურადღება არც მიუქცევია, ჩვეულებრივ ამბად ჩაუთვლია...

მეორე დღეს კი... 1995 წლის 20 ივნისს სოლიკო ხაბეიშვილი საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან მაუზიანი „მაკაროვით“ მოკლეს. მოკლეს მისი მძღოლი აკაკი დალაქიშვილიც. საბრალდებო დასკვნით, მათი მკვლელობა ჩაიდინეს გოჩა თედიაშვილმა და გოჩა გელაშვილმა. პროცესზე დაზარალებულის სახით მოწვეულმა გიული ურუშაძემ განაცხადა:

იხ. მე – 10 გვ.

უკანასკნელ საათს

დღეს მოსკოვში იწყება სამი ქვეყნის – რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების ბორის ელცინის, ჟაკ შირაკისა და ჰელმუტ კოლის არაფორმალური, „უჰალსტუხო“ შეხვედრა, რომელიც, იმედოვნებენ, ტრადიციული გახდება.

წუხელ მაღალი სტუმრების თვითმფრინავები ვნუკოვოს აეროპორტში დაეშვა.

პარალელურად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს რუსეთის ახალი მთავრობის კანდიდატების შერჩევა. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ვაკანტური ადგილების ნახევარზე მეტს ძველი გუნდის წევრები დაიკავებენ.

გუშინ ბორის ნემცოვმა „უოლსტრიტ ჯორნელის“ რედაქციას განუცხადა, რომ ჩერნომირდინისა და ჩუბაისის წასვლით რუსეთის მთავრობა ოლიგარქების გავლენისაგან გათავისუფლდა.

დედაქალაქი

## გვიყვარდეს...

**მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის ინიციატივით მესამე კვირაა დედაქალაქის საგაზაფხულო დასუფთავების აქცია გრძელდება, რომელმაც კუს ტბის, ზოოპარკის, მზიურ-ქალაქის ტერიტორიები მოიცვა.**



ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

მზიური-ქალაქი რომ სერიოზული პრობლემების წინაშე დგას – ეს სიახლე არაა. ნოდარ დუმბაძის იდეა, თბილისში დასვენების, გართობისა და ფიზიკური გაჯანსაღების ქალაქი დაარსებულიყო, თითქოს ნაწილობრივ განხორციელდა. ამისათვის დაიხარჯა თანხები, ენერგია... დღეს კი გულდასაწყვეტია, იმდენად დიდია დაუდევრობა და გულგრილობა მზიური ქალაქისადმი, რომელიც ნაგავსაყრელს უფრო ჰგავს, ვიდრე დუმბაძისეულ ნაოცნებარს.

სწორედ ამ პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად ახალგაზრდები გულმოდგინედ ასუფთავებდნენ „მზიურის“ ტერიტორიას.

– არ შეიძლება მზიურ-ქალაქი ასე ხვდებოდეს გაზაფხულს. თუ თითოეული თბილისელი არ გაუფრთხილდება ქალაქის იერსახეს, ამ საკითხს მარტო მუნიციპალიტეტი ვერ აუვა, ასეთია აქციის ორგანიზატორთა აზრი.

მართლაც, ეს ხომ ბუნებრივია – იზრუნო იმ ქალაქზე, სადაც ცხოვრობ, სუნთქავ, სადაც ჩვენმა შვილებმა უნდა იარონ. ამისათვის კი უბრალო რამ არის საჭირო – გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი...

მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის მიერ ორგანიზებულ აქციაში მონაწილეობდნენ ალტერნატიული პარლამენტის წევრები, პარლამენტარები ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირიდან“.

დასუფთავების შემდეგ, მზიურ-ქალაქის ტერიტორიაზე ღონისძიების მონაწილეებმა 500 ძირი ნაძვი და იასამანი დარგეს.

ლელა დონაძე.

დღეს

ამინდი



**დასავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა. უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 10-15, დღისით ზემო იმერთსა და კოლხეთის დაბლობზე 17-22 მეტრი წამში.

ბარში: ღამით -2 +3; დღისით +10 +15

მთაში: ღამით –1 –6; დღისით +6 +11;

მაღალ მთაში: ღამით -8 -13; დღისით +2 +7.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. სუსტი ქარი.

ბარში: ღამით 0 +5; დღისით +8 +13;

მთაში: ღამით -7 -12; დღისით +3 +8;

მაღალ მთაში: ღამით -12 -17; დღისით 0 +5.

**თბილისში**

ღამით: -1 -3; დღისით +10 +12.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

დღეს ვაქვეყნებთ

საქართველოს კანონს საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ

საქართველოს კანონს „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხვალ გამოქვეყნდება

საქართველოს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ

პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

# აღსანიშნავია ის საგრძნობი პროგრესი, რომელსაც საქართველომ მოკლე დროში მიაღწია

დელეგაციის სახელით მან კმაყოფილება გამოთქვა ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, საერთო სტაბილურობისა და კონფლიქტების მოწესრიგებისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების გამო. საქართველო რეგიონის პირველი ქვეყანაა, სადაც სახალხო დამცველის ინსტიტუტი დამკვიდრდა და ჩვენ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს ამ ჭეშმარიტად დემოკრატიული მონაპოვრის განვითარებას, — აღნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელმა. მისი განცხადებით, ეუთო, სხვა ევროპული და საერთაშორისო სტრუქტურები მზად არიან დაეხმარონ ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესის წარმატებით განვითარებაში. კერძოდ, იმისათვის, რომ კანონები ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისათვის, დაფუძნდება სპეციალური ჟურნალი, სახალხო დამცველის ინსტიტუტის, სამართალდამცავი ორგანოების, განვითარების, არჩევნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა და სხვა.

საგრძნობი შედეგების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს არაერთი გადაუჭრელი პრობლემა. დელეგაციის მონაწილეთა განცხადებით, დროულ და საფუძვლიან მოწესრიგებას მოითხოვს სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესება და თითქმის ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი უმწვავესი პრობლემის — კორუფციის აღმოფხვრა.

მეხვედრაზე იმსჯელეს ასევე კონფლიქტის ზონებში არსებულ ვითარებაზე და იძულებით ადგილნაცვალი პირების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შესახებ. ევროპული ორგანიზაციების წარმომადგენლების დაკვირვებით, შერიგებისა და ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, ბევრი გაკეთდა ცხინვალის რეგიონში. მათ გამოთქვეს მზადყოფნა კვლავაც შეუწყონ ხელი როგორც მშვიდობიანი მოწესრიგების შემდგომ განვითარებას, ასევე დევნილი მოსახლეობის ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებასა და კონფლიქტის კერების რეაბილიტაციას.

საქართველოს პრეზიდენტმა სრულად გაიზიარა დელეგაციის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებები, მადლიერებით აღნიშნა ევროპისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის განვითარებას. ედუარდ შევარდნაძის აზრით, მიზანშეწონილი იქნება სოხუმში არსებული ეუთოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი ოფისის საქმიანობის შემდგომი გააქტიურება.

დელეგაციის წევრები საბოლოო ანგარიშს მესწავლილი მონაცემების მიხედვით თავიანთ ორგანიზაციებში წარადგენენ. აპრილში დაგეგმილია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ვიზიტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

# „ტუგუ“ და „თი-არ-ბი“ სადაზღვევო სფეროში თანამშრომლობას გვთავაზობენ

ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო სისტემის განვითარებასა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე იმსჯელეს 25 მარტს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ მეხვედრაზე ინდონეზიის სადაზღვევო კომპანია „ტუგუს“ პრეზიდენტმა სონი დუაი პარსონომ და ბრიტანული სადაზღვევო-საკონსულტაციო კომპანია „თი-არ-ბის“ პრეზიდენტმა საიმონ ქართრაიტმა.

„ტუგუ“ თავის ბრიტანულ პარტნიორ „თი-არ-ბისთან“ ერთად ნავთობისა და გაზის სექტორში მომუშავე უდიდესი საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის დაზღვევას უძღვება. მათ მორის აღსანიშნავია ისეთი ცნობილი სანავთობო გიგანტები, როგორიცაა: „შევრონი“, „მელი“, „არკო“, „ექსონი“ და მრავალი სხვა.

ინდონეზიისა და ბრიტანეთის კომპანიების ხელმძღვანელებმა გამოთქვეს მზადყოფნა განავითარონ ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო სისტემა, მოამზადონ შესაბამისი კვალიფიციური კადრები და ჩამოაყალიბონ ერთობლივი საწარმო. აღსანიშნავია, რომ „ტუგუსა“ და „თი-არ-ბის“ პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე საქართველოში მოლეაწე, როგორც ნავთობისა და გაზის სექტორის, ასევე სხვა სფეროების კომპანიათა საქმიანობის დაზღვევა.

• • •

იმავე დღეს ინდონეზიისა და ბრიტანეთის კომპანიების პრეზიდენტები მიიღო სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

განიხილეს სადაზღვევო კომპანიების სამომავლო გეგმები საქართველოსთან მიმართებაში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# ეკოლოგია, ჯანმრთელობა, არჩევნები და... ერთი საათით უკან ევროპასთან დასაახლოვებლად

მთავრობამ მოისმინა და მოიწონა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ანგარიში ჯანმრთელობის დაცვის 1997 წლის სახელმწიფო („ცენტრალური“) პროგრამების მესრულების, საქართველოს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის მიერ გაწეული მუშაობისა და ამ პროგრამების დაფინანსების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ძალიან ძნელი გამოცდა ჩააბარა სისტემის რეფორმის განხორციელების პროცესში. ამჟამად ამ სისტემას უკვე აქვს დაფინანსების წყაროები, მეძენილია გარკვეული გამოცდილება. ახლა მწვავედ დგას პრეპარატების საკითხი, თუმცა, მათი დეფიციტის პრობლემა უკვე მოხსნილია, საქართველოს აქვს რესურსები, რათა თავად მოაგვაროს მათი წარმოება. აქ საჭიროა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაიწყოს მუშაობა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ვერაეითარი წამლები თუ მედიკოსთა პროფესიული ოსტატობა ვერ გვიშველის, თუ ხალხმა თავად არ იზრუნა საკუთარ ჯანმრთელობაზე. აქ უკვე არის საინტერესო წამოწყებანი საქართველოს ტელევიზიამი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ეს პრაქტიკა უნდა გაფართოვდეს.

სამინისტროს საქმიანობის შეფასებისას, ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიესალმა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მუშაობას, სადაც ყველა აღიარებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ავტორიტეტს. სწორედ ეს უწყება უნდა შევიდეს პირველი აფხაზეთშიც, მიაჩნია პრეზიდენტს.

მოიწონეს პროექტი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებისა იმის შესახებ, რომ განხორციელდეს სააქციო საზოგადოების „ფოთითევზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის პრივატიზაცია პირდაპირი გაყიდვის წესით. მიღებულია დროისა და სიხშირის სახელმწიფო სამსახურის წინადადება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დეკრეტული დროის გაუქმებისა და გეოგრაფიული სარტყელის (ასტრონომიული) დროის შემოღების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 1998 წლის 29 მარტს, 03 საათზე საათის ისრები ერთი საათით უკან უნდა გადავწიოთ.

მოისმინეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის ინფორმაცია 1997 წლის სპორტული შედეგების შესახებ. ითქვა, რომ სერიოზული ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმა მარჯან საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს საერთაშორისო ასპარეზზე. ამავე დროს დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დგას სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი. აქ უნდა გამოვიყენოთ მთელი არსებული რეზერვები. შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის მეთაურობით დაევალათ ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაონ შესაბამისი წინადადებანი და წარადგინონ განსახილველად. მათ მორის უთუოდ მთავარია ლატარიათა გათამაშების ექსკლუზიური უფლების მიცემა სპორტის დეპარტამენტისათვის, როგორც ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სახსრების მოზიდვის საშუალება.

ინფორმაცია, რომელიც გააკეთა სხდომაზე სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ, სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა პეტრე მამრაძემ, ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის აქტებისა და დავალებების მესრულების მდგომარეობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებისა თუ განკარგულების შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს უმკაცრესი შედეგები იქამდეც კი, რომ დაისვას სახელმწიფო მოხელეთა დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი. მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის გარეშე ნებისმიერი რეზოლუცია ხდება რაღაც სიმბოლო, რომლის უკან არ დგას კონკრეტული საქმე, კონკრეტული მუშაობა.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

თენგიზ გრიგალაშვილი, საქინფორმის კორ.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს პრეზიდენტის

## ბრძანებულება

1998 წლის 25 მარტი ქ. თბილისი

### საქართველოს ტერიტორიაზე სასარტყელო-გეოგრაფიული (ასტრონომიული) დროის შემოღების შესახებ

1. მიღებულ იქნეს დროისა და სიხშირის სახელმწიფო სამსახურის წინადადება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დეკრეტული დროის გაუქმებისა და სასარტყელო-გეოგრაფიული (ასტრონომიული) დროის შემოღების შესახებ.

2. 1998 წლის 29 მარტს, 03 საათზე მოხდეს საათის ისრების გადაწევა ერთი საათით უკან.

3. რეკომენდაცია მიეცეთ სამინისტროების, უწყებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუშაობა დაიწყონ 09 საათზე.

ე. შევარდნაძე.

## დახმარება. მაგრამ არა კონტრიბუცია

ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ძასოხოვმა მოუწოდა საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს, განაახლონ მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის აღდგენის თაობაზე. ძასოხოვის თქმით, ჯერ კიდევ 1994 წელს რუსეთსა და საქართველოს მორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ცხინვალის რეგიონის ეკონომიკის აღდგენის თაობაზე. რუსეთმა გარკვეულად შეასრულა ეს პირობა, ქართული მხარე აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონისათვის თანხების გამოყოფა საესებით შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ბიუჯეტის ფარგლებში და იმ შემთხვევაში, თუ ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ხელისუფლება მიიღებს მონაწილეობას საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტის განხილვაში. მაგრამ თუ ცხინვალის ხელისუფლებას სურს, საქართველომ თანხები კონტრიბუციის სახით გამოყოს და დახმარება გაუწიოს ცხინვალის რეგიონს, როგორც სხვა სახელმწიფოს, ეს არასდროს მოხდება, ვინაიდან საქართველო ამგვარ პირობას არასოდეს დათანხმდება.

გარდა ამისა, სახსრების გამოყოფის წინაპირობას ცხინვალის რეგიონში ქართველი ლტოლვილების დაბრუნება წარმოადგენს.

## მარტოხელა პენსიონერებს ვალს გადაუხდიან

პენსიონერებისათვის სასიამოვნო ახალი ამბავია, რომ ფინანსთა სამინისტროს, ბოლოს და ბოლოს, გაუჩნდა სახსრები დახმარებისათვის და უკვე მიმდინარე თვის ვალის ფული ადრესატებს მიუვათ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან სოციალური დახმარების ფორმა და მისამართები შეიცვალა. ახლა ამ დახმარებას მიიღებენ მხოლოდ უმუშევარი მარტოხელა პენსიონერების ოჯახები, რომლებსაც არა ჰყავთ კანონით გათვალისწინებული მარჩენალი, 9 ლარი — ერთ კაცზე თითოეულს, შვიდ-შვიდი ლარი, თუ ოჯახში ორი პენსიონერია, და ხუთ-ხუთი ლარი, თუ ოჯახი სამი და მეტი წევრისაგან შედგება.

ფინანსთა სამინისტრო გვპირდება, რომ წლის განმავლობაში დაფარავს სოციალური დახმარების დავალიანებას, რომელიც პენსიონერებმა ვერ მიიღეს მარჯან.

## დარეკეთ ცხინვალში და ცხინვალიდან

ცხინვალელები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში კვლავ ამოქმედდება კოდები, აღდგება ზონური ავტომატური სატელეფონო კავშირები. არხების რიცხვი სამჯერ გაიზარდა. მოსახლეობას საშუალება მიეცემა ბინებიდან დაუკავშირდეს დსთ ყველა ქვეყანას. ცხინვალში კი კოდით დარეკვა თბილისიდან უკვე შეიძლება.

მალე დამონტაჟდება ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური 120 ნომერზე, რაც საშუალებას აძლევს აბონენტებს, დაუკავშირდნენ მსოფლიოს 100 სახელმწიფოს, უახლოეს ხანში მწყობრში ჩადგება ციფრული სატელეფონო კავშირის სადგური 100 ნომერზე.

## მწვანეები პროტესტს გამოთქვამენ

საქართველოს მწვანეთა პარტიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი ჭოროხზე ტურკეთის კამხლისა და ამ მდინარის აუზში დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ, რადგან ეს შექმნის მთელ რიგ პრობლემებს ადგილობრივ ეკოსისტემასა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

## პრემიერა „მეგობრობის თეატრში“

ხვალ, 27 მარტს, 17 საათზე, თეატრის მოღვაწეთა კავშირთან არსებულ „მეგობრობის თეატრში“ გაიმართება ფედერიკო გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას ოჯახის“ პრემიერა.

დამდგმელი რეჟისორია ლერი პაქსაშვილი, მხატვარი — მალხაზ კუხაშვილი, მუსიკალურად გააფორმა დავით ტურიაშვილმა. მონაწილეობენ: ლილი ჭეიშაძე, მზია მახვილაძე, ნათელა მიქელაძე, თამილა ლასხიშვილი, ზანდა იოსელიანი, ნანა შაშიაშვილი, ლოლო ბერიაშვილი, ნათელა გოდერძიშვილი, მარინა ბელაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, თამუნა ადამია, ქეთევან აბულაძე.

სპექტაკლები 28 და 29 მარტსაც გაგრძელდება აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“.

# საქართველოს კანონი

## „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

**მუხლი 1**

1. „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 21 თებერვლის კანონის დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი განაკვეთები:

1. პარლამენტის თავმჯდომარე — 190 ლარი
2. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი — 185 ლარი
3. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე — 180 ლარი
4. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის მდივანი — 175 ლარი
5. პარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე — 170 ლარი
6. პარლამენტის წევრი — 165 ლარი

2. საქართველოს პარლამენტის წევრს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად ყოველთვიურად ეძლევა საკომპენსაციო თანხა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით, რომელიც საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

3. საქართველოს პარლამენტის წევრს მიეცემა პრემია პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

**მუხლი 2**

1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 21 თებერვლის დადგენილების მე-3 პუნქტი.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება.

3. ამ კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი განაკვეთებით გათვალისწინებული ანაზღაურება მოხდეს 1998 წლის 1 მარტიდან.

**მუხლი 3.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 5 მარტი.

პარლამენტი

# აგრესია და ცინიზმი — რუსეთის პოლიტიკის თანდაყოლილი თვისება

საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს. ის „მანქანა“, რომლის ამოქმედებითაც რუსეთი კარგა ხანს გვემუქრებოდა, უკვე მწყობრში მოიყვანეს, — განაცხადა აჭარაში მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა.

საუბარია საქართველოს სულ უფრო მზარდ საერთაშორისო ავტორიტეტზე, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ეს კი, ბუნებრივია, რუსეთის „განრისხებას“ იწვევს, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ევროსაბჭოს სრულუფლებიან წევრად საქართველოს მიღების რეალური მანსი გაჩნდა. ასევე, უახლოეს ხანებში დაგეგმილია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩვენი გაწევრიანება, რის შემდეგაც უკვე ველარავინ შეძლებს დსთ საბაჟო კავშირში ჩვენს გაწევრიანებას (თუნდაც იძულებით), და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია — საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანის პერსპექტივა. ამ უკანასკნელმა ხომ რუსეთის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ წრეებს მოსვენება დაუკარგა.

„დიდ მეზობელს“ კი, ჩვენთვის საქმის გასაფუჭებლად, ცენტრსა და რეგიონებს მორის ურთიერთობის დაძაბვის ხერხი კარგად აქვს აპრობირებული. მიხეილ სააკაშვილი ამ დღეებში ბათუმსა და თბილისს მორის დაწყებული „ორთაბრძოლის“ ინიციატორად სწორედ რუსეთს მიიჩნევს.

თუმცა, მისივე აზრით, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის ლიდერი, რომელიც შეეცდება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ რუსეთის კოზირი გაათამაშოს, უეჭველად დამარცხდება. მართალია, ადრე ასეთი „ხრიკები“ გასდიოდათ, მაგრამ ახლა დრო შეიცვალა და საქართველო ისეთი სუსტი აღარ არის, ადრე რომ იყო.

ამ ბოლო ხანებში აჭარის თემის წინ წამოწევის პარალელურად, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „რესპუბლიკებიც“, უფრო სწორად, მათი ლიდერები გააქტიურდნენ, რაც საერთაშორისო დონის შეხვედრებზე მათი მონაწილეობით გამოიხატება. ამას კი თან დაერთო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის სატელევიზიო უკბილო ხუმრობა, რუს ჯარისკაცს რომ ჰკითხა — ეს ნაღმსატყორცნი ჯავშნიან „მერსედესს“ თუ ანადგურებსო, რითაც მან 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ თავდასხმაში თავისი ქვეყნის „წვლილი“ აღიარა. როგორც მიხეილ სააკაშვილი თვლის, ეს რაიმე დანაშაულის უბრალოდ აღიარება კი არ არის, არამედ პრიმაკოვის სატელევიზიო „განცხადება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი მუქარით“.



რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს, იგი როგორც მისი ხელისუფლების წარმომადგენლების ცინიკური განცხადებებით, ისე პრაქტიკული მოქმედებებითაც გამოიხატება, — დასძენს მიხეილ სააკაშვილი.

ბექა ჟღენტი.

# საქართველოს კანონი

## საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საწარმოთა ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის ზოგად პრინციპებს, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, რესტრუქტურიზაციის თაობაზე წინადადებების წარდგენის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების წესს საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი გადახდისუნარიანობის ამაღლების მიზნით.

**მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინები**

კანონში გამოყენებული ტერმინები:

ა) საწარმო — „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო;

ბ) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება — საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების მიხედვით წარმოქმნილი დავალიანება, რომელიც გადახდილი არ არის შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

გ) გადახდისუუნარობა — დადგენილ ვადაში საწარმოს მიერ საგადასახადო დავალიანების სრულად დაფარვის შეუძლებლობა;

დ) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია — ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების, ჯარიმებისა და მათზე დარიცხული საურავების გაყინვა და/ან გადავადება ამ კანონით დადგენილი წესით;

ე) დავალიანების გაყინვა — ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გადახდის შეჩერება განსაზღვრული ვადით;

ვ) დავალიანების გადავადება — ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების მიმართ საგადასახადო ვალდებულების განვადება;

ზ) საწარმოს რესტრუქტურიზაცია — საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი.

**მუხლი 2. ზოგადი დებულებანი**

1. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ამ კანონით განსაზღვრული წესით.

2. ამ კანონით დადგენილი წესი ვრცელდება 1998 წლის 1 იანვრამდე არსებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებებზე.

3. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის უფლება საწარმოს ეძლევა მხოლოდ გადახდისუუნარობის შემთხვევაში და მხოლოდ ერთხელ.

4. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა გაყინვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

5. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება შეიძლება გადავადდეს არა უმეტეს 24 თვით (გაყინვის პერიოდის დასრულებიდან).

6. რესტრუქტურიზებულ დავალიანებას გაყინვის პერიოდში საჯარიმო სანქციები და პროცენტები არ ერიცხება.

7. რესტრუქტურიზებულ დავალიანებას გადავადების პერიოდში გადაუხდელ თანხაზე ყოველთვიურად ერიცხება 0,5 პროცენტი.

**მუხლი 3. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხს სწავლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობას და დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. კომისია ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის საკითხის შესწავლის დროს იწვევს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს.

2. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის საკითხის განსახილველად კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) საწარმოს ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვა;

ბ) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება;

გ) კრედიტორთა ნახევარზე მეტის და იმ კრედიტორთა თანხმობა, რომელთა მოთხოვნა შეადგენს კრედიტორთა მოთხოვნების საერთო მოცულობის ორ მესამედზე მეტს;

დ) საწარმოს რესტრუქტურიზაციის გეგმა;

ე) წინადადებები დავალიანებათა გაყინვის და/ან გადავადების პირობებისა და ვადების თაობაზე.

3. კომისიას ერთი თვის ვადაში, საწარმოს რესტრუქტურიზაციის გეგმის შესწავლის საფუძველზე, გამოაქვს დასკვნა ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის თაობაზე.

4. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საწარმოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება დავალიანების რესტრუქტურიზაციის პირობები, ვადები, დავალიანების დაფარვის გრაფიკი და რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

5. კომისიის დადებით დასკვნას და ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ.

6. კომისიის დასკვნა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეგზავნება საწარმოს. დასკვნა უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებსა და შენიშვნებს, რომელთა გამოც საწარმოს უარი ეთქვა ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციაზე.

7. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება რესტრუქტურიზებულად ითვლება და საწარმო რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობას იწყებს აღნიშნულის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული თარიღიდან.

**მუხლი 4. საწარმოს რესტრუქტურიზაციის გეგმა**

საწარმოს რესტრუქტურიზაციის გეგმა მოიცავს:

ა) საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაწვრილებით ანალიზს;

ბ) მიზეზებს, რომლებმაც განაპირობა საწარმოს გადახდისუუნარობა;

გ) ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სხვა ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და რესტრუქტურიზებული დავალიანების დაფარვა;

დ) წარმოების ზრდის, პროდუქციის რეალიზაციის, საწარმოო დანახარჯების, მოგების და სხვა ძირითად მაჩვენებლებს;

ე) ფულადი რესურსების შემოსვლისა და გამოყენების გაანგარიშებებს;

ვ) საწარმოს ქონების შეფასებაზე აუდიტის დასკვნას.

**მუხლი 5. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობის პირობები**

1. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პერიოდში საწარმო ვალდებულია:

ა) დაფაროს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებანი;

ბ) შეასრულოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებითა და რესტრუქტურიზაციის გეგმით გათვალისწინებული პირობები;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში წარუდგინოს ინფორმაცია ამ ხელშეკრულებითა და რესტრუქტურიზაციის გეგმით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

2. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პერიოდში დივიდენდების გაცემა წყდება.

3. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პერიოდში კრედიტორებს, რომლებმაც საწარმოს მისცეს თანხმობა დავალიანებათა რესტრუქტურიზაციაზე, არა აქვთ უფლება მეიტანონ სასამართლოში განცხადება საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

**მუხლი 6. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის დამთავრება, ვადამდე შეწყვეტა**

1. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის ვადა მთავრდება და აღნიშნულ რეჟიმში საწარმოს მუშაობის პირობები წყდება:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული რესტრუქტურიზაციის ვადების ამოწურვის შემთხვევაში;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე საწარმოს მიერ დავალიანებათა დაფარვისას.

2. ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით რესტრუქტურიზაცია ვადამდე წყდება.

3. საწარმოს მიზეზით ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

ა) რესტრუქტურიზებული დავალიანების გადაუხდელ ნაწილზე რესტრუქტურიზაციის დაწყების თარიღიდან საწარმოს მიმართ გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები;

ბ) თანხების იძულებით ამოსაღებად საგადასახადო ორგანოები იყენებენ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ წესებს.

**მუხლი 7. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 5 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოზიცია

# ისტორია და თანამედროვეობა

[…]ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის პროექტში სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ, სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის […] №6279 დადგენილებით საქართველოს სსრ-ის ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებიდან სპეცდასახლებაში გაგზავნას ექვემდებარებოდნენ თურქები, ქურთები, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან თურქები, ქურთები და ხემ[…]ნები (გამაჰმადიანებული სომხები). სპეცდასახლების რესპუბლიკებად განისაზღვრა ყაზახეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი. გასახლება განხორციელდა 1944 წლის 15-18 ნოემბერს. მაშასადამე, პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლებამ სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველები ჯერ „თურქულენოვან უმცირესობად" გამოაცხადა, შემდეგ აზერბაიჯანელებად, ბოლოს კი თარაქამებად, […]თად თურქებად და ამგვარად გადაწყვიტა საუკუნეთა მანძილზე სამცხე-ჯავახეთში ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მებრძოლ იმ ქართველთა ბედი, რომლებიც ამ ბრძოლაში […]რცხნენ, ამის შედეგად გამაჰმადიანდნენ და რომელთაც ისტორიამ „დანაშაულად" ის გადაუწყვიტა, რომ ეს ხალხი ჯერ […]-თურქეთის საზღვარზე, შემდეგ სსრკ-თურქეთის საზღვარზე ცხოვრობდა და რეალურ სუვერენიტეტს მოკლებულ ქართველ ერს […] ეროვნული დაცვის უნარი არ აღმოაჩნდა.

სამცხე-ჯავახეთიდან სულ გასახლებული იყო 90 000-მდე ადამიანი, 20 000-მდე ფრონტზე იმყოფებოდა, ომის დამთავრების შემდეგ ისინიც გასახლებაში გადაიგზავნენ. ეთნიკური წარმომობის მიხედვით, დაახლოებით 110 000 გასახლებულიდან 90 000-ზე მეტი წარმოშობით ქართველი მაჰმადიანი იყო, დანარჩენი თარაქამა და ქურთი. აჭარიდან […]000-მდე ადამიანი გასახლდა, […] ე. წ. თურქების რაოდენობა უმნიშვნელო იყო, რომელთა შორის უმრავლესობა მკვიდრი ქართველი აღმოჩნდა. „შეცდომა" […] გასწორდა და გასახლებულ აჭარელთა დიდი ნაწილი შინ დაბრუნდა. რუსეთის იმპერატორის […] I დასახული გეგმა მაჰმადიანი ქართველების მიმართ სამცხე-ჯავახეთში 1944 წელს ბოლომდე მიიყვანა. ქართველ მამულიშვილთა (ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ირ. აბაშიძე და სხვა) მცდელობა საბჭოთა საქართველოში გამაჰმადიანებული მესხების ქართველობის წიაღში მობრუნების მესახებ, კატასტროფით დასრულდა.

მაშასადამე, გამაჰმადიანებული მესხები, როგორც „თურქები" გაასახლეს, ხოლო, თუ რას წარმოადგენდა ქართული წარმოშობის გასახლებული „თურქების" ეროვნული ცნობიერება, კარგად ჩანს მესხეთის მკვიდრის მიხეილ ველიჯანაშვილის მოგონებიდან. აღნიშნულ მოგონებაზე საგანგებოდ იმის გამო შევჩერდი, რომ მასში ასახული გამაჰმადიანებული ქართველის ცნობიერება საშუალებას გვაძლევს გავხსნათ ერთი შეხედვით უცნაური ტერმინის „თურქი-მესხის" სოციალური შინაარსი, რომლითაც დღეს აღნიშნავენ დეპორტირებულ მესხებს არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ, რაც განსაკუთრებით სამწუხაროა, საქართველოშიც.

1937 წლის 1 იანვარს სსრკ-ში მოსახლეობის აღწერა მოხდა. ამ აღწერის შესახებ საყურადღებო მოგონება მიხეილ ველიჯანაშვილმა შემოგვინახა. იგი დაიბადა 1904 წელს ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში. 1929-1933 წლებში მოსკოვის გეოდეზიის ინსტიტუტში სწავლობდა, შემდგომ იყო ხიზაბავრის საშუალო სკოლის დირექტორი, ასპინძის რაიაღმასკომის საგეგმო განყოფილების გამგე, რომელსაც დაევალა რაიონის სააღმწერო კომისიის ხელმძღვანელობა.

როგორც გამოირკვა, აღწერის ფურცლებში, ეროვნების აღმნიშვნელ გრაფაში, მკვიდრი ქართველი მაჰმადიანები თურქებად აღირიცხნენ, რამაც პროტესტები გამოიწვია. საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის ლ. ბერიას დავალებით ამ საკითხის შესასწავლად შეიქმნა მეცნიერთა კომისია, რომელშიც სიმონ ჯანაშია, პავლე ინგოროყვა და ნიკოლოზ ბერძენიშვილი შევიდნენ. საქმის ადგილზე შესასწავლად კომისია ასპინძაში ჩავიდა. მ. ველიჯანაშვილი სოფელ ოთაში შეხვედრას ასე აგვიწერს: „იქ მისვლისას დაგვხვდა ას წელიწადს გადაცილებული მოხუცი დედაკაცი. მანქანიდან ჩამოვედით, სიმონი ქართულად მიესალმა, მოხუცმა ლამაზი ქართულით უპასუხა და ჯანაშიას კითხვაზე, საიდან ხარო და საღაური, მოხუცმა დააყოლა, ჩემი მამა-პაპა ხიზაბავრიდან იყვნენ, ქართველი ქრისტიანები, მაგრამ, როდესაც გათათრებულან, აქ ოთაში გადმოვსულვართ... ჩვენ ყველა ქართველები ვიყავით, ოსმალომ ძალით გაგვათათრა, ეხლა ამ სოფელში ყველა თურქი ვართ" (მოგონება ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში).

განვიხილოთ ოთელი მოხუცი დედაკაცის მონათხრობი. 1870 წლის მოსახლეობის აღწერილობით ოთაში ცხოვრობდა 20 კომლი ქართველი სუნიტი, 90 მამაკაცი და 81 ქალი. 1886 წლის აღწერილობის თანახმად კი ოთაში 31 კომლი თათარი ცხოვრობდა, 172 მამაკაცი და 143 ქალი. ოთელი მოხუცი დედაკაცი 1870 წელს ქართველ მაჰმადიანად აღწერეს, 1886 წელს თათრად, 1937 წელს კი თურქად. ოთელი დედაკაცის თხრობით, მამისა ქრისტიანად დაბადებულა და მონათლულიც ყოფილა. ასე რომ, ეს ოთელი დედაკაცი მეორე თაობის მაჰმადიანი იყო. თავისი წინაპრების ქრისტიანობა-ქართველობა მას ცოცხლად ახსოვს. არავითარი თურქული ეროვნული მეხსიერება მას არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა, ე.წ. „თურქობა" რელიგიური ცნობიერებიდან მოდის და მაჰმადიანობის სინონიმი იყო, როგორც ეს ხდებოდა შუა საუკუნეებში საერთოდ, ვიდრე ახალ დროში ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრის ეროვნების მაპროფილებელ ნიშნად არა მხოლოდ რელიგია, არამედ კულტურულ-ისტორიული სახე და სახელმწიფოს მოქალაქეობა გახდა, რომლის საფუძველზე „სახელმწიფო-ერები" ჩამოყალიბდნენ; ანუ იმის თქმა მსურს, რომ დეპორტირებული მესხების „თურქობა" ეს არ არის თანამედროვე თურქეთის მოქალაქის ეროვნული შეგნება, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუმუშავდათ „სახელმწიფო-ერად" ჩამოყალიბების პროცესში. ნათლად უნდა გამოვკვეთოთ, რომ სამცხე-ჯავახეთის სუნიტურ რელიგიურ თემში შემავალი ყველა მაჰმადიანი მექანიკურად „თურქობაში" არ ერთიანდებოდა. ქართული წარმოშობის სუნიტები თავის თავს ქურთებისაგან და თარაქამებისაგან მკვეთრად მიჯნავდნენ და თავს „იერლი-მუსლიმანს", ანუ თურქულად „მკვიდრ მუსულმანებს" უწოდებდნენ, ქურთებისა და თარაქამების საპირისპიროდ. გასახლების შემდგომ ის მესხებიც კი, რომელნიც თავს მესხ-თურქებს მიათვლიან, მათ უცხოდ მიიჩნევენ და დღეს მთლიანად გამიჯნულნი არიან სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული ქურთებისაგან და თარაქამებისაგან. დიდი ნაწილის მიერ თურქული ენის ათვისების მიუხედავად, გამაჰმადიანებული მესხების უმრავლესობა დაახლოებით იმავე ცნობიერების „თურქები" იყვნენ, როგორც გაკათოლიკებული მესხები „ფრანგები".

1956 წელს, როდესაც დეპორტირებულებს საკომენდანტო ზედამხედველობა მოეხსნათ და დეპორტირებული მესხები ფორმალურად უფლებებში საბჭოთა მოქალაქეებს გაუთანაბრეს, საკითხი წამოიჭრა, ვინ არის ეს მესხეთიდან თურქების სახელით გასახლებული ხალხი, რომელნიც აზერბაიჯანელებად, თურქებად და ქართველებად არიან აღრიცხულნი და რომელთა შორის მრავლად არიან ქართული გვარების მქონე ადამიანები, და ამათგან ნაწილმა ქართული ენის გარდა, სხვა ენა არ იცის. რადგან ტერმინი „თურქი" მესხეთში უმთავრესად არა ეროვნების, არამედ რელიგიური შინაარსით იხმარებოდა და მაჰმადიანს გულისხმობდა, „თურქი-მესხი" მხოლოდ მაჰმადიან მესხს აღნიშნავდა, რომელიც გამორიცხავდა სხვა მაჰმადიანებს, გარდა მესხებისა. მესხეთის „ფრანგების" ისტორია მესხეთის მაჰმადიანური მოსახლეობის ანალოგიურად რომ წარმართულიყო, ქართველ კათოლიკეებს შეეძლოთ „ფრანგი-მესხი" ტერმინი შეექმნათ და ამ გზით თავისი თავისგან მესხეთის სომეხი „ფრანგები", ანუ კათოლიკეები გამოერიცხათ. სოციალური ცნობიერების დონით „თურქი-მესხი" შუა საუკუნეთა საქართველოდან მომდინარე ტერმინია, როდესაც ეთნიკურ ცნებას რელიგიური თემი განსაზღვრავდა და იგი ისევე ოდიოზურია, როდესაც თანამედროვე „ქართველობაში" მხოლოდ მართლმადიდებლობას გულისხმობენ.

რადგან დეპორტირებულთა ნაწილი თავს ქართველად მიიჩნევდა, დეპორტირებულმა მესხებმა (გასახლებულთაგან გამოირიცხნენ თარაქამები და ქურთები) დროთა ვითარებაში პოლიტიკურად ორი სხვადასხვა ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს – „ხსნა" (ქართული ორგანიზაცია) და „ვატანი" (თურქული ორგანიზაცია). „ხსნის" ოფიციალურ რეგისტრაციამდე რუსეთის ფედერაციაში (1991 წელს) და საქართველოში (1992 წელს) მისი წევრები არალეგალურ მესხ-ქართველთა ორგანიზაციაში ერთიანდებოდნენ და დღეს ისინი მესხ-თურქთა, ანუ „ვატანში" გაერთიანებულ „თურქი-მესხებად" წოდებულ ორგანიზაციას უპირისპირდებიან. თავისი პოზიცია 80-იანი წლების საბჭოთა რეჟიმის პირობებში დეპორტირებულმა მესხ-ქართველებმა ჩამოაყალიბეს მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის 1979 წლის 14 იანვრით დათარიღებულ № 18 დოკუმენტში, რომელსაც „მესხების მდგომარეობის შესახებ" ეწოდება.

ეს დოკუმენტი შემდეგი სიტყვებით იწყება: „მესხები – ძველი ქართული ტომია, რომელიც უძველესი დროიდან ცხოვრობდა მესხეთში (საქართველოს სამხრეთი ნაწილი თურქეთის საზღვარზე). მესხებმა მიიღეს მუსულმანობა და ნაწილობრივ გათურქდნენ თურქეთის დაპყრობის შედეგად. ამჟამად მესხების ნაწილი თავს ქართველად თვლის, ნაწილი თურქად, უმრავლესობას კი უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე". შემდეგ დოკუმენტში საუბარია მესხების დეპორტაციის თაობაზე და მათი უფლებების დარღვევებზე გასახლებაში. დოკუმენტი განაგრძობს: „ჰელსინკის შეთანხმებათა მოსკოვის ჯგუფს გადაეცა რიგი დოკუმენტებისა, რომლებშიც დადასტურებულია, რომ მესხები, როგორც დეპორტირებულნი, არ არიან კმაყოფილნი თავისი მდგომარეობით და აქტიურად იბრძვიან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის. ამასთან, მესხი-ქართველები და მესხი-თურქები სხვადასხვა გზით მიდიან. მესხი-ქართველები აგროვებენ ოჯახის თავთა ხელმოწერებს თხოვნითა და მიმართვით ხელისუფლებისადმი, რომლებშიც ისინი ამტკიცებენ თავიანთ უძველეს დროიდან წარმომავლობასა და კუთვნილებას ქართველი ერისადმი. ხელშემწყობმა ჯგუფმა მიიღო 1 100-ზე მეტი ასეთი ხელმოწერილი ფურცელი, რომელიც შეეხება დაახლოებით 7 500 ადამიანს. ეს ხელმოწერილი ფურცლები ჩამოერთვა ი.ფ. ორლოვს (ი. ორლოვი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო – გ.მ.) ჩხრეკის დროს (ჩხრეკის ოქმის პუნქტი № 134), ისევე, როგორც მესხი-ქართველებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფის მიმართვები ხელშემწყობი ჯგუფისადმი თხოვნით, რათა ხელი შეეწყოს მესხების დაბრუნებას, – თუ ეს მესხეთში არ მოხერხდება, ოღონდაც კი სადმე საქართველოში. ამავე დროს ისინი მზად არიან გადმოვიდნენ ნებისმიერ რაიონში, მცირე ჯგუფებით და სხვადასხვა სოფლებში. ეს არის ძალზე მოკრძალებული, ლოიალური და კანონიერი მოთხოვნები.

**გურამ მამულია.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი პირველ გვერდზე.

**საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია დეპორტირებული და საქართველოში რეპატრიირებული მესხების შესახებ**

## რაც იყო

# რამდენიმე ფაქტი ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან

გამსახურდიას მონაყოლიდან ნათელი გახდა, რომ იგი მწერლებს კი გაურიცხავთ, მაგრამ არც თვითონ მოქცეულა ღირსეულად. შეკითხვაზე, თუ ვინ უშვებს და ვინ რედაქტორობს არალეგალურ ჟურნალებს, მას უპასუხნია: არ ვიცი! არადა მთელი უცხოური და რუსული დისიდენტური პრესა აჭრელებული იყო მისი განცხადებებით, რომ მას დევნიან და ავიწროებენ იმის გამო, რომ იგი უშვებს და რედაქტორობს აღნიშნულ ჟურნალებს. როგორც რედაქტორს, საზღვარგარეთ სახელი რომ უფრო გაეფარდნოდა და უფრო რომ „აემაღლებინა" ჟურნალის პოლიტიკური ჟღერადობა, მან დაიჟინა და „საქართველოს მოამბის" № 2-ში მოათავსა ენტენის ხმაურიანი პროკლამაცია, ახლა მწერლების წინაშე კი, ეს ყველაფერი უარყო.

მახსოვს, იმ ღამეს მერაბს ნერვები აემალა და ჯიქურ შეუტია გამსახურდიას: „ბიჭო, რატომ ჩემზე არ თქვი, რომ მე ვრედაქტორობ!" ზვიადმა უპასუხა: „მაგათ რატომ უნდა იცოდნენ სიმართლე, რა გამომძიებლები ევენი მყავანან!" ამით სათავე დაედო პირველ ტყუილს და „ტაქტიკურ უკანდახევას", რაც ძვირად დაუჯდა ამ ჯგუფს: სიმართლის დასადგენად უკვე სუკი ჩაერთო.

ახლა, რაც მთავარია. საერთო გადაწყვეტილებით, რადგან ვიქტორ რცხილაძეს იმჟამად გამწვავებული გულის შეტევები ჰქონდა და რამდენჯერმე იწვა საავადმყოფოში, იგი ციხეში არ უნდა მოხვედრილიყო. სწორედ ამით აიხსნება, რომ მაშინ ახლახანს გარდაცვლილ შალვა მაღლაკელიძეს, ფაშისტური გერმანიის გენერალს, სწორედ ზვიად გამსახურდიას დაჟინებით ვიქტორ რცხილაძემ ნეკროლოგი („მარტიროლოგი") მიუძღვნა, მაგრამ ამ, აშკარად საციხო სტატიას ხელი არ მოაწერა (ვისაც კი ხელთ ჩავარდნია 1976 წლის „საქართველოს მოამბე" № 2, კარგად იცის, რომ აღნიშნული ნეკროლოგი ხელმოუწერელია). ამ სტატიის ავტორობა, ისევე, როგორც ყველა ხელმოუწერელი სტატიისა, ციხეში მოხვედრის შემთხვევაში, თავის თავზე უნდა აეღო ჟურნალის რედაქტორს ზვიად გამსახურდიას, რაც მან არ გააკეთა და მის მიერ დაბეზღებულ უცხოელ კორესპონდენტებს შემატა კიდევ ახალი მსხვერპლი – ქართველი ავტორი შალვა მაღლაკელიძის „მარტიროლოგისა", რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში დააპატიმრეს. სწორედ ეს იყო ალექსანდროვის ბაღში სასაუბრო თემა, სხვა, მეორეხარისხოვან დეტალებთან ერთად, რაც არ უწყოდა მერაბ კოსტავამ. აღსანიშნავია, რომ შემდგომ ერთნაირი სახელდებით „აღიარება და მონანიება" გასამართლებულმა ზვიად გამსახურდიამ და ვიქტორ რცხილაძემ სხვადასხვანაირად „გაინაწილეს": ზვიად გამსახურდია საქართველოსთან ახლოს არცთუ ცუდ დროს ატარებდა, ხოლო ვიქტორ რცხილაძეს სუკის შიდა საპატიმროში გატარებული ერთი წლის მერე თავი უკრეს ყაზახეთის მორეულ ოლქში, ისე, რომ დედამისს იქ ჩასასვლელად ორი თვითმფრინავის გამოცვლა სჭირდებოდა და მერე ავტობუსით მგზავრობა დახურულ სასაზღვრო ოლქში.

ახლა წარმოიდგინეთ, თუ გამსახურდიას გაპრეზიდენტების მერე მისთვის რა არასასურველი გასახსენებელი იქნებოდა ვიქტორ რცხილაძის პიროვნება და სწორედ ამიტომ იმ რეჟიმის დროს სრული იგნორირება მოხდა ვიქტორ რცხილაძის როლისა, ის კი არა, მაშინ ღვარივით მოდიოდა მასზე ათასგვარი ცილისწამება და ინსინუაცია, რასაც, შესაძლოა, დღესაც იმეორებს ზოგიერთი დაბოლმილი.

ერთი რამ ჩემთვის ცხადია, – ვიქტორ რცხილაძეს არასოდეს დაუმალავს და ყოველთვის წრფელი იყო თავისი წარსულის მიმართ, განსხვავებით იმ დისიდენტებისაგან, რომელნიც მალავენ, ან ალამაზებენ თავიანთ ნამოქმედარს: თუნდაც ზვიად გამსახურდიას საჯარო განცხადებები რად ღირს: რომ არ მომენანიებინა, ქართველი ხალხი აჯანყდებოდა და ეროვნული მოძრაობა დაილუპებოდა! მაგრამ რად გინდა, ამ და მსგავსი განცხადებებით ეს დემაგოგი პრეზიდენტად მოგვევლინა, ცხადია, მამამისის რომანების პოპულარობით და, აგრეთვე, ბნელი ძალის ხელშეწყობით, ხოლო თუ საიდან მოდიოდა ეს ხელშეწყობა, პრესაში ნელ-ნელა ჟონავს. მაგალითი: „ნეზავისიმაია გაზეტა" (28.03.97) აქვეყნებს ინგუში პუბლიცისტების წერილს, სადაც ნიშანდობლივი დოკუმენტია გამომზეურებული –„ Сегодня ни для кого не остается секретом, что грузино-осетинский конфликт на юге Осетии был спровоцирован Кремлем с целью недопущения выхода Грузии из состава СССР". (Сборник. Северная Осетия. „Этнополитические процессы". т. 2, стр. 14-15. 1995 г.). ხოლო თუ ვინ ედგა ამ კონფლიქტს სათავეში ქართველთა მხრიდან, ძალზე კარგად გვახსოვს.

დღეს ზვიადისტები ყვითელ პრესაში დაჟინებით გაიძახიან: შეაფასეთ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ამბები, პოლიტიკური შეფასება მიეცით სამხედრო გადატრიალებას! სამწუხაროდ, და ჩვენდა სამარცხვინოდ, ხელისუფლება თითქმის ყურს უგდებს მათ ამ გნიასს და დუმს. ჩემი აზრით, კი, ეს შეფასება, მართლაც სასურველია, ხოლო ხელისუფლების დუმილს ვხსნი იმ უხერხულობით, რომ მაშინდელი სამოქალაქო ომის სამხედრო ხელმძღვანელები ოპოზიციის მხრიდან – თენგიზ კიტოვანი და სხვები დღეს ციხეში სხედან. მაგრამ ნებისმიერმა ისტორიკოსმა უწყის ერთი ჭეშმარიტება, რომ ისტორიის მსვლელობის გარკვეულ ჟამს გარკვეული პიროვნებები შეიძლება ასრულებდნენ ჯერ დადებით, ხოლო შემდეგ უარყოფით როლს თავიანთი ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში. ამიტომ სიმართლის თქმას არ უნდა მოვერიდოთ. ხოლო სიმართლე კი ის არის, რომ ზ. გამსახურდიას ჭკუა არ ეყო და ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილის დიდზე დიდი უმრავლესობა აიმხედრა, კუთხე კუთხეს გადაკიდა და უბანი უბანს. რაც მთავარია, რუსეთის ურეაქციულესი ხელისუფლების („გკჩპ") ხათრით მან ქართული გვარდია გაწირა.

**თეიმურაზ ჟანტურიშვილი.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი პირველ გვერდზე.

## ექსპერტიზა

# კავკასია ჩვენი სახლია

[…]ფილი სსრ კავშირის პოლიტიკის მემკვიდრეობამ, ტოტალიტარული რეჟიმის დაშლამ, თვითმყოფობის გამოცოცხლებამ და თავისუფლებისაკენ სწრაფვამ ბოლო წლებში გაამწვავა ხალხების ურთიერთობა და გააძლიერა სეპარატიზმი. საქართველოში გაჩნდა კონფლიქტის კერები, რომლებიც მძაფრად იქმნებოდა საზღვრისპირა ზოლებში, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, როგორც ყოფილი სსრ კავშირის ხელისუფლების, ისე მისი წინამორბედის – მეფის რუსეთის მიზანმიმართული ეროვნული პოლიტიკის შედეგობით. ასეთ პოლიტიკას გარკვეული ინერცია აქვს დღესაც.

აი, მხოლოდ ერთი მაგალითი. 1997 წლის დამლევს გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ" გამოაქვეყნა, […]როდა, მის მიერ მოწყობილი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი მრავლისმეტყველი სათაურით „სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან – სუბიექტებიდან რუსეთთან ისურვებდით გაერთიანებას?" ნიშანდობლივია, რომ „სსრ კავშირის სუბიექტებად" გამოკითხვაში ფიგურირებს ყირიმი, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და აჭარა, შემთხვევით თუ განზრახ, სამხრეთ ოსეთი იქ არ მოიხსენიება. ამ ნუსხაში საქართველოს „საპატიო" […] ადგილი უკავია. მასთან გაერთიანების ან უფრო მისი შეერთების! – სურვილი გამოთქვა გამოკითხულთა 25 პროცენტმა, და ამავე დროს ცალკე აფხაზეთთან და აჭარასთან გაერთიანების (შეერთების) სურვილი განაცხადა შესაბამისად 37 და 28 პროცენტმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანებს სურთ შეიერთონ […]ელი საქართველო, მაგრამ […]ელს თუ ვერ შეიერთებენ, ამ […] თვალწარმტაც რეგიონსაც და[…]ჯდებიან. ყირინოველის ალექსი […]გროფონოვის მიერ ამას წინათ გამოცემული წიგნი „ახალი გეოპოლიტიკის ნაბიჯები"– ეს მინი […]ან კამპფია", რომელიც თავად ლიბერალ-დემოკრატთა ბელადმა მოიწონა. მასში აღწერილია ვინ, როდის და რა თანმიმდევრობით უნდა შეაბან ახალ იმპერიულ ურემს. წიგნს დართული აქვს რუკები, რათა უფრო თვალნათლივ წარმოუდგენდეთ მიხაკისფერ „ლიბერალ-დემოკრატთა" „ახალი წყობის" გამთბარი ხვალინდელი მსოფლიო. ვაი რომ, აქ საქართველოს […]შესახარბიელო როლი აკისრია, […]ტერისგი მსხვერპლის როლი.

დასასრული. დასაწყისი „სრ" № 72.

ამრიგად, იმათი მიზნები, ვისაც ხელს არ აძლევს კავკასიაში სტაბილურობა და მშვიდობა, ცხადზე ცხადია, მათი ამოცანაა ერთმანეთს წაჰკიდონ ხალხები და მოიპოვონ პოლიტიკური დივიდენდები, ბარიკადების აქეთ-იქით მოაქციონ და იბატონონ. ჯერ კიდევ ნოე ჟორდანია – საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-21 წ. წ.) მთავრობის მეთაური აღნიშნავდა, „რომ ერთიანი კავკასია წინააღუდგება ნებისმიერ იმპერიულ ძალას, სულერთია ეს ცარიზმის ძალა იქნება, თუ წითელი ექსპანსია". არ არის გასაკვირი, რომ ერთიანი კავკასია ბევრს თვალში არ მოსდის.

და აი, მშფოთვარე მეოცე საუკუნის მიწურულს, გამოჩნდნენ ძალები, რომლებმაც სცადეს ეს ამქვეყნიური სამოთხე ჯოჯოხეთად ექციათ, სადაც ჩაუქრობელი კოცონი გიზგიზებს.

სამწუხაროდ, გონზე რომც მოვიდეთ, ჯერჯერობით მთლიანად ვერ ჩავაქრობთ მას, ვერ მოვინელებთ ამ ტყვიით სავსე საჭმელს, ჩვენმა ვაიპოლიტიკოსებმა რომ მოგვიმზადეს უცხოური რეცეპტით. ჯერ ვერ გახსნილა ყარაბაღის მაგრად შეკრული კვანძი, ვერ დასმია წერტილი ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას. რამდენადმე უკეთესადაა საქმე სამხრეთ ოსეთის საკითხში. მაგრამ აქაც საბოლოოდ არ არის ყველაფერი მოგვარებული.

თუმცა, როგორც ბოლო გენერალური მდივანი იტყოდა ხოლმე, რომელმაც გვარიანად წაუკრა ხელი მთელ ამ პროცესებს, – პროცესი დაწყებულია, და იგი შეუქცევადია. ამის საწინდარია არა იმდენად ჩვენი ქვეყნებისა და რეგიონების ახლანდელ ხელმძღვანელთა მიზანმიმართული გონივრული მოქმედება, რამდენადაც ჩვენი ხალხების მტკიცე ნება, კავკასიის მარადიული სწრაფვა მშვიდობისა და სიკეთისადმი, ურთიერთგაგებისა და ძმობისადმი.

ეს პროცესი იმიტომაც არის შეუქცევადი, რომ პროგრამამ „მშვიდობიანი კავკასიისათვის" ყველგან საყოველთაო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვა. ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის მიერ თბილისში ხელმოწერილმა დეკლარაციამ მშვიდობიანი კავკასიის შესახებ მძლავრი სტიმული მისცა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის მოძრაობას. ამის შედეგად კისლოვოდსკში ოთხი სახელმწიფოს – რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელთა შეხვედრებმა, კავკასიის რეგიონში სტაბილურობის მიღწევისათვის გამიზნულმა კოლექტიურმა ძალისხმევამ ახალი შინაარსი შეიძინა.

ქვეყნის მოსახლეობისადმი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საახალწლო მიმართვაში ნათქვამია: „საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი პრიორიტეტია კავკასიური მიმართულება. ჩვენი რეგიონის ერთობას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. კიდევ უფრო გაძლიერდება მოძრაობა მშვიდობიანი კავკასიისათვის, რომელსაც გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი. კავკასია, უნდა იყოს არა ველური და უმოწყალო კონკურენციის, ინტერესთა დაპირისპირების, არამედ დიდი თუ მცირე სახელმწიფოების თანამშრომლობის ასპარეზი".

ბოლო სიტყვებს განსაკუთრებით უსვამს ხაზს საქართველოს ხელმძღვანელი, ინიციატორი მოძრაობისა „მშვიდობიანი კავკასიისათვის", რეგიონში ამ პოლიტიკის აქტიური განმხორციელებელი, და მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასია ისტორიულადაც, გეოგრაფიულადაც, და არანაკლებად, სულიერადაც ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს. და ამ მრავალეროვან, მრავალენოვან რეგიონში ვერც ერთი მხარე, ვერც ერთი ობიექტი თუ სუბიექტი ვერ მიაღწევს წარმატებებს და აყვავებას სხვა მხარეთა ინტერესების გაუთვალისწინებლად, საერთო-კავკასიური ინტერესების გაუთვალისწინებლად. ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, აყვავებული საქართველო და ამავე დროს გაჭიანურებულ კონფლიქტში ჩაბმული აზერბაიჯანი და სომხეთი, ანდა პირიქით. წარმოუდგენელია, რომ ჰყვაოდეს, მაგალითად, სამხრეთ ოსეთი და სავალალო მდგომარეობაში იყოს აფხაზეთი ან აჭარა, ანდა ნებისმიერი სხვა რეგიონი. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უნდა შემუშავდეს კონცეფცია, ჩამოყალიბდეს პოზიცია, რომლის თანახმადაც კავკასიაში დაძაბულობა მთლიანად მიუღებელია ამ რეგიონში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესებისათვის ერთად და თითოეულისათვის ცალ-ცალკე.

ამ კონცეფციაში განსაკუთრებით ხაზგასმული უნდა იყოს დებულება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტები კავკასიელთა ინიციატივით წარმოიქმნება, კავკასიის ხალხებმა ნებისმიერ შემთხვევაში იკისრონ პასუხისმგებლობა მათი აღკვეთისათვის. არასოდეს არანაირ პირობებში რეგიონის არც ერთი ხალხი არ უნდა გახდეს ძმათამკვლელი ომის გამღვივებელი, და თუნდაც, კონფლიქტის ნაპერწკალი გარედან იყოს შემოგდებული, კავკასიის ხალხების ხელმძღვანელები და უხუცესები, თავიანთ კეთილშობილ წინაპართა მსგავსად, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან და მშვიდობიანად და სიამტკბილობით გადაჭრიან სადავო საკითხს.

ამასთან, არ ღირს ბრალეულების ძებნა, „მტრის სახის" შექმნა, ამისათვის არც დრო არის, არც აუცილებლობა, რა თქმა უნდა, მტრები არსებობენ და ისინი უთუოდ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ისახავენ, ამასთან, კავკასიელებს, ჩვენ, საშუალებად გვიყენებენ. ეს ყველაფერი კარგად უნდა გავიაზროთ და უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ ჩვენი საერთო პრობლემების გადაჭრას, მაგრამ არა მათი წარმოქმნის მიზეზებზე გაუთავებელ მსჯელობას. სხვაგვარად შეიძლება დაგვეკარგოს არსი, მოვექცეთ კამათისა და საქმის გარჩევის ჩაკეტილ წრეში. ახლა რამდენიმე სიტყვა რუსეთის როლის, რუსეთის ფაქტორის შესახებ. რუსეთის სამშვიდობო ფაქტორის რესურსები სულაც არ არის ამოწურული. ჩვენ რუსეთისაგან, მისი ხელმძღვანელობისაგან მუდამ უნდა მოვითხოვდეთ, რომ თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად ახორციელებდეს კავკასიაში იმ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელზე პრეტენზიასაც აცხადებს რუსეთი. რუსეთის ფედერაციის – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო საქმიანობის ძირითადი მიზანი უნდა გახდეს რეგიონში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის ხელშეწყობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეფექტიანი და ქმედითია რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობა, აზრი არ ექნება მათ ყოფნას კავკასიაში. სამწუხაროდ, სადღეისოდ მეტწილ შემთხვევაში ასეთმა საქმიანობამ ვერ შეუწყო ხელი კავკასიის კონფლიქტების გადაჭრას.

კავკასია კავკასიელი ხალხების საცხოვრებელი ადგილია, მაგრამ არასოდეს მოგვებრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ კავკასია მხოლოდ კავკასიელებისათვის. კავკასია ყველასთვისაა, ვინც აქ მშვიდობითა და მეგობრობით მოდის და ხელში ძმობის პალმის რტო უჭირავს. არა მარტო მკვიდრი მცხოვრებნი, არამედ სხვა ხალხების შვილებიც – რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, ასურელები, ქურთები ოდითგან იყვნენ კავკასიის საყვარელი შვილები. გავიხსენოთ მაიაკოვსკი: „როგორც კი ფეხი შემოვდგი კავკასიაში, გამახსენდა, რომ ქართველი ვარ". და კარგი იქნება, თუ ჩვენ ყველანი, სადაც უნდა გადაგვისროლოს ცხოვრებამ, არ დავივიწყებთ, მუდამ გვემახსოვრება ჩვენი ფესვები, ჩვენი საერთო სამშობლო – კავკასია.

საქართველო თავისებურად კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრია, ასე ჩამოყალიბდა ისტორიულადაც. დღეს კი ამის ნათელი დასტურია უამრავი ინიციატივა, რომლებიც წამოაყენა საქართველომ და მისმა ხელმძღვანელობამ. ეს ინიციატივები ნელა, ზოგჯერ გაჭირვებით, მაგრამ განუხრელად გვარწმუნებს – თანდათან ვთავისუფლდებით იმ კომპლექსისაგან, რომ არ ძალგვიძს გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს წინაშე მდგომი ყველა საკითხისა და პრობლემის გადასაჭრელად. ასე არ არის, ჩვენ ვპოულობთ ამ საერთო ენას. საბოლოო ანგარიშით – გამოვნახავთ მას!

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თბილისში გაიმართოს კავკასიის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრები. ამ შეხვედრებზე სასურველია ლეგალურად ვიმსჯელოთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების პროცედურებსა და ფორმებზე, ამა თუ იმ რეგიონული პროცესის მოწესრიგების შესაძლებლობაზე, საჭიროა ყურადღება მივაპყროთ ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასა და სრულყოფას, რეგიონულ თანამშრომლობას. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ კავკასიაში სტაბილიზაციაც, მშვიდობაც, საქმიანი თანამშრომლობაც შეუძლებელია ახალგაზრდობის, კავკასიის ხვალინდელი დღის გარეშე. ახალგაზრდობასთან ნიადაგ უნდა ვეწეოდეთ მუშაობას ამ მიმართულებით, საბოლოოდ უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი ლექსიკონებიდან ისეთი ცნება, როგორიცაა მტერი. ახალგაზრდობას უნდა განეუმარტოთ ის ფუძემდებელი თეზისი, რომ კავკასიაში, ზიარი ჭურჭლის თეორიის თანახმად, შეუძლებელია, რომ კავკასიის ერთი რეგიონი მეორის ხარჯზე ყვავოდეს.

უნდა შევიგნოთ ის ფაქტი, რომ კავკასიის ყველა ხალხი ერთ ნავში ზის და მისი რყევა უკლებლივ ყველასათვის მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ ყველამ, და უწინარესად, ახალგაზრდობამ, ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალი ჩვენი საერთო ხომალდის გეზს, რომელიც უნდა მივმართოთ აყვავების, მეგობრობის, ძმობის ნაპირებისაკენ. ამ ნაპირისაკენ სავალი გზა ადვილი როდია. კრილოვის გედის, კიბორჩხალისა და ქარიყლაპიას მსგავსად, ცალ-ცალკე კი არა, მხოლოდ ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი შევძლებთ მივაღწიოთ წარმატებას ყველა წამოწყებაში. მხოლოდ ჩვენ თვითონ, იმის გარეშე, რომ აქეთ-იქით ვირბინოთ და რჩევას დავეკითხოთ დიდ სახელმწიფოებს, რომლებსაც ზოგჯერ ერთმანეთშიც ვერ გადაუწყვეტიათ სადავო საკითხები, შევძლებთ მტკიცე მშვიდობის დამყარებასა და ჩვენი რეგიონის აყვავებას.

ახალგაზრდობა უფრო ხშირად უნდა ხვდებოდეს მოლაპარაკების მაგიდასთანაც, ოლიმპიადების, სპორტული შეჯიბრებების, სამეცნიერო კონფერენციების, ფესტივალების ასპარეზზეც. მხოლოდ ასე შეძლებენ კავკასიის ქალიშვილები და ჭაბუკები უკეთ დარწმუნდნენ იმაში, რომ ბევრად მეტი რამ გვაერთიანებს, ვიდრე გვთიშავს. სხვაგვარი ცხოვრება არ შეგვშვენის, რადგან მეგობრობა, ძმობა, ურთიერთგაგება, ის საკვანძო სიტყვებია, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს!

მაგრამ ეს მხოლოდ საერთო მიმართულებაა, რომლითაც უნდა ვიაროთ წინ. საჭიროა ვიფიქროთ, იმ კონკრეტულ ღონისძიებებსა და მოქმედებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს კავკასიის ხალხების შეკავშირებასა და ერთიანობას. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმიტომ, რომ სავალალო საბჭოურმა მემკვიდრეობამ, ისევე, როგორც ურთიერთშუღლისა და სისხლისმღვრელი შეტაკებების მემკვიდრეობამ, წარმოშვა უნდობლობა – თანამშრომლობის პროცესის მთავარი მუხრუჭი. იგი ფრთხილად უნდა მოვაგვაროთ, გამოვნახოთ ურთიერთინტერესების ისეთი სფეროები, რომლებიც, ერთი მხრივ, პოლიტიკურად შედარებით ნეიტრალური იქნება, ხოლო მეორე მხრივ – მნიშვნელოვანი, ყოველ შემთხვევაში, რეგიონის რამდენიმე ქვეყნისათვის.

ერთ-ერთი ასეთი სფეროა ინფორმაციის გაცვლა. დღესდღეობით შექმნილია სიტუაცია, როცა ზოგჯერ უფრო მეტი ვიცით დასავლეთის შორეული ქვეყნების შესახებ, ვიდრე აქ, მეზობლად, კავკასიის ქედის გადაღმა თუ გადმოღმა მიმდინარე ამბებზე. უცოდინრობა კი მუდამ ეჭვისა და ცრუწარმოდგენების მკვებავი წყაროა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის სფეროში, რეგიონის ქვეყნების შესახებ ობიექტური ნეიტრალური ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების საშუალებათა გამონახვა. ასეთ შესაძლებლობას იძლევა ერთობლივი რადიომაუწყებლობის სისტემა, რომელიც ინფორმაციის გაცვლის შედარებით იაფი და ეფექტიანი საშუალებაა.

ძალზე საჭიროა ინფორმაციის ასეთი გაცვლა ცალკეულ პროფესიულ დარგებშიც. ასეთი დარგია, მაგალითად, ეპიდემიოლოგია, კარგადაა ცნობილი, რა საშიშროებას ქმნის ისეთ დაავადებათა ახალი გავრცელება, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, რომლის ეპიდემიასაც აზერბაიჯანში მოჰყვა ან მალე მოჰყვება ანალოგიური შემთხვევები საქართველოში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში, ავადმყოფობამ არ იცის სახელმწიფო საზღვრები. შესაბამისი ინფორმაციის დროული გაცვლა თავიდან აგვაცილებს მძიმე შედეგებს.

ასეთივე ეფექტიანი შეიძლება გახდეს ინფორმაციის გაცვლის რეგულარული სისტემა ისეთ სფეროში, როგორიცაა გარემოს დაცვა. საზღვრები არც გარემოს გაჭუჭყიანებამ იცის. მაგალითად, სომხეთში ატომური ელექტროსადგურის ავარია თანაბრად საშიშია რეგიონის ყველა ქვეყნისათვის.

თანამშრომლობის შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ამოცანა. ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში სპეციალისტები სწავლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ენებსა და ფოლკლორს. ცნობილია ისიც, რომ ამა თუ იმ ხალხის მრავალი ძველი ძეგლი ახლანდელი საცხოვრებელი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა. ანდა ცნობილია, რომ თბილისი, მოზდოკი და ბაქო იყვნენ აღმოსავლურ-სომხური კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრები. სპეციალისტების, რესტავრატორების, საარქივო მასალების გაცვლის ღონისძიებანი მნიშვნელოვანია, როგორც თვით კავკასიელი ხალხების კულტურისათვის, ასევე, მათ შორის რეალური თანამშრომლობის დამყარების საქმისთვისაც.

ასევე მეტად პერსპექტიულია თანამშრომლობა სპორტის დარგში, რადგან ზოგჯერ ადამიანებმა მეტი იციან და მეტად აინტერესებთ უცხოეთის ფეხბურთის გუნდის წარმატებები და საერთაშორისო შეჯიბრებების შედეგები, ვიდრე პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენები. ისეთი ნაყოფიერი იდეები, როგორიცაა კავკასიის ასპარეზობის, სპორტული გუნდების ამხანაგური შეხვედრების ორგანიზაცია, მწვრთნელთა გამოცდილების გაზიარება ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითი გახდებოდა.

და ბოლოს, რეგიონული თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი დარგია ეკონომიკა. მაქსიმალურად უნდა განვავითაროთ შიდარეგიონული სავაჭრო ურთიერთობა, წავახალისოთ რეგიონული საქონელგაცვლა, მხარი დავუჭიროთ რეგიონული მნიშვნელობის ეკონომიკურ პროექტებს, ანუ ისეთ პროექტებს, რომლებიც ეკონომიკურად უფრო მომგებიანი ხდება თანამშრომლობის შედეგად. ეს კავკასიის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ერთიანობის უმნიშვნელოვანესი საძირკველია.

**კონსტანტინე კოკოევი,**
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს რესპუბლიკა
№73. ხუთშაბათი, 26 მარტი. 1998 წელი.

განვიხილავთ კანონპროექტს

# სასამართლო რეფორმის ქვაკუთხედი — სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ერთიანი ადვოკატურა

უნდა ითქვას, რომ სხვა ალტერნატიულ პროექტებთან შედარებით, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ პარლამენტში განსახილველად შემოტანილი, იუსტიციის სამინისტროს დამუშავებული კანონპროექტი „ადვოკატურის შესახებ“, მთლიანობაში, პროფესიული დაცვის ინსტიტუტის ძლიერი, ერთიანი სისტემის შენარჩუნება-განმტკიცების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სისტემის ფაქტობრივი დამლა-დაკნინების მხარდამჭერთა როლში (ნებსითა თუ უნებლიეთ) დაცვის წარმომადგენელთა ის ნაწილი გვევლინება, რომელიც ერთიანი ადვოკატთა კოლეგიის შესუსტებას საკუთარი თავის წარმოჩენის ინტერესებს უკავშირებს. ამასთან ერთად, მოქმედებს მათი დაინტერესება, პროფესიული დაცვის უფლების მიღებისას, იმ შემზღუდავი პირობების გვერდის ავლისა, რომელიც გათვალისწინებულია (მათი ადვოკატთა კოლეგიაში გაწევრიანების შემთხვევაში), როგორც „ადვოკატურის შესახებ“ მოქმედი კანონით, ისე დღეს განსახილველად წარმოდგენილი კანონის პროექტში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრთაგან განსხვავებით, — „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე შექმნილ გაერთიანებათა წევრების უმეტესობას საერთოდ არ გაუვლიათ სტაჟირება, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მომავალი ადვოკატის აღზრდისათვის. თავი რომ აარიდონ სტაჟირებასთან დაკავშირებულ პროცედურას, ისინი ამჯობინებენ (ადვოკატურისაგან დამოუკიდებელი გაერთიანება — ასოციაციების შექმნით), მომავალშიც შეინარჩუნონ ასეთ გაერთიანებებში საერთოდ გამოუცდელ და მათ შორის შეუფერებელ წარმომადგენელთა მიღება-მუშაობის უფლება, რომელთაც ნორმალური დაცვის სისტემა სტაჟიორადაც ვერ მიიღებს.

მოხდა ისე, რომ ამ მიმართებით ერთმანეთს დაემთხვა სტაჟირებაგვერდაუვლილი, სპონტანურად შექმნილი დამცველთა გაერთიანებების წარმომადგენელთა და იმ სახელმწიფო სტრუქტურების ინტერესები, ვისთვისაც ხელსაყრელი არ არის ძლიერი და გამოცდილი პროცესუალური მოწინააღმდეგე.

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო იმიჯის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოდგენილ კანონპროექტში, როგორც დამცველთა განცალკევებული ასოციაცია-გაერთიანებების წარმოქნის პერსპექტივები, ისე ადვოკატურაზე და ყოველ ცალკეულ ადვოკატზე სახელმწიფო ზემოქმედების განმსაზღვრელი ნორმები — შეფარულად არის წარმოდგენილი.

პროექტის მე-5 მუხლის I პუნქტში პირდაპირ არის ნათქვამი: „სახელმწიფოს მიერ ადვოკატთა საქმიანობაზე კონტროლი, შემოიფარგლება საადვოკატო საქმიანობის საკანონმდებლო მოწესრიგებით“, მაგრამ იქვე მე-2 პუნქტში გახლავთ რეგლამენტირებული, დიამეტრალურად საწინააღმდეგო დებულება, რომ „სახელმწიფო იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით მონაწილეობს, საადვოკატო საქმიანობაზე, ნებართვის გამცემი კომისიის საქმიანობაში“.

სახელმწიფოს მოღვაწეობა, მისი სტრუქტურების მეშვეობით, ადვოკატურის ისეთი არსებითი მნიშვნელობის კომისიის მუშაობაში, რომელიც წყვეტს ნებისმიერი პირისადმი საადვოკატო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის საკითხს, ჯერ ერთი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საკანონმდებლო მოწესრიგების, ანუ კანონშემოქმედების ფორმა (რაც მხოლოდ პარლამენტის ფუნქციებში შედის); მეორე, აკანონებს სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოღვაწეობის უფლებას, დამოუკიდებელი ადვოკატურის ორგანიზაციულ სტრუქტურაში და, მესამეც, სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობენ ისეთი არსებითი საკითხის გადაწყვეტაში, როგორიც არის საადვოკატო საქმიანობაზე ნებართვის გაცემა. ცხადია, რომ ამ გზით სახელმწიფოს წარმომადგენელთა პოზიციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ პირის მომავლის გადაწყვეტის საქმეში, ვინც ადამიანის დაცვის პროფესიის დაუფლება გადაწყვიტა.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, როცა ვეცნობით აღნიშნული პროექტის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტს და ზემოაღნიშნული კომისიის მუშაობის მარეგლამენტირებელ მუხლის შინაარსს.

კანონპროექტის ავტორმა, ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანოს — პრეზიდიუმის სტატუსის განსაზღვრისას, მისი მხოლოდ 4 წლით არჩევა გაითვალისწინა და აქედანაც გვთავაზობს 5 წევრის მარტოოდენ 2 წლის ვადით არჩევას, ეს მაშინ, როცა იგივე კანონპროექტის ავტორები საადვოკატო საქმიანობაზე ნებართვის გამცემი კომისიის 5 წლის ვადით არჩევას გვთავაზობენ, თანაც სახელმწიფოს, ანუ იუსტიციის სამინისტროს 2 წარმომადგენლის იმავე ვადით დანიშვნას.

წარმოიდგინეთ ასეთ პირობებში ვის ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ადვოკატთა კოლეგიისათვის: მისი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს — პრეზიდიუმის წევრებს, რომლებიც 4 და 2 წლის ვადით ირჩევიან, თუ იმ კომისიას, რომელშიც სახელმწიფოს წარმომადგენლები 5 წლის ვადითაც კი ინიშნებიან?

ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თავისთავად პრეზიდიუმის წევრების კანდიდატებად არათანასწორუფლებიანი წევრების არჩევა, რომელთაგანაც ერთნი (ალბათ, როგორც უკეთესნი) 4 წლის ვადით უნდა აირჩნენ, მეორენი კი (ჯერ გაურკვეველი ანუ განუსაზღვრელი მონაცემების გათვალისწინებით) მხოლოდ ნახევარი ვადით აირჩევიან, უკანასკნელთათვის ნამდვილად დამამცირებელია.

— ხშირია შემთხვევები, როცა (სხვადასხვა მიზეზის გამო) ნამდვილად პატივსაცემი ადვოკატები თავს იკავებენ საკუთარი კანდიდატურის პრეზიდიუმის შემადგენლობაში წამოყენებისაგან და ეს მათ პრესტიჟს არაფრით ვნებს.

**აუცილებლად მიგვაჩნია „კანონში ადვოკატურის შესახებ“ დროულად შევიტანოთ მუხლი, რომლითაც პროფესიული დამცველის, პროცესუალური ხელშეუხებლობა გარანტირებული იქნება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ წინასწარი თანხმობის მიცემის დაკანონებით.**

ამავე დროს, იშვიათად მოიძებნება ისეთი და თანაც კვალიფიციური ადვოკატი, რომელიც თანხმობას განაცხადებს პრეზიდიუმის წევრად არჩევაზე ისეთი წინაპირობით, რომ ის უფრო დაბალი კატეგორიის ან ავტორიტეტის მქონე პიროვნებაა და სხვა კანდიდატებთან შედარებით მხოლოდ ნახევარი ვადით არჩევას იმსახურებს.

მიგვაჩნია, რომ ეს, შემდგომში შეიძლება ხელოვნური დაპირისპირების მიზეზი გახდეს.

ასევე ხელოვნური დაპირისპირებისა და პრეზიდიუმის შესაძლებლობების შესუსტების წყაროდ შეიძლება იქცეს საადვოკატო საქმიანობაზე ნებართვის გამცემ კომისიასთან ერთად ეთიკის კომისიის უფრო მეტი ვადით არჩევა, ვიდრე პრეზიდიუმისა (იხ. მუხლი მე-12), თანაც ისეთ პირობებში, როცა ამ მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული კომისია თავის ნამუშევარს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსახილველად და გადაწყვეტილების მოსაღებად წარუდგენს პრეზიდიუმს.

გვესმის, რომ აღნიშნულ კომისიათა მოქმედების ვადები, საბოლოო ანგარიშში ქმნის ადვოკატურის მოღვაწეობაში მონაწილე სახელმწიფო მოხელეების მნიშვნელობის დამკვიდრებას, მაგრამ ეს არ შეესაბამება ადვოკატთა კოლეგიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს.

ასევე შეპარვით ხდება ადვოკატთა კოლეგიის ერთ-ერთი ძირითადი უფლების — საადვოკატო საქმიანობაზე ნებართვის გაცემასთან ერთად, მისი ჩამორთმევისა და დისციპლინური სასჯელის დადების იმ კომისიისათვის დაკისრება, რომელშიც სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობენ. კერძოდ, მე-8 მუხ. მე-4 პუნქტი განმარტავს, რომ სწორედ ეს კომისია ამოწმებს ადვოკატის მიღებაზე უარის თქმისა და ნებართვის გაუქმების საფუძვლიანობას, ანუ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობით მომქმედი კომისია ადვოკატის ბედის გადამწყვეტ ორგანოდ გვევლინება.

თუ ზემოაღნიშნულთან ერთად გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ერთიანი ადვოკატთა კოლეგიის დამლა-დაკნინება, კოლეგიისაგან დამოუკიდებელი გაერთიანებებისა და სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალურად ლიცენზირებული ადვოკატების სახით, ჯერ შეასუსტებენ, შემდგომ კი პრაქტიკულად გამორიცხავენ საქართველოს სსსკ 262-ე მუხლით დაწესებული იმ გარანტიის მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების არც ერთი შტოს წარმომადგენელს, უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, არ აქვს უფლება ადვოკატის კონკრეტული პროცესიდან ჩამოცილებისა, ამ საკითხის ადვოკატთა პრეზიდიუმის მიერ განხილვის გარეშე, იქმნება აშკარა საშიშროება ადვოკატურის სახელმწიფოსი და მისი ორგანოების (ფაქტიური პროცესუალური მოწინააღმდეგეების) წინაშე — დაუცველად დატოვებისა.

ეს დაუშვებელია, იმ დროს, როდესაც ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში შექმნილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი, ითვალისწინებს რა პროფესიული დამცველის პროცესუალურ დაპირისპირებას მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების ორგანოებთან, თანაც, როდესაც დღეს სასამართლოს, გამოძიების დაწყებიდან, ხშირად კი საქმის აღძრამდისაც კი, უხდება მონაწილეობა დასაცავისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში — ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაძლიერდა.

მით უმეტეს დაუშვებელია თვით „ადვოკატურის შესახებ“ კანონში მივიღოთ ისეთი მუხლები, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავენ საქართველოს სსსკ 262-ე მუხლის რეალური გამოყენების შესაძლებლობას.

რა ქნას სასამართლომ, ვის მიმართოს, თუ ადვოკატთა კოლეგიის უფლებებით ისარგებლებს, ამ კოლეგიისაგან დამოუკიდებლად მომქმედი ის 50-წევრიანი ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელის მოქმედებაც, საქმის განმხილველ მოსამართლეს მისი დასჯისა და საქმიდან ჩამოცილების საფუძვლადაც კი მიაჩნია?

ისეთ პირობებში, როცა აღნიშნული მუხლის მოთხოვნის გამოყენებით, იგივე პირობებში, ნებისმიერი პროკურორის მიმართ ამ საკითხებს, განსახილველად, — სასამართლო გენერალური პროკურატურის კოლეგიის წინაშე აყენებს (თუ არ გვინდა საბჭოური კანონისაგან განსხვავებითაც კი დამცველი სახელმწიფოსი და მისი უშუალო პროცესუალური მოწინააღმდეგისაგან ისეთ დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში მოვაქციოთ, როცა ეს ორგანოები წყვეტენ მისი ყოფნა არყოფნის საკითხს), — ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს პროფესიულ დამცველებად პროცესში ისეთი პირების მონაწილეობა, რომლებიც არ არიან ადვოკატთა კოლეგიის წევრები, და მათი დასჯა-ჩამოცილება-გარიცხვის საკითხი პროცესუალურ მოწინააღმდეგეთა გადასაწყვეტი გახდება.

ადვოკატთა კოლეგიისა და ყოველი ადვოკატის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტის მე-8 მუხლის I პუნქტის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ადვოკატთა კოლეგიას და მხოლოდ მას ევალება: ა) „საადვოკატო საქმიანობის ნებართვის გაცემა და ნებართვის ჩამორთმევა“, — ამ საქმიანობაში სახელმწიფოს მოხელეთა მონაწილეობის გარეშე.

ადვოკატურის საქმიანობაში ჩარევად მიგვაჩნია ამავე პროექტის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული შეზღუდვები, რომლის მიხედვითაც ადვოკატთა კოლეგიის წევრებს ართმევენ უფლებას პრეზიდიუმის წევრად წამოაყენონ ადვოკატი: ა) რომელსაც შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულებები; ბ) რომლის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლებრივი დევნა: გ) რომელმაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მიიღო დისციპლინური სახდელი, ან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჩამორთმეული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის უფლება.

პირველ შემთხვევაში, გაურკვეველია, რას ვიყენებთ პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის დისკრედიტაციის საფუძვლად? ნუთუ იმას, რომ მას არ აღმოაჩნდა საკმარისი სიმდიდრე ქონებრივი ვალდებულების ანაზღაურებისათვის და, რითი სჯობია მას ის ადვოკატი, რომელსაც ეს ქონება აქვს.

კიდევ უფრო მიუღებელია პრეზიდიუმის წევრთა კანდიდატად წამოყენების ისეთი შემზღუდავი მონაცემები, როგორიც გახლავთ მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის აღძვრა, რამდენადაც ჩვენ ვიბრძვით უდანაშაულობის პრეზუმპციის უკლებლივ ყველა მოქალაქისადმი დამკვიდრებაზე და ვიცავთ მოსახლეობას იმისაგან, რომ არც ერთი მათგანის დისკრედიტაცია არ მოხდეს, მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის მხოლოდ აღძვრის ფაქტთან დაკავშირებით.

ასეთ პირობებში ადვოკატის დისკრედიტაციისათვის მსგავსი მოტივის გამოყენება განაპირობებს მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის მიერ, პრეზიდიუმის შემადგენლობის შერჩევაზე ზემოქმედების განხორციელების ხელოვნური ბერკეტის შექმნას ისეთი სახის სისხლის სამართლის დევნის აღძვრით, რომელიც შეწყდება პრეზიდიუმის არჩევნების დამთავრებისთანავე, — რაც დაუშვებელია.

უფრო მეტიც, როგორც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, აუცილებლად მიგვაჩნია „კანონში ადვოკატურის შესახებ“ დროულად შევიტანოთ მუხლი, რომლითაც პროფესიული დამცველის, პროცესუალური ხელშეუხებლობა გარანტირებული იქნება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ წინასწარი თანხმობის მიცემის დაკანონებით. როგორც ეს გარანტირებულია სახალხო დამცველისა და ჩვენს პროცესუალური მოწინააღმდეგეების მიმართ, თანაც მოსამართლეთაგან განსხვავებით, თანხმობა გაიცემა არა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, არამედ პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობის მიერ.

ასევე, მიუღებელია აღნიშნული მუხლის „გ“ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნა, რათა პრეზიდიუმის წევრად არ იქნეს წამოყენებული ადვოკატი: „რომელმაც 5 წლის განმავლობაში მიიღო დისციპლინური სახდელი, ან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჩამორთმეული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის უფლება“.

მთავარია ის, თუ რაოდენ გამართლებული იყო მისი დასჯა და რამ განაპირობა აღნიშნული ადვოკატის საადვოკატო საქმიანობაში დაბრუნება, რადგან პრეზიდიუმის არჩევნების წინ ის რომ ადვოკატია — ეს უდავოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მსგავსი შეზღუდვები წარმოადგენს ადამიანის უფლებების, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპული მოთხოვნათა უხეშ დარღვევას, რის გამოც ისინი კანონპროექტიდან უნდა ამოვიღოთ და ადვოკატთა კოლეგიის წევრებს მივცეთ უფლება, ყველა ზემოხსენებული მონაცემების გათვალისწინებით, თვითონ გადაწყვიტონ: ვინ იმსახურებს პრეზიდიუმის კანდიდატად წამოყენებისა და არჩევის უფლებას.

**შალვა რჩეულიშვილი, ზურაბ ტაბიძე,**
ადვოკატები.

(დასასრული იქნება).

---

იუბილე

# არნოლდ ჩიქობავა



დღეს სრულდება ასი წელი მსოფლიო სახელის მქონე დიდი ქართველი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან. სულ მალე დასრულდება მეოცე საუკუნეც, რომელიც იქნებ ყველაზე გრძელი და ტევადი იყო ჩვენი ერის ისტორიაში, თუნდაც იმიტომ, რომ მას სხვადასხვა რიგის მოვლენათა სიმრავლე და ინტენსივობა, ამასთანავე, ამ მოვლენათა მძაფრი საზოგადოებრივი განცდა ახასიათებდა.

ტევადი იყო ეს საუკუნე ჩვენთვის იმიტომაც, რომ მის წიაღში აღმოცენებულ დიდ სახელთაგან შემდგომ საუკუნეებში უფრო მეტი გადავა, ვიდრე მთელი ჩვენი ისტორიიდან დღემდე მოღწეულა. ერთი ამ სახელთაგანია არნოლდ ჩიქობავა, რომელმაც, აკად. გეორგ ჯაუკიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაიყვანა ქართული ენათმეცნიერება საერთაშორისო სარბიელზე, მიაღწია იმას, რომ მის სიტყვას ყველა უსმენდა“.

ალბათ, ბედნიერი შემთხვევითობა იყო, რომ ახლადშექმნილი თბილისის უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესურა გამორჩეულ სტუდენტობას შეხვდა. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც ქუთაისის გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1918 წელს ჩაირიცხა არნოლდ ჩიქობავა, ლექციებს კითხულობდნენ დიდი ივანე ჯავახიშვილი და მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე. უშუალოდ მათს ღვაწლს უკავშირდება ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების აღორძინება და აღმავლობა მეოცე საუკუნეში. „ოქროს ხუთეული“ უწოდა ა. შანიძემ იმ ხუთ ახალგაზრდას, რომელიც ასპირანტურაში დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. ესენი იყვნენ: შალვა ამირანაშვილი, კოტე ბაქრაძე, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია და არნოლდ ჩიქობავა. თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდგომში საერთოდ ქართული მეცნიერების განვითარებაში.

არნ. ჩიქობავა მოგვიანებით წერდა: „მეცნიერება თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია, მაგრამ ის არ უპირისპირდება ნაციონალურს, პირიქით, გულისხმობს მას. ინტერნაციონალურია მეცნიერების შინაარსი, ნაციონალურია ამ შინაარსის გადმოცემის საშუალება, ენა. ეს ქმნის საფუძველს ვილაპარაკოთ „რუსული მეცნიერების“, „ფრანგული მეცნიერების“... „ქართული მეცნიერების“ შესახებ... ქართულად აზროვნება (სხვადასხვა) სპეციალობაში ჩვენს ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას“.

არნ. ჩიქობავამ, პირველმა უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. როგორც გადმოგვცემენ, ეს დაცვა თბილისის უნივერსიტეტში ნამდვილი დღესასწაული ყოფილა. იგი ცხრა საათს გრძელდებოდა. დისერტანტის ბრწყინვალე პასუხებმა პაექრობა ქართული მეცნიერული აზროვნების ზეიმად აქცია.

შემდგომშიც არაერთხელ აღტაცებულა მსმენელი ბატონი არნოლდის პოლემიკური ნიჭით, რაც ემყარებოდა საკითხის ყოველმხრივსა და ღრმა ცოდნას, ფართო ერუდიციას, ნათელ აზროვნებას, რკინისებურ ლოგიკას, ჭეშმარიტების შეურყეველ ერთგულებასა და პიროვნულ გაბედულებას. ამ ჭურვეულით შეიარაღებულის დამარცხება შეუძლებელი იყო.

„მე იგი პირველად 1950 წელს ვნახე მოსკოვში, ცნობილი დისკუსიის შემდეგ (იგულისხმება გაზეთ „პრავდას“ მიერ ენათმეცნიერების საკითხებზე გამართული თავისუფალი დისკუსია, რომლის შედეგად აღიკვეთა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მონოპოლიზმი — გ. კ.), როდესაც მისი სახელი მთელს მსოფლიოში ქუხდა, როდესაც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მისი ყოველი სიტყვა, რომელიც იყო მნიშვნელოვანი და საჭირო ჩვენთვის, იმ დროის ახალგაზრდა ენათმეცნიერთათვის: იგი იქცა ლეგენდა-კაცად“, — წერდა აკად. გ. ჯაუკიანი.

აკად. ალექსანდრე რობაქიძე იგონებს, თუ როგორ იცავდა ბატონი არნოლდი მოსკოვში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გეგმას, რომელსაც საკავშირო აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე განიხილავდნენ: „აქ კიდევ ერთხელ გაიელვა არნ. ჩიქობავას პოლემიკურმა ნიჭმა... პირველად ოპონენტს შეუტია, რომ იტყვიან ხოლმე „ჯიქურ“. ულმობელი თანამიმდევრობით უსვამდა კითხვებს (რომელთაგან ძირითადი იყო, რად უწოდებდა ოპონენტი განწყობის თეორიას იდეალისტურს) და მკაცრად აკრიტიკებდა მის დასკვნებს. ბოლოს ოპონენტს ათქმევინა: „რა ვიცი, ასე ამბობენო“. აქედან მოყოლებული იმდენ ასპექტში გაანალიზა ოპონენტის ეს „არგუმენტი“, სანამ აკად. ალ. უდალცოვმა რამდენჯერმე არ გაიმეორა: „ბატონო არნოლდ, ყველაფერი ნათელიაო“. ასე დაიცვა საქვეყნოდ ცნობილმა ენათმეცნიერმა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გეგმა, არსებითად კი — განწყობის თეორია, რომელმაც საბოლოოდ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა“, — დასძენს ავტორი.

დებატები სხვაც ბევრი იყო. იმავე მოსკოვში, მაგალითად, ფილოსოფიის საკითხებზე კამათისას არნოლდ ჩიქობავამ, მხილველთა გადმოცემით, ისე მოიმწყვდია ჩიხში სპეციალისტები, რომ გასაქანი არ მისცა. სიმართლის მაძიებელი, გამჭოლი და შეუპოვარი მზერით ბატონი არნოლდი ხშირად ახრევინებდა ძირს „მაღლადმხედურ“ თვალს „მეტროპოლიას“. ასეთ ფაქტებს მისთვის ჩვეული ღიმილიანი ირონიით შეაფასებდა ხოლმე შემდეგ.

ცნობილ დისკუსიამდე ათი წლით ადრე, 1940 წელს ბატონმა არნოლდმა ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის, პრობლემა საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითად ამოცანათა შუქზე“, სადაც წარმოდგენილი იყო მეცნიერის პრინციპული მოსაზრებანი ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო პრობლემებზე. ფაქტობრივად ამის გაგრძელება იყო 1950 წლის დისკუსია. მოხსენებამ გარდატეხა შეიტანა რიგი თეორიული საკითხისადმი მიმართებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაშინ, როცა საბჭოური ლინგვისტური ატმოსფერო იმდენად დამძიმებული გახლდათ ერთადერთ მარქსისტულ და ჭეშმარიტ კონცეფციად გამოცხადებული „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ბატონობით, რომ თავისუფლად სუნთქვა ჭირდა. სწორედ ამ თეორიის მიმდევრებთან საკამათოდ იყო ბატონი არნოლდი ჩასული რუსეთში. მას ყოველთვის სწამდა, რომ „ჭეშმარიტებას ვინც ეძებს, ჭეშმარიტების უკომპრომისო დამცველიც უნდა იყოს (კომპრომისი მეცნიერებასთან შეუთავსებელია)“. მეცნიერული სიმართლის გარკვევისკენ მიმართული ბრძოლა ამჯერადაც უკომპრომისო აღმოჩნდა. აკად. ლ. შჩერბას გაოგნებულს უკითხავს, რომელი ევროპული უნივერსიტეტი აქვს დამთავრებულიო (არნ. ჩიქობავას არსად არც ერთი დღე არ უსწავლია საქართველოს გარეთ).

ბატონ არნოლდს იმხანად წერილები გამოუგზავნია სიმონ ჯანაშიასათვის, სადაც ლაპარაკია მოხსენებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებზე და ამასთანავე, გამოკრთის მისი ღიმილიანი ირონია, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

„იყო წკიპურტები ჩემდა მომართ (ბიხოვსკაიასი); მოხსენების შემდეგ იბოდიშა.

შჩერბამ: ყველას ედავება მომხსენებელიო. მოხსენებაში ბევრი საკითხია. ერთი თხუთმეტი დღე რომ ვისაუბრო მომხსენებელთან, ვგონებ მოვრიგდეთო.

პოზიტიური ნაწილის შესახებ მხოლოდ ორიოდე შენიშვნა იყო, არაარსებითი: Cave ant consules (აქ ბატონი არნოლდი ლათინური გამოთქმით — „კონსულები ფრთხილად იყვნენ, რომ რაიმე ზიანი არ მიადგეს რესპუბლიკას“, ირონიულად მიანიშნებს მეტროპოლიის ამბიციასა და „სიფხიზლეზე“. — გ. კ.). კმაყოფილი იმით უნდა ვიყოთ, რომ მეცნიერული დონის საკითხი უზრუნველყოფილი იყო; დამსწრენი აქედან გამოდიოდნენ. ერთი სიტყვით, პროვინცია და მათხოვარი არ გამოვდიოდით.

შჩერბამაც და ჟირმუნსკიმ შემდეგ სხდომაზე თავისი შრომები მითავაზეს „გულის ამაჩუყებელი თავაზიანობით“.

„...იამ-ში გამაკეთებინეს ჩვენი განყოფილების მუშაობის შესახებ ინფორმაცია. იყვნენ ადგილობრივნიც, იაკოვლევ-პეტროსიანიც (ორი კაცია! — გ. კ. ). აქაც ქვევიდან არავის ვუყურებდით...“

„... ი. მეშჩანინოვმა „გადაგვიპატიჟა“ ჩაიზე... ბოლო სიტყვაში ორიოდე ფრაზა იყო დიპლომატიის არასაჭიროების შესახებ მეცნიერებაში (ვგულისხმობდი კაცნელსონის მაგვარს). მივიღე ზოგის მადლობა სწორედ ამისთვის.

დრო საათნახევარი მომცეს...

იყვნენ: კრაჩკოვსკი, უმაკოვი, ფრეიმანი, ჩერნიშევი და სხვა.

ვფიქრობ, არ შევრცხვით (ეგების ამან „დაამშვიდოს“ ალ. ლეონა — შემაძრწუნებელი სანახაობა იყო, როცა სამიელინებო თანხებს ანგარიშობდა)...“

შემთხვევით არ გასჩენია შჩერბას კითხვა. არნ. ჩიქობავა ევროპული ტიპის მოაზროვნე და მეცნიერი გახლდათ. ეს ვლინდებოდა არა იმდენად იმით, რომ იგი დასავლური ენების შესანიშნავი მცოდნე და მომხმარებელი იყო, რამდენადაც მისი მსჯელობის, აზროვნების, წერის კულტურითა და ცხოვრების სტილით.

„ევროპეიზმის“ განმარტებისას ა. სავინიოს „ახალ ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ: „ევროპას, თუ იგი „ევროპული“ ევროპაა, კარგად ესმის, რომ არავითარი იდეა არ შეიძლება იყოს „მთავარი“, არც ერთი იდეა არ იმსახურებს იმას, რომ ცენტრალურად, ყველაზე მართებულად, ყველაზე ლამაზად, ყველაზე კარგად მიაჩნდეთ. ასეთია იდეათა „დემოკრატია“ — პროგრესის ერთადერთი პირობა. საკმარისია იდეა დაღვეს, რომ მაშინვე წარმოიქმნება მისი დინების შემაფერხებელი თრომბი, რომელიც პროგრესს აკავებს. „უძრავი“ იდეის გარშემო კი განგრენული სალტე ჩნდება“.

ახლა ვნახოთ, რას წერს არნ. ჩიქობავა: „...მეცნიერების ზოგადპრინციპული დებულებების ერთიანობა სრულიადაც არ გამორიცხავს სხვადასხვაგვარი კონცეფციების არსებობას, არ გამორიცხავს ენის შესახებ მეცნიერების პრობლემათა სხვადასხვაგვარ გაგებას; სხვადასხვა ენათმეცნიერულ სკოლებს ისევე აქვს არსებობის უფლება მეცნიერებაში ენის შესახებ, როგორც სხვა მეცნიერებებში.

ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე ჩვენ გვესახება, როგორც ამ საკითხების ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა, ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი.

როდესაც ენის სპეციალისტი პრეტენზიას აცხადებს „ერთადერთ გადაწყვეტაზე“, ამით იგი ხელს უწყობს ცალკეულ სპეციალისტთა მონოპოლიის შექმნას, რაც, როგორც ისტორიამ გვაჩვენა, ნაკლებად უპასუხებს ენის შესახებ მეცნიერების განვითარების ინტერესებს“.

ევროპეიზმის, როგორც კულტურის ფორმის, ფუძემდებელ თვისებად **თანამშრომლობას** მიიჩნევენ და ევროპეიზმის თვითმყოფადობასაც ამაში ხედავენ.

ამ ნიშნითაც იყო აღბეჭდილი არნ. ჩიქობავას მთელი მოღვაწეობა. არა თავზე წამომდგომი ჭკუის დარიგებითა და ჭკუის სწავლებით, არამედ **თანამშრომელი** საქმიანობითა და ურთიერთობით უკავშირდებოდა იგი ადამიანებს. ვფიქრობთ, რომ ეს არანაკლები მნიშვნელობისაა მის სხვა ღირსებებზე (დიდი ტალანტი, ტიტანური შრომის უნარი, უბადლოდ მრავალმხრივი განსწავლულობა, გასაოცარი ორგანიზებულობა, შეუვალი პრინციპულობა, პიროვნულზე წინ საზოგადოებრივი ინტერესების დაყენება, ასკეტიზმი საკუთარი თავის მიმართ და სათუთი ზრუნვა სხვაზე). შეიძლება სწორედ ამ თვისებამ, რომელიც მუდმივ სულიერ მდგომარეობას უფრო ჰგავს, არა მარტო განსაზღვრა მისი ცხოვრების ეთიკური მხარე, არამედ შემოქმედებითი მხარეც განაპირობა, რომელიც არაჩვეულებრივად პროდუქტიული იყო: არნ. ჩიქობავას ინიციატივით, მთავარი რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ამგვარი ლექსიკონის დაბადება ყოველი ერის ცხოვრებაში ისტორიულ მოვლენად აღიქმება, თვით ენისათვის კი ეს ხელთუქმნელი ძეგლის აგებაა! არნ. ჩიქობავამ ჩამოაყალიბა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც ლინგვისტური დარგი და ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა მთელი თაობები აღზარდა, მსოფლიო მეცნიერების მაღალი სტანდარტების დონეზე აიყვანა ქართული სამეცნიერო აზრი და ა. შ. და ა. შ.

არნ. ჩიქობავამ მთელი თავისი ცხოვრებით მამულიშვილობის, მოქალაქეობის, მაღალზნეობრიობისა და კაცთმოყვარეობის მისაბაძი მაგალითიც დაგვისახა. მისი პიროვნებისა და მისი ნაღვაწის საზოგადოებრივ-კულტურული მნიშვნელობა შორს სცილდება საქართველოს ფარგლებს, რაზეც უშუალოდ და ცოცხლად მეტყველებენ მის მოწაფეთა გამონათქვამები.

პროფ. ნურისლამ ჯიდალაევი (დაღესტანი):

„იბერიულ-კავკასიური თეორია მასშტაბურობითა და მიზანდასახულობით უეჭველად დგას მსოფლიოს მნიშვნელოვან თეორიათა და მიმდინარეობათა გვერდით. უშუალოდ მისგან გამომდინარეობს კავკასიის ყოველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობა და ამ ხალხების მრავალსაუკუნოვანი ერთიანობის შეგნება, ერთიანობისა, რომლის ფესვებიც ათასეული წლების სიღრმეში მიდის.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამაში ვგრძნობთ უდიდეს ჰუმანისტურ საწყისს, რომელიც იბერიულ-კავკასიურ იდეაში ძევს. იბერიულ-კავკასიური თეორია ობიექტურად მოიცავდა უდიდეს მაორგანიზებელსა და შთამაგონებელ იმპულსებს. კავკასიოლოგი მეცნიერების ეროვნული რაზმების წარმოქმნა უშუალოდ განპირობებული იყო იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარებით. ამაში ვხედავთ იბერიულ-კავკასიური თეორიის კულტურულ-პრაქტიკულ მნიშვნელობას.

არნოლდ ჩიქობავას სახით ჩვენ წინაა მსოფლიო სახელის მქონე ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, ქართული ეროვნული აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კავკასიის პატრიოტი, მეცნიერ-ინტერნაციონალისტი, მეცნიერ-მებრძოლი, პრინციპული და გაბედული იდეისათვის ბრძოლაში, პატიოსანი და კეთილშობილი მოქალაქე...“

პროფ. ზეინაბ კერაშევა (ადიღე):

„... ჩრდილოკავკასიელი ხალხები — დაღესტნის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეს მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები კარგად იცნობენ არნოლდ ჩიქობავას სახელს.

ბატონმა არნოლდმა დიდი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ იგი იყო ამ რესპუბლიკათა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

არ დარჩენილა ჩრდილოეთ კავკასიის არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკა თუ ოლქი, ბატონ არნოლდს იქ რომ მოწაფეები არ ჰყოლოდა.

არნ. ჩიქობავა იყო არა მხოლოდ მეცნიერი-თეორეტიკოსი, მას აღმოაჩნდა იშვიათი უნარი ხალხების გაერთიანებისა და მათი შეგობრობის განმტკიცებისა...“

პროფ. აფთი თიმაევი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი):

„... იგი მარტო საქართველოს შვილი როდი იყო. თვითონ უდიდესი ინტერნაციონალისტი — ყოველი ნაწილით ეკუთვნოდა ყველას, იგი ეკუთვნოდა ჩეჩნეთ-ინგუშეთსაც... ნახური ენათმეცნიერება სამუდამოდ არის დაკავშირებული არნოლდ ჩიქობავას სახელთან“.

პროფ. ტამერლან გურიევი (ჩრდილოეთ ოსეთი):

„არნოლდ ჩიქობავა ზრუნავდა მეცნიერების დღევანდელ დღესა და მომავალზე. იგი მზრუნველობით ზრდიდა ახალ ყლორტებს იმაზე ფიქრით, რომ მათი ნაყოფით ისარგებლებდნენ მომავალი თაობები. [illegible] ზრუნავდა იგი, კერძოდ, ოსურ ენათმეცნიერებაზე“.

პროფ. ჯამალდინ კოკოვი (ყაბარდო-ბალყარეთი):

„ჩრდილო კავკასიის ხალხმა დაკარგა თავისი დიდი მფარველი. არნ. ჩიქობავას უდიდესი სამეცნიერო მემკვიდრეობით კიდევ დიდხანს ისაზრდოებს კავკასიური ენათმეცნიერება. ხოლო პიროვნულმა მომხიბვლელობამ, პრინციპულობამ, მოზარდ თაობაზე ჭეშმარიტად მამობრივმა ზრუნვამ, უდიდესმა მოქალაქეობრივმა სიმამაცემ არნ. ჩიქობავას მოუტანა საყოველთაო სიყვარული“.

1985 წელს, როცა ბატონი არნოლდი გარდაიცვალა, სრულიად საქართველოსთან ერთად მას გლოვობდა მთელი კავკასია, რადგან, როგორც ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა თქვა: „ის საერთოკავკასიელი მოქალაქე და ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველი იყო“, რომელსაც ჩრდილო კავკასიის ხალხებმა თავიანთი დიდი მფარველი და კავკასიის დიდი შვილი უწოდეს.

**გუჩა კვარაცხელია,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ხიდი KÖPRÜ

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 14 (65)


ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA, KENDİ CANINA DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

# „ჩვენ აგურ-აგურ ვაგებთ იმ შენობას, რომლის დანგრევა შეუძლებელი იქნება და რომელსაც საქართველო-თურქეთის ურთიერთობა ჰქვია“

ედუარდ შევარდნაძე.



პირისპირ შეხვედრა.

## მესუთ ილმაზი მოგვესალმა

„მინდა გულითადად მივესალმო მოძმე და მეგობარ ქართველ ხალხს“, — ქართულად თქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა რადიოსადგურ „თურქეთის ხმაში“ ქართულ ენაზე მაუწყებლობის დაწყებისა და საქართველოში მისი ოფიციალური ვიზიტის პირველ დღეს.

„ჩვენ ამ გეოგრაფიულ სივრცეში მეტად მნიშვნელოვანი ხიდის ორ ბურჯს წარმოვადგენთ: გარდა იმისა, რომ საქართველო ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, იგი იმავდროულად რეგიონის სხვა ჩვენს მოძმე ხალხებთან შესასვლელი ღია კარიბჭეც არის. საქართველოსთვის თურქეთიც ასევე მუდამ იქნება ღია კარი ევროპაში შესასვლელად.... ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები — წარმოშობით მრავალი ქართველი მოქალაქე ორი ქვეყნის ერთმანეთთან დამაკავშირებელი მტკიცე ხიდია“, — დასძინა მესუთ ილმაზმა.

თურქეთიდან ქართულ ენაზე პირველი გადაცემა გაიმართა 13 მარტს, თბილისის დროით 22 საათზე. მის მომზადებაში მონაწილეობდნენ თურქეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

რადიომაუწყებლობა „თურქეთის ხმა“ თურქული ენის გარდა, გადაცემებს აწარმოებს 17 სხვადასხვა ენაზე.

### არჩევნები

## „თურქეთ-საქართველოს თანადგომისა და აღორძინების ედუარდ შევარდნაძის ფონდის“ კონფერენცია

1998 წლის თებერვალში ანკარაში გაიმართა „თურქეთ-საქართველოს თანადგომისა და აღორძინების ედუარდ შევარდნაძის ფონდის“ მორიგი კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების“ პრეზიდენტი ნუგზარ ფოფხაძე, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს.

კონფერენციამ მოისმინა ფონდის გამგეობისა და საფინანსო კომისიის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ. კამათის შემდეგ აირჩიეს მმართველი საბჭოს ახალი შემადგენლობა.

### ღვაწლი

## ჯილდოები — ღირსეულთ

20 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ორდენები და მედლები გადასცა ჩვ. ნი ქვეყნის თვალსაჩინო მუშაკთა დიდ ჯგუფს — გამოჩენილ მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს, დამსახურებულ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, და დღესაც იღვწიან ქართული კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში და მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ — სამშობლოს წინსვლა და აღმშენებლობა.

საზეიმო ცერემონიის დაწყებამდეკი სხდომათა დარბაზის ფოიეში ჭაღარამოსილი, დამსახურებული ადამიანები თავდაჭერილი ღიმილით, გულთბილად ესალმებოდნენ ერთმანეთს. აქ იყვნენ მარიკა ლორთქიფანიძე, თამარ ლაშქარაშვილი, ნელი გურგენიძე, ზაალ გელდიაშვილი, გიორგი თავამაიშვილი, დიმიტრი ქართველიშვილი, ლორიკ მარშანია, თენგიზ არჩვაძე, გიორგი შენგელაია, იმედო კახიანი, კოკა იგნატოვი, ნოდარ გურაბანიძე, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ელოშვილი, ილია დათუნაშვილი, ოთარ ლითანიშვილი, გიორგი ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე, თემურ გოცაძე, მედეა ძიძიგური, გია ჭირაქაძე და სხვები, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

შეკრებაზე ითქვა, რომ დღეს აქ ქართული ინტელიგენციის რჩეული წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

დიახ, იმ დღეს სახელმწიფო კანცელარიის სხდომათა დარბაზში ცნობილ პიროვნებებს მოეყარათ თავი.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ•მადლობა მოახსენა მათ სამშობლოს წინაშე გაწეული დიდი ღვაწლის გამო და დამსახურებული ჯილდოები გადასცა.

შეკრებაზე საქართველო-თურქეთს შორის მეგობრობის დამკვიდრების საქმეში ქართულ-თურქულენოვანი გაზეთ „ხიდის“ წვლილიც აღინიშნა და მის რედაქტორს აბესალომ იმედაშვილს მთავრობის საპატიო ჯილდო — ღირსების ორდენი გადაეცა.

წარმატებები და ჯილდოები ნუ მოშლოდეს ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს!

მამუკა ქურიძე.



დაჯილდოების შემდეგ.

### ქალთა უფლებები

## თურქეთში აღნიშნეს 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე

თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ქალთა საერთაშორისო დღესთან 8 მარტთან დაკავშირებით ქალებს მიმართვა გაუგზავნა. მიმართვაში პრეზიდენტი ს. დემირელი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონი თურქი ქალებისათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიკეთეა. დღევანდლამდე ჩვენ 70 წლის ბრძოლის შედეგად მოვედით. აქედან უკან აღარ დავიხევთ, ამიტომ შეშფოთებისათვის საფუძველი არ არსებობს. თურქი ქალი ძალიან კეთილი, მოსიყვარულე დედაა, ოჯახის დედაბოძია, იგი ყოველგვარ სიძნელეებს უმკლავდება, და თანამედროვე საზოგადოებაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა, — დაასკვნის პრეზიდენტი.

8 მარტთან დაკავშირებით ანკარის „ათათურქის კულტურის ცენტრში“ ღონისძიებაში მონაწილეობდა პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი. ქალთა დემონსტრაციები და მიტინგები მოეწყო ანკარაში, სტამბოლსა და სხვა ქალაქებში. „შარიათი ვერ დამყარდება“, — ეწერა ერთ-ერთ ლოზუნგზე. სტამბოლის თაქსიმის მოედანზე ქალთა დემონსტრაციის დროს იყო შეტაკებაც.

საქართველოს რესპუბლიკა
№73. ხუთშაბათი, 26 მარტი, 1998 წელი.



# პრესის ფურცლებზე

## შეხვედრა ჩირაღანის სასახლეში

სტამბოლში ჩირაღანის სასახლეში მოეწყო ხუთი ქვეყნის: თურქეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეხვედრა. ამ შეხვედრის მთავარი საკითხები იყო კასპიის ზღვის ნავთობის დასავლეთის ბაზრებზე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენით გატანა და ევრაზიის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის განხორციელება. შეხვედრის დახურულ სხდომაზე შეიმუშავეს ერთობლივი განცხადება, რომელიც გამოაქვეყნა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა. განცხადება, რომელზეც ხელს აწერენ ხუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, შეიცავს შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებს:

მინისტრებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ ენერგეტიკულ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხუთი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით. ენერგორესურსები დასავლეთის ბაზრებზე უნდა გატანილ იქნეს რამდენიმე მილსადენით.

მინისტრები გაგებით ეკიდებიან თურქეთის პოზიციას სრუტეებში მოძრაობის მეტისმეტი ინტენსიურობის გამო. სრუტეების ზედმეტი გადატვირთვა საფრთხეს უქმნის არა მარტო სტამბოლსა და მის მოსახლეობას, არამედ ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც სრუტეებით სარგებლობენ.

**ყველა გაზეთი, 3.3.98.**

## სულეიმან დემირელი აფრთხილებს

პარიზიდან დაბრუნებისას, თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ფრანგული ჟურნალების წარმომადგენლებს განუცხადა: „თუ ვინმე გეგმავს მახლობელ აღმოსავლეთში ქურთული სახელმწიფოს შექმნას, უნდა იცოდეს, რომ არაბ-ისრაელის კონფლიქტს კიდევ ერთი დიდი კონფლიქტი დაემატება. აშშ-მა უნდა დაიცვას ერაყის ტერიტორიული მთლიანობა."

**„ზამანი", 21.2.98.**

## კეთილდღეობის პარტია ისტორიას ჩაბარდა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „კეთილდღეობის" პარტიის გაუქმების შესახებ გამოქვეყნდა ოფიციალურ გაზეთში („რესმი გაზეთე") და, მამასადამე, უკვე ძალაში შევიდა. ნეჯმეთინ ერბაქანმა, შევქეთ კაზანმა, აჰმეთ ტექდალიმ, შევქეთ ილმაზმა, ჰ ასან ჰუსეინ ჯეილანმა და ჰალილ იბრაჰიმ ჩელიქმა დეპუტატობის მანდატი დაკარგეს.

**ყველა გაზეთი, 22.2.98.**

## აშშ მხარს უჭერს ბაქო-ჯეიჰანის ხაზს

თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ჯუმჰურ ერსუმერმა მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმში, რომელიც გამართა თურქეთ-ამერიკის ბიზნესმენთა საბჭომ. – ერსუმერს შეხვედრები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრთან. ერსუმერმა განაცხადა, რომ ამერიკა მხარს უჭერს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხაზს.

1.730 კმ-ის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა 2,5 მილიარდი დოლარი დაჯდება.

**ყველა გაზეთი, 1.3.98.**
**„საბაჰი" ,7.2.98.**



## პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა რომის პაპი თურქეთში მიიწვია

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა რომის პაპს იოანე პავლე II-ს ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა. პრეზიდენტი თავის წერილში წერს: „დიდად მოხარული ვიქნები, თუ პატივს დაგვდებთ და თურქეთს ეწვევით თქვენთვის მოსახერხებელ დროს. თქვენი ვიზიტი იესო ქრისტეს დაბადებიდან 2000 წლისთავის წინ თურქეთსა და ვატიკანს შორის მეგობრული ურთიერთობის ისტორიის კიდევ ერთ ახალ გვერდს გადაშლის."

**„მილიეთი", 7.2.98.**

## ბალკანეთის ქვეყნებთან ურთიერთობისათვის

ბალკანეთის ქვეყნებთან ურთიერთობა ამ ბოლო ხანს აშკარად გამოიკვეთა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში.

როგორც ცნობილი გახდა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა სამინისტროში მიიწვია თურქეთში ბალკანეთის ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მათთან.

შეხვედრის შემდეგ გავრცელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „თურქეთი, ანიჭებს რა უდიდეს მნიშვნელობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მყარი მშვიდობის დამყარებასა და რეგიონის ქვეყნებთან თურქეთის თანამშრომლობის გაღრმავებას და გაფართოებას, იჩენს ინიციატივას, რომ ა. წ. 8-9 ივნისს სტამბოლში ჩატარდეს ბალკანეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, ხოლო უფრო მოგვიანებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში ასევე თურქეთმა (ქ. ანტალია) უმასპინძლოს ბალკანეთის ქვეყნების პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების უმაღლესი დონის მეორე შეხვედრასაც".

**ყველა გაზეთი, 3.3.98.**

## ისლამი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკელ მაჰმადიანთა ლიდერის განცხადებით, აშშ-ში ზანგი მაჰმადიანი მოსახლეობის ზრდის გამო მალე ისლამი ამ ქვეყანაში, ქრისტიანობის შემდეგ, მეორე დიდი რელიგია გახდება. ამჟამად მაჰმადიანი ზანგი მოსახლეობის რაოდენობა 4-6 მილიონს აღწევს.

**„მილიეთი", 22.1.98.**

## ამერიკელები შოკირებულნი არიან

ახალი ამერიკული დოლარი, რომლის გაყალბება შეუძლებლად იყო გამოცხადებული, პირველად თურქეთში დაიბეჭდა 13 ათას 675 ცალის რაოდენობით. სტამბა, სადაც ყალბი დოლარები იბეჭდებოდა, მდებარეობს სტამბოლში, დავუდ ფაშას პროსპექტზე. ყალბი დოლარები იბეჭდებოდა ოთხ ოფსეტურ მანქანაზე, მასალები შემოიტანეს რუმინეთიდან. როგორც მბეჭდავები აცხადებენ, ბეჭდვა იოლად მიდიოდა. ყალბის ნამდვილისგან გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. აშშ-ის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს თურქეთის პოლიციის მუშაკებს დამნაშავეთა დაპატიმრებისათვის.

**„მილიეთი", 23.1.98.**

## ელ-აზჰერის უნივერსიტეტის სტუდენტის აღიარება

ერთმა თურქმა სტუდენტმა, რომელიც კეთილდღეობის პარტიის წევრის შევქეთ კაზანის ხელშეწყობით ეგვიპტის ელ-აზჰერის უნივერსიტეტში იქნა გაგზავნილი, პოლიციაში შემდეგი განაცხადა: „ჩვენ ვცხოვრობდით „ეროვნული მსოფლმხედველობის ორგანიზაციის" ბინებში. ჩვენ აქ განვიხილავდით საკითხებს, თუ რა უნდა გვექონა თურქეთში შარიათის პრინციპებზე დაფუძნებული ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად. მსურველები იგზავნებოდნენ ლიბანში ჰიზბულლაჰის ბაზებში სამხედრო საქმის შესასწავლად."

**„საბაჰი", 1.3.98.**

## იერბათანი საფრთხეშია

იერბათანი არის ჩვენამდე მოღწეული გრანდიოზული მიწისქვეშა წყალსაცავი, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერატორის – იუსტინიანეს ბრძანებით VI საუკუნეში ააშენეს. ამ წყალსაცავით კონსტანტინეპოლი მარაგდებოდა სასმელი წყლით. 14 საუკუნეა სვეტები ამაყად დგანან მძიმე ტვირთის ქვეშ, მაგრამ სვეტებს უკვე გაუჩნდა ბზარები, წყალსაცავში გაჟონა კანალიზაციის წყლებმა. წყალსაცავს დიდ ზიანს აყენებს ინტენსიური მოძრაობაც, მის ზემოთ გადის ტრამვაის ხაზი. შეიქმნა ამ დიდებული ნაგებობის ჩამონგრევის საშიშროება. ჯერ კიდევ 1987 წელს სვეტები გაამაგრეს ფოლადის სალტეებით, რის გამოც, სტამბოლელები მოსწრებულად შენიშნავდნენ „ისტორია ფოლადის სალტეებში მოექცაო".

სულ წყალსაცავს უკავია 9 ათას 800 კვადრატული მეტრი ფართობი. წყალსაცავში არის 366 სვეტი, რომელთაგან 40-ს ბზარები გაუჩნდა. ქალაქი ცდილობს გადაარჩინოს ეს შესანიშნავი ისტორიული ნაგებობა.

**„მილიეთი", 24.1.98.**

## ეძებენ კონსტანტინეპოლის ძველ გამოქვაბულებს

ბოსფორის უნივერსიტეტის გამოქვაბულთა კვლევის კლუბი ემზადება სტამბოლის ქვეშ არსებულ გამოქვაბულთა გამოსაკვლევად. როგორც ცნობილია, სტამბოლში ახლაც არსებობს ბიზანტიის პერიოდის გრანდიოზული მიწისქვეშა გამოქვაბული, რომელიც წყალსაცავის ფუნქციას ასრულებდა და ბიზანტიის იმპერატორის სატახტო ქალაქს წყლით ამარაგებდა. გადმოცემების თანახმად, დღევანდელი სტამბოლის ქვეშ არსებობს გვირაბები, რომლებიც დაკავშირებულია მიწისქვეშა წყალსაცავთან – იერბათანთან და გვირაბებს აქვთ გასასვლელ ზღვაზე. ბოსფორის უნივერსიტეტის გამოქვაბულთა კლუბი სწორედ ამ გვირაბების გამოსაკვლევად ემზადება.

**გაზეთი „მილიეთი", 22.1.98.**

## სტამბოლში გაიმართა გერმანელი და თურქი ჟურნალისტების სიმპოზიუმი

სიმპოზიუმი ერთობლივად გამართეს გერმანიის ფრიდრიჰ ებერტის ფონდმა და თურქეთის აიდინ დოღანის ფონდმა. სიმპოზიუმი 2 დღეს გაგრძელდა. მასში თურქ ჟურნალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანელი ჟურნალისტებიც. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა.

**გაზეთი „მილიეთი", 23.1.98.**

## საავტობუსო ფირმებს აჯარიმებენ

თურქეთის ტრანსპორტის სამინისტრომ იმ საავტობუსო ფირმებს, რომელთა ავტობუსები ავარიაში მოხვდნენ და მგზავრი დაელუპათ, 2-დან 4 თვემდე აუკრძალა ავტობუსების რეისში გაშვება.

**გაზეთი „ჰურიეთი", 5.2.98.**

## ტურიზმი ვითარდება

გასულ, 1997 წელს თურქეთის რესპუბლიკაში მხოლოდ უკრაინიდან ჩავიდა 300 ათასზე მეტი ტურისტი.

**„მილიეთი", 7.2.98.**

## ანკარის უნივერსიტეტში სახელმწიფო კონსერვატორია გაიხსნება

ანკარის უნივერსიტეტის სენატმა გადაწყვიტა უნივერსიტეტის სტრუქტურაში ხელოვნების ფაკულტეტისაგან გამოჰყოს და ცალკე გახსნას სახელმწიფო კონსერვატორია. 2000 წლამდე ანკარის უნივერსიტეტის სტრუქტურაში მაღალი დონის, თანამედროვე სახელმწიფო კონსერვატორია შეიქმნება.

**გაზეთი „ჰურიეთი", 21.1.98.**

## სილამაზის კონკურსი

თურქეთში 9 მარტს ჩატარდა „მის-თურქეთი-98"-ის კონკურსის ფინალი, რომელმაც თურქეთის საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. კონკურსის ფინალისათვის შეარჩიეს 20 ულამაზესი ქალიშვილი. სილამაზის კონკურსის ფინალი ტელევიზიით გადაიდა.

**„მილიეთი", 9.3.98.**

თურქულიდან თარგმნა
**მურმან ბელთაძე.**



კონტაქტები

# საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების ხუთი წელი 1*

## 3. შავიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი

თურქეთის პრესამ დადებითად შეაფასა **ბისეკის** წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრა, რომელიც თბილისში 1994 წლის 30 ივნისს გაიმართა. გაზეთებში აღინიშნა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების დადებითი მნიშვნელობა. 2 ივლისს გამოქვეყნდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის განცხადება, რომ „საქართველოს ხელმძღვანელობას ნავთობისა და გაზის დასავლეთში გატანის ყველაზე ეკონომიურ და საიმედო გზად ნავთობისა და გაზსადენის თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვამდე მიყვანა მიაჩნია".

პრესამ განსაკუთრებით გამოჰყო ჰიქმეთ ჩეთინისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის მოლაპარაკება სრუტეების საკითხთან დაკავშირებით, წარმატებულად მიიჩნია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოლაპარაკებები რუსეთისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან და ხაზი გაუსვა, რომ „მან შეძლო სრუტეების საკითხში დაეთანხმებინა ძირითადი ოპონენტები რუსეთი და საბერძნეთი".

როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ასეთი ოპტიმისტური დასკვნები ნაადრევი აღმოჩნდა . ამის თაობაზე ცოტა უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის პროგრამაში გარკვეული ადგილი დაეთმო ეკოლოგიის სფეროში თანამშრომლობის გაფართოებას, რასაც შავი ზღვის აუზში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია განაპირობებდა. აუცილებელი გახდა უფრო ადრე შექმნილი შავი ზღვის ეკოლოგიური კვლევის თურქეთ-საქართველოს ერთობლივი ცენტრის მუშაობის გააქტიურება.

ჯერ კიდევ 1992 წლის 18 ივნისს შეიქმნა ბათუმის ეკოლოგიური ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს შავი ზღვის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ა. კომახიძე. ბათუმშივე გაიმართა შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი მწვანეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის გადაწყვეტილებით თურქეთში გამოსცეს თურქულ-ქართულ-ინგლისურ-გერმანული ჟურნალი „მწვანე სამყარო". ამავე საკითხზე სიმპოზიუმები გაიმართა თბილისში, ტრაპიზონში, შემუშავდა ერთობლივი სამუშაო პროგრამა და ა.შ.

1992 წლის 25 ივნისს ანკარაში გაფორმდა განზრახულობათა ოქმი ტექნოლოგიის, მართვის სისტემებისა და ეკოლოგიის სფეროებში საქართველოსა და თურქეთის სპეციალისტთა თანამშრომლობის თაობაზე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ქართველმა სპეციალისტებმა მოამზადეს და თურქეთის მხარეს გადასცეს არდაგანის და რიზეს რეგიონებში ჰიდროელექტროსადგურის, საბაგირო გზისა და ჯანმრთელობის ზონის ეკოლოგიურად დასაბუთებული პროექტები.

სამწუხაროდ, ამ და სხვა სამუშაოების დროულად შესრულებას ხელი შეუშალა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში შექმნილმა რთულმა ვითარებამ (ეთნოკონფლიქტები, ეკონომიკური ბლოკადა, ფინანსური სიძნელეები და სხვ.).

მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, შავი ზღვის ეკოლოგიური საკითხები **ბისეკის** წევრი სახელმწიფოების გარკვეული ყურადღების საგანი იყო.

ამ საკითხზეც იყო საუბარი **ბისეკის** უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 1995 წლის 30 ივნისს გაიმართა ბუქარესტში.

საქართველოს დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ბუქარესტში 29 ივნისს, საღამოს ჩაფრინდა. იმავე საღამოს იგი შეხვდა რუმინეთის პრეზიდენტს იონ ილიესკუს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შეხვედრა ჰქონდა თურქეთის პრეზიდენტთან სულეიმან დემირელთან. სულეიმან დემირელმა კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია, რომ თურქეთი მზად არის ხელი შეუწყოს საქართველოს აღორძინებას, მისი ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფას. სახელმწიფოს მეთაურებმა ისაუბრეს **ბისეკის** ქვეყნების ურთიერთობის დინამიკურობაზე, ნავთობისა და გაზის გატანის პერსპექტივებზე, განიხილეს ახალციხის ახალი სატრანსპორტო ტრასის საკითხი და შეთანხმდნენ, რომ იგი ივლისის ბოლოს გაიხსნება. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ სულეიმან დემირელი და ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, აგრეთვე, შეხვდა და ესაუბრა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს ოლეგ სოსკოვეცს, ბულგარეთის პრეზიდენტს ჟელიუ ჟელევს, საბერძნეთის პრეზიდენტს კონსტანტინე სტეფანოპულოსს.

ბუქარესტის უმაღლესი დონის შეხვედრაზე შავიზღვისპირეთის 11 ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურებმა ილაპარაკეს სამი წლის მანძილზე **ბისეკის** მუშაობის დადებით გამოცდილებაზე. აღნიშნეს ნაკლოვანი მხარეები, იმსჯელეს თავიანთ ქვეყნებსა და რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

კერძოდ ითქვა, რომ აუცილებელია ბანკის მუშაობის გამოცოცხლება, **ბისეკის** გენერალური მდივნის თანამდებობის შემოღება, გაერთიანების კავშირი ევრობანკთან და სატრანსპორტო-სატრანზიტო ინფრასტრუქტურების საერთო ძალების შექმნა, განიხილეს სნგ-სთან კავშირის დამყარების აუცილებლობის, შავი ზღვის ეკოლოგიის, მიწისძვრის საკითხები და სხვ. შეხვედრაზე მიიღეს განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია განაგრძონ და გააფართოონ ძალისხმევა შავი ზღვის რეგიონში მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის სტიმულირების, კერძო სექტორის, საქმიანი წრეების წახალისების, სავაჭრო და სამეწარმეო თანამშრომლობის განვითარების, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ბანკის ამოქმედების, ტრანსპორტირებისა და კავშირგაბმულობის სისტემის ეფექტიანობის ამაღლების, ენერგორესურსების წარმოებისა და განაწილების სფეროში გრძელვადიანი პროგრამების განხორციელების, შავი ზღვის ბიოპროდუქციული პოტენციალის გაბინძურების, ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

1993 წლიდან მოკიდებული ბატონი ედუარდ შევარდნაძე ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ერთ-ერთ გზად საქართველო მიეჩნიათ. ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის ხელმძღვანელი კომიტეტის გადაწყვეტილებით 1995 წელს საქართველოს ტერიტორია აირჩიეს კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ერთ-ერთ გზად.

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია. კორპორაციის ამოცანად განისაზღვრა: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენის და ნავთობის ტრანსპორტირების სხვა საშუალებათა აღდგენა, მშენებლობა, ნავთობის ტრანსპორტირება, მისი გადამუშავება, რეალიზაცია, აგრეთვე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული საფინანსო, საბანკო, საინვესტიციო, სადაზღვევო და სხვა საქმიანობის კოორდინაცია და წარმართვა.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტად დაინიშნა გიორგი ჭანტურია, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის საგანგებო რწმუნებულის სტატუსი.

1996 წლის 8 მარტს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებსა და აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებათა პაკეტს – ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აღდგენის, რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესახებ.

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის დაფუძნების შემდეგ აქტიურად წარიმართა ნავთობსადენის მშენებლობა, კასპიის ადრეული ნავთობისა და თურქმენეთიდან დასავლეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების მოგვარების საკითხი. წარმატებით მიმდინარეობს ბაქო-სუფსა-ჯეიხანის ნავთობსადენის ტრასის აღდგენა-მშენებლობა, სუფსის ტერმინალის მშენებლობა და ა.შ. ამ პრობლემის ირგვლივ გაიმართა საქმიანი საუბარი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრს თანსუ ჩილერს შორის, რომელიც თბილისში 1995 წლის 31 აგვისტოს ჩამოვიდა.

იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელიც დაისახა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის წინაშე, აუცილებელი გახდა რიგი ღონისძიებების გატარება სატრანსპორტო დერეფნის საიმედოობის უზრუნველყოფისათვის. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 18 დეკემბერს გამართა თათბირი ქვეყნის სატრანსპორტო კომპლექსის უწყებათა ხელმძღვანელებთან. განიხილეს საქართველოს სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, ავტო და სპეცტრანსპორტის ურთიერთმოქმედების მოგვარების საკითხები. შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის ჭკაკი ჩხაიძის ხელმძღვანელობით.

ეს საკითხები განიხილეს უმაღლესი დონის შეხვედრებზე 1996 წლის 4-5 მარტს, როდესაც საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია თურქეთის დიდი ეროვნული კრების (მეჯლისი) თავმჯდომარე მუსტაფა ქალემლი.

5 მარტს იგი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. შეხვედრაზე მუსტაფა ქალემლიმ სხვა საკითხებთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლება უერთდება ედუარდ შევარდნაძის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიის შესახებ", რომელსაც, მისი აზრით, დიდი პერსპექტივები აქვს.

შეხვედრაზე ილაპარაკეს საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობის, ევრაზიის დერეფნის დიდ პროექტში ეგრეთ წოდებული დასავლეთის მიმართულების ნავთობსადენის მშენებლობისა და შესაბამისად ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო სისტემების შექმნის მნიშვნელობის შესახებ, რაც თავის მხრივ, ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს შეასრულებს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში.

ცოტა ხნის შემდეგ, 1996 წლის 12-13 მაისს გაიმართა მეშჰედ-სარახსთეჯენის სარკინიგზო, მაგისტრალის გახსნის ცერემონია, რომელშიც აზიისა და ევროპის 36 ქვეყნის, მათ შორის, **ბისეკის** წევრი რამდენიმე ქვეყნის დელეგაციები მონაწილეობდნენ.

13 მაისს ირანის ქალაქ სარახსში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „ალმასას" საერთაშორისო აეროპორტი და რკინიგზის ვაგზალი, თავისუფალი ვაჭრობის ცენტრი, რომელიც ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს აკავშირებს სპარსეთის ყურესთან, ამიერკავკასიასა და ევროპასთან.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნა კარგ პერსპექტივებს სახავს რეგიონის ყველა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური განვითარებისათვის.

პროექტში მონაწილეობდა საქართველო-ირანის ერთობლივი კომპანია „სარახს-ბურჯი", რომლის საწესდებო ფონდი 20 მილიონ ლარს შეადგენს. კომპანიის დირექტორთა ფონდის წარმომადგენლებმა განიხილეს და, ძირითადად, მოიწონეს ქართული ტექნოლოგიით მეშჰედსა და სარახსში საცხოვრებელი სახლების, საავტომობილო გზისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ერთობლივი პროექტები.


საზეიმო ცერემონია სარახსში.

ნაშუადღევს ზეიმმა ირანიდან თურქმენეთის ქალაქ სარახსში გადაინაცვლა, სადაც მისმა მონაწილეებმა იმოგზაურეს ახალი რკინიგზით. მდინარე თეჯინის სასაზღვრო ხიდზე გაიმართა სატრანზიტო მაგისტრალის ამ უბნის გახსნის ცერემონია. 12 სახელმწიფოს პრეზიდენტებმა გაჭრეს ლენტი, რის შემდეგაც ჩაიარა პირველმა მატარებელმა, გადაკვეთა საზღვარი და გეზი თურქმენეთისაკენ აიღო. 20 წუთის შემდეგ მატარებელი თურქმენეთის სარახსში ჩავიდა. იქ შეხვედრის ცერემონია დასრულდა საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთს შორის სატრანზიტო ტვირთზიდვის რეგულირების სფეროში თანამშრომლობისა და რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ შეთანხმებათა ხელმოწერით (ხელშეკრულებას შემდგომ შეუერთდნენ ბულგარეთი და ყირგიზეთი).

საქართველოს პრეზიდენტის იდეამ, რომ შეიქმნას ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა), როგორც „დიდი აბრეშუმის გზის" ერთ-ერთი მიმართულება, თანდათანობით ხორცი შეისხა (დღეს განიხილება ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით ევრაზიის გზის რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი).

ედუარდ შევარდნაძის იდეას მხარი დაუჭირეს ევროგაერთიანებამ, ევროპისა და აზიის ბევრმა ქვეყანამ და კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგეს.

ევროგაერთიანება შეუდგა ტრასეკას პროექტის შემუშავებას, რომელიც განხორციელდა **ტასისის** პროგრამით: „ტექნიკური დახმარება თანამეგობრობის დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის".

1995 წელს შეიქმნა სამენეჯმენტო ჯგუფი, მან მოამზადა 14 პროექტი, რომლებშიც გათვალისწინებულია სატრანსპორტო დერეფნის კომპლექსური ხასიათი.

1997 წლის 8-9 აპრილს თბილისში გაიმართა **ბისეკისა და ტრასეკას** მონაწილე ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების კონფერენცია. კონფერენციაზე დაფიქსირდა **ბისეკის** ქვეყნების არეალი, როგორც **ტრასეკას** პროგრამის ევროპული ინტეგრაციის პირველი ეტაპი. საბოლოო დოკუმენტში აისახა დერეფნის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭოების შექმნის იდეა, რომელსაც მხარი დაუჭირა ევროპის ტრანსპორტის მინისტრების ბერლინის კონფერენციამ (20-22 აპრილი), სადაც საქართველო ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენციის წევრ ქვეყნად მიიღეს.

23-26 ივნისს **ჰელსინკში** გამართული პანევროპული სატრანსპორტო საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებით, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ტრასეკას მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, პანევროპულ სატრანსპორტო არეალად იქნა აღიარებული. საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის წყალობით ევროპის საზღვარი (სატრანსპორტო კომუნიკაციების თვალსაზრისით) კასპიის ზღვამდე გადავიდა.

1997 წლის ოქტომბერში ედუარდ შევარდნაძე და ჰეიდარ ალიევი გამოვიდნენ ინიციატივით „ახალი აბრეშუმის გზის" ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებისა და მისი მსოფლიო აღიარების სრულიად ახალი ეტაპი იქნება.

**აბესალომ იმედაშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

1. გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 261, 303, 321, (1997), № 23, № 46 (1998) დამატება, „ხიდი" № 9, 10, 11, 12, 13.

პოეზია

# მირზა (რევაზ) გელოვანი

Mirza Gelovani



Tanınmış Gürcü şairi Mirza Gelovani 2.3.1917'de Nakalakari köyünde (şimdiki Tianeti bölgesinde) doğmuştu. Tianeti Pedagoji Lisesini bitirdikten sonra yayın evlerinde ve "Sabçota Abhazeti" gazetesinde çalışıyordu. İlk şiirini 1935'te yayınladı. 1939-1944 yıllarında Sovyet Ordusunda hizmet ederek İkinci Cihan Savaşı'na iştirak etmişti.

Bü dönem şiirlerine coşkun ruh ağrıları ve zafere inanç, soylu gençlik heyecanları ve ateşli yurt sevgisi yansımıştır.

Mirza Gelovani 1944'te savaşta şehit düştü, Belorusya'da metfundur.

Savaşta şehit düşen ozanın şiirleri halk arasında şöhret kazandı. Şiirleri kitap olarak altı kez yayılandı, Rusçaya ve Beloruşçaya çevirilmiştir.

1975'te M. Gelovani (ölümden sonra) Rustaveli Ödülü sahibi oldu.

მარტში ცნობილი ქართველი პოეტის, სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი ჭაბუკის, მირზა გელოვანის დაბადების თვეა.

ომის წლებში ფრონტზე მყოფი ქართველი პოეტის შემოქმედებაში ნათლად ჩანს მძაფრი სულიერი ტკივილებიც და გამარჯვების რწმენაც, კეთილშობილური ახალგაზრდული განცდები და ღრმა პატრიოტიზმი. იგი 1944 წელს დაიღუპა ბელორუსიაში და იქვე დაკრძალეს.

ომში დაღუპული ქართველი პოეტის ლექსები ერთობ პოპულარული გახდა. მისი ლექსები ექვსჯერ გამოიცა ცალკე წიგნად, ითარგმნა რუსულ და ბელორუსულ ენებზე. 1975 წელს პოეტს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა (სიკვდილის შემდეგ).

გთავაზობთ მირზა გელოვანის რამდენიმე ლექსს, რომელიც თურქულ ენაზე თარგმნა ჰასან ჩელიქმა და დაიბეჭდა თურქულ-ქართულენოვან ჟურნალ „მამულში".

**Vedalaşma**

Neden korkuyorsun ?
Senin hayaletindir
Arzularının ızdırabıyla ardından gelen.

Seni öpmek midir dileği ?
Şaşılacak ne var bunda-
Ona beşikte öğrettiler öpmeyi.

**დამშვიდება**

რისი გეშინია?
შენი აჩრდილია
დაგდევს და სურვილი აწვალებს.

შენი კოცნა უნდა?
არც გასაკვირია –
მას კოცნა აკვანში ასწავლეს.

**Ayrılık**

Gördüğüm her kısa ve sarı saç
Kamçımsı saçlarını hatırlatır bana
Nasıl istemiyorum bir bilsen
Ama gidiyorum, ayrılıyorum istemesem de.

Böyle ayırmışlardı eski masallar
Yüzyaprak ve Altınsaçlı'yı
Bütün yelkenleri parçaladı rüzgar
Ve seni düşünmede sabahlamışım geceyi.

Yolcuyum, seni düşünmekteyim
Ve meşgulüm saf oyunlarıyla hayaletlerin
Döneceğim ben, evet, döneceğim
Beni döndürecekler saçların senin.

**განშორება**

ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.

ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.

მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უცნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

**Ah, bağışlayın**

Kader bilinmez yollara düşürdü beni
Siz uzakta…gökten de uzakta kaldınız
Ve iskambildeki karo kızları gibi
İnci gerdanınız vardı ve sarı saçlarınız.

Söz vermiştim, dönecektim geri
Beni saçlarınız getirecekti
Fakat şu hırsız günler
Yağmalıyorlar bütün vaatlerimi.

Ve herhangi bir yerde bir kurşun
Korkunç yıkımıyla soğutursa yüreğimi
Bağışlayın beni, evet, bağışlayın
Suçunu dönmeyişimin.

**ო, მაპატიეთ**

ბედმა უცნები გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი... ცაზედაც შორი...
და, როგორც კარტში აგურის ქალებს,
გქონდათ ქერა თმა ყელი ბროლის.

მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.

და სადმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.



— ჩვენს ურთიერთპატივისცემას და ძმობას საზღვარი არ უნდა ჰქონდეს.

მხატვარი
ვახტანგ კუცია.

თარგმანი

Nodar Dumbadze

# SONSUZLUK YASAK

Türkçesi: ALİ ALTUN
Yayına hazırlayan: MEHCURE KARAOREN

**devam**

"Hey, bakar mısınız, kim var orada, yardım edin?" diye bağırdı papaz. Yerinden kalkmak istedi. Fakat yüreğinde derin bir ağrı hissetti. Kalbine bir mızrak sokulmuş gibi korkunç inledi.

Koğuşta bir süre sessizlik oldu. Ortada ölü sıçanlar yatıyordu. Her hastanın başucunda ölüm bağdaş kurmuş ruhlarına dehşet verici bir şekilde bakıyordu.

Kimse duymadı içeriye giren hemşire ve doktorların içeriye girişlerini. Yalnız Bulika, Jenia'nın bağırışmalarını duydu önce:

"Rahatladınız mı?"

Sonra alabildiğine korkan koğuş doktorunun emreden sesini:

"Çabuk, çabuk, üçüne de pantapon yapın!"

## VII. BÖLÜM

Ozurgeti garında Lasa Basilia, Tamara'yı buldu. Kız, başının altına küçük heybesini koymuş, bir sandalyede uyuyordu. Lasa yanına oturunca, kız uyandı. Pamuk gibi beyaz teni, açık mavi gözleri, etli kalın dudakları ve saman sarısı renginde güzel saçları vardı. Dolgun göğsüne dökülmüştü saçları. Kız ayağa kalkınca, onun güzel endamını elinde olmadan süzdü Lasa ve bu hareketinden de utandı.

O günden sonra Tamara, Lasa'nın aşevinin garsonu oldu. Artık onun aşevi vızır vızır çalışıyordu. Bütün köyün erkekleri gece gündüz aşevine gelirler, Lasa'nın ekşimiş İzabela şarabını durmaksızın içerlerdi, ta sarhoş olup yerlerinden kalkamıyacak hale gelene kadar. İçkiden kendilerini yitiren bu erkekleri ya karıları ya anaları gelip alırlardı. Başka türlü kalkıp gitmezlerdi.

"Tamara, yavrum seni doğuran anaya kurban olayım, bir şişe daha getir..."

"Minnoş, seni kimler doğurdu böyle Meryem Ana gibi?.."

"Kız, neme gerek bozuk para, yalnız sana bakmak bile bana yetiyor..."

"Tamara, neden yuvamı yıkıyorsun? Bir gülümse bakalım; istersen sonra Lasa'nın bıçağı ile beni boğazla..!"

"Lasa, yahu bu kız seni milyoner etti. Bu olmasaydı, senin kokuşmuş aşevine kim gelirdi!"

"Lasa, senin için artık hiç fark etmez, köpek eti bile versen yeriz. Bu kızın hatırına taş bile yenir!"

"Kız, yirmi yıl nasıl kocasız kaldın. Seni almayan aptalın ocağı sönsün inşallah..!"

"Hemen..."

"Bilmiyorum efendim..."

"Bu çok, bana senin paranın gereği yok!.."

"Senin karın benden daha güzel!.."

"Sonra öperim, ayıldığımda!.."

"Başkasını seviyorum, başkasını!.."

"Lasa, bu sarhoş adamı benden uzaklaştır!.."

"Anneme benziyorum, başka kime benzeyebilirim?"

"Lasa, artık kapat şurayı!.."

**devamı var**

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ოთარ ღოლიძე, მიხეილ სვანიძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ნოდარ ჯანაშია.
ტელ: 99-73-01.



ვალენსიაში მიმდინარეობს ყოველწლიური ფესტივალი „ფალასი", რომელსაც ტრადიციულად თან სდევს კორიდა.
სურათზე: ესპანელი მატადორი ხოსე ტომასი, როგორც ჩანს, ხარს არ მოეწონა.

# კოლუმბიის კონგრესი ციხე-სიმაგრეში

კოლუმბიის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრები ორშაბათიდან ნამდვილ ციხე-სიმაგრეში იმუშავებენ. ბოგოტის კაპიტოლიუმის პირველი და მეორე სართულების სარკმლებში ჩაისვა ტყვიაგაუმტარი მინები, გარდა ამისა, კონგრესმენებმა მიიღეს 16 ჯავშნოსანი „ტოიოტა" და 300 ჯავშანჟილეტი. კოლუმბიელ კანონმდებელთა უსაფრთხოებისათვის გამოიყო ორი მილიონი დოლარი, ხოლო, კაპიტოლიუმის ციხე-სიმაგრედ გადაქცევა 700 ათასი დაჯდა. სენატორთა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა უსაფრთხოების გაძლიერების საჭიროება აშკარაა, მაგრამ ბევრ კონგრესმენს ვერ გაუგია, რატომ დაიწყო კაპიტოლიუმის ჯავშნით შემოსვის სამუშაოები მხოლოდ ახლა. კონგრესის შენობის რესტავრაცია ხუთ წელიწადს მიმდინარეობდა და მხოლოდ გასული წლის ოქტომბერში გადაეცათ იგი პარლამენტარებს. რესტავრაციაზე დაიხარჯა 10 მილიონ დოლარზე მეტი. ამ თანხის ნაწილი მოხმარდა სარკმლების განახლებას, რომლებიც ნახევარი წლის შემდეგ ტყვიაგაუმტარით შეცვალეს.

# აშშ: საინტერესო სტატისტიკა

ერთგულობენ რა წინაპართა ტრადიციებს, რომლებიც თავის დროზე ახალი სამყაროს სივრცეებს ითვისებდნენ, ამერიკელები განაგრძობენ მოძრაობას „მზესთან ერთად" – აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან დასავლეთით და სამხრეთით. აშშ აღწერის ბიუროს მონაცემებით, ყველაზე სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობის რიცხოვნობა სამხრეთისა და დასავლეთის ისეთი შტატების ოლქებში, როგორიც არის არიზონა, კალიფორნია, ნევადა და ტეხასი. ნამდვილი ბუმი დაუდგა კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის გარეუბნებს, სადაც მარმან ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული წამყვანი ქვეყნების „დიდი რვეულის" ლიდერები. დენვერის მახლობლად მდებარე დაგლასის ოლქის მოსახლეობა 1997 წელს წინა წელთან შედარებით ერთბაშად გაიზარდა 13 პროცენტით, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქვეყანაში. არის კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც გამოავლინა მორიგმა აღწერამ – ეს არის მოსახლეობის გადასვლა დიდი მეგაპოლისებიდან გარეუბნებში.

* * *

იცვლება ნიუ-იორკის მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა. 90-იან წლებში მილიონზე მეტმა ნიუიორკელმა დატოვა ქალაქი, მაგრამ ახალმა იმიგრანტებმა და მათმა შვილებმა შეცვალეს წასულები და გადააჭარბეს კიდეც მათ სიმრავლით. ამის შედეგად, ქალაქის მოსახლეობამ 1997 წელს შეადგინა 7 მილიონ 342 ათას 636 კაცი. 1,07 მილიონი წასული ნიუიორკელის ადგილზე ჩამოვიდა 777.000 უცხოელი. ამავე პერიოდში, ნიუ-იორკში გაჩნდა 937.000 ახალი მოქალაქე და გარდაიცვალა 516.000 კაცი. როგორც სტატისტიკა მოწმობს, 1990-97 წლების პერიოდში ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა სულ 0,3 პროცენტით. მატება უზრუნველყვეს ისეთმა რაიონებმა, როგორიც არის მანჰეტენი, სტეიტენ-აილენდი და კუინზი. რაც შეეხება ორ დანარჩენს – ბრონქსა და ბრუკლინს, აქ შეიმჩნეოდა მცხოვრებთა რიცხვის კლება. დემოგრაფთა აზრით, ნიუ-იორკის მცხოვრებთა სწრაფმა ცვლამ შეიძლება გარკვეული პრობლემები შეუქმნას ქალაქს. კერძოდ, ახალი იმიგრანტები, რომლებსაც, ალბათ, ახალი მომსახურება დასჭირდებათ, დამატებით ტვირთად დააწვებიან ქალაქის ისედაც დაძაბულ რესურსებს.

# საბჭოთა ჯარი – მაოხრებელი გზირი

ომითა და მიწისძვრებით გაპარტახებულ ავღანეთში ახალი უბედურება მოხდა, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. „არიანა ავღანის" ავიაკომპანიის ბოინგ-747 თვითმფრინავი ქაბულის სამხრეთით 15 კილომეტრზე მთას შეასკდა. კატასტროფის მიზეზი გახდა ცუდი ხილვადობა. დაიღუპა 45 კაცი, მათ შორის – 10 ეკიპაჟის წევრი. მაშველთა სამუშაოებს და „შავი ყუთის" ძებნას ართულებს ის, რომ კატასტროფის რაიონში მიმოფანტულია ნაღმები, რომლებიც ავღანეთში საბჭოთა ჯარების ყოფნის დროიდან დარჩა.

# შეშლილი, შეშლილი მსოფლიო



ბუდაპეშტი. პოლიციამ დააპატიმრა „სერიოზული მკვლელი", რომელიც უკანასკნელი კვირეების მანძილზე თავზარს სცემდა უნგრეთის დედაქალაქის მცხოვრებთ. ქალაქმა შვებით ამოისუნთქა. დამნაშავე დაჭერილია და უკვე მოინანია რამდენიმე ჩადენილი მკვლელობა. ეს არის 27 წლის იუგოსლავიის მოქალაქე, ეროვნებით უნგრელი ნანდო ერდეი. იგი ბუდაპეშტის პატარა მაღაზიებში შედიოდა იმ დროს, როდესაც მყიდველი არ იყო, შემდეგ პისტოლეტით კლავდა გამყიდველს, იღებდა ამონაგებს და მიდიოდა. როგორც ჩანს, დამნაშავეს დიდად არ ანაღვლებდა წასაღები ფულის თანხა. მაგალითად, რაკოცის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე მაღაზიის თანამშრომელი რომ მოკლა, დამნაშავემ სულ 100 დოლარი წაიღო. მას შემდეგ, რაც ერდეიმ 4 კაცი იმსხვერპლა, ბუდაპეშტი პანიკამ მოიცვა. სიტუაციით ისარგებლეს დიულა ჰორნის მთავრობის საპარლამენტო ოპონენტებმა. ისინი საჯაროდ ამტკიცებდნენ, რომ ახლანდელ მთავრობას არ ძალუძს დაამყაროს ჯეროვანი წესრიგი დედაქალაქსა და ქვეყანაში. თავის მხრივ, პოლიციამ შექმნა უპრეცედენტო რიცხოვნობის „საძიებო ჯგუფი" და უმაგალითო მატერიალურ გასამრჯელოს შეჰპირდა ყველას, ვინც დაეხმარებოდა „სერიული" მკვლელის კვალზე გასვლაში. შედეგმაც არ დააყოვნა.

* * *

პარიზი. საფრანგეთის სამართალდამცველმა ორგანოებმა დააკავეს 30-მდე კაცი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან, რომ ინტერნეტის ქსელით ავრცელებდნენ ბავშვების მონაწილეობით გადაღებულ პორნოგრაფიულ პროდუქციას. პოლიციას მიაჩნია, რომ დაკავებულნი დაკავშირებული არიან საერთაშორისო დანაშაულებრივ ქსელთან, რომელიც ამ ბინძურ ბიზნესს მისდევს. დამნაშავეთა კვალზე გასვლაში პოლიციელებს დაეხმარა დაჯგუფების იმ ერთ-ერთი წევრის კომპიუტერულ კოდში შესვლა, რომელსაც წინათ უკვე წაყენებული ჰქონდა პედოფილიის ბრალდება.

* * *

ვარშავა. წელიწად-ნახევრის პატიმრობა და 6 წლის ვადით ავტომობილის მართვის აკრძალვა მიესაჯა პოლონეთის ქალაქ ნელიშის მკვიდრ კათოლიკე მღვდელს. ერთი წლის წინათ მღვდელმა თავისი „ფორდით" ქალი გაიტანა და შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებულმა ადგილზე გაათხო სული. როგორც გამოძიებამ ცხადყო, თავზეხელაღებული მღვდელი მიდიოდა საათში 100 კილომეტრზე მეტი სიჩქარით. სასამართლომ საქმე უქსენძოდ განიხილა, ვინაიდან ადგილობრივმა საეკლესიო ეპარქიამ იგი მონასტერში გაგზავნა აღზრდა-გასწორებისათვის.

* * *

ბონი. ტრაგიკულად დაუმთავრდა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ცდა ყოფილ საბჭოთა გერმანელს იოაჰიმ ბ.-ს. 37 წლის რადიომექანიკოსმა, რომელიც ორი წლის წინათ გადავიდა ყაზახეთიდან ზალცგიტერში (ქვემო საქსონია) ოჯახთან ერთად, ჯერ წამლით დააძინა, მერე კი დაახრჩო თავისი ორი 10 და 11 წლის ქალიშვილი, რის შემდეგაც ტყვია იკრა შუბლში. წინასწარი მონაცემებით, ტრაგედიის მიზეზი გახდა ოჯახური პრობლემები. მისმა მეუღლემ გადაწყვიტა გაყროდა ქმარს და თან წაეყვანა შვილები. გარდა ამისა, ექსპერტთა აზრით, იოაჰიმ ბ-ს მდგომარეობა გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ ახალ ცხოვრებასთან ადაპტაციის პროცესი მეტწილად მტკივნეულად მიმდინარეობს და მას თან სდევს უდიდესი ფსიქიკური სტრესი.

* * *

პარიზი. საფრანგეთის ქალაქ არესის ბავშვთა თვითმოქმედი თეატრალური სკოლის ხელმძღვანელს პატრიკ ფონს მიესაჯა 6 წლის მკაცრი რეჟიმის პატიმრობა არასრულწლოვანთა გარყვნისათვის. 58 წლის მსჯავრდებულს ბრალად დაედო სექსუალური შეჩნება 12 ნორჩი მსახიობისათვის, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ სპექტაკლის დადგმაში.

* * *

ვენა. 30 წლის ბოსნიელი ქალი იასმინა ა. მოხერხებულად მოეწყო ავსტრიაში. იგი თავს ასაღებდა წინასწარმეტყველად, რომელსაც ბნელი ძალები ემორჩილებიან და სხვადასხვა ხრიკების, ზოგჯერ კი მუქარის მეშვეობით კლიენტებს დაცინცლა 150 ათასი დოლარი. იასმინა ჰონორარებს იღებდა როგორც ნაღდი ფულით, ისე სამკაულების სახით. ზოგიერთი კლიენტი იძულებული იყო, აეღო საბანკო კრედიტი, რათა გაესტუმრებინა თაღლითი დედაკაცის საეჭვო მომსახურება, ვაი რომ, იასმინამ ვერ იწინასწარმეტყველა საკუთარი ბედი, და ვერ განჭვრიტა, რომ მას ინსბრუკის პოლიცია დააკავებდა კლიენტი ქალის დაშანტაჟებისათვის, რომელსაც ცრუწინასწარმეტყველი დაემუქრა, თუ შეპირებულ თანხას არ მომიტან, „შვილებს გაგიქრობო".

* * *

ბონი. ყალბი ანაბოლიკების დიდი პარტია გაჩნდა გერმანიის შავ ბაზარზე. 600 ათასზე მეტი დასტა სტიმულატორი, რომელსაც ჩვეულებრივ სპორტსმენები იყენებენ კუნთოვანი მასის გადიდებისათვის, მთელ გერმანიაში გავრცელდა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ყალბი პრეპარატების მოხმარება იწვევს უამრავ თანამდევ ეფექტს: ღვიძლისა და თირკმელების დაავადებას, სხვადასხვა სახის სიმსივნეებს, ფსიქიკურ ამლილობას.

* * *

მადრიდი. ანდორის გენერალურმა საბჭომ მიიღო შესწორება არსებული საბაჟო წესების დამრღვევ პირთა მიმართ სასჯელისა და სანქციების კანონის გამო. ამ შესწორებით საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე მდებარე პატარა სუვერენული სახელმწიფოს ანდორის ისტორიაში პირველად დაკანონდა სასჯელი თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდისთვის. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალბერტ პინტამ ასე დაასაბუთა შესწორების საჭიროება. „ამით ჩვენ, ერთი მხრივ, ვისწრაფვით, შევზღუდოთ კონტრაბანდა, რომელიც ბოლო დროს ძალზე გაფართოვდა და, მეორე მხრივ, დავიცვათ ანდორის თამბაქოს მრეწველობა".

* * *

პრაღა. ჩეხი საქმოსნები აქტიურად ამარაგებენ ამერიკის საროსკიპოებს „საშამულო" მეძავებით. ამერიკის პოლიციამ განახორციელა დიდი ოპერაცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული მეძავების გამოსავლენად. ამასთან, სამართალდამცველი ორგანოების ბადეში მოხვდნენ, უწინარეს ყოვლისა, ჩეხეთის მოქალაქე გოგონები. როგორც დადგინდა, ჩიკაგოსა და პრაღაში რეგისტრირებული „ტურისტული" ფირმა მეერთებულ შტატებში გზავნიდა „სიყვარულის ქურუმ ქალებს", რისთვისაც ყოველ მათგანსართმევდა 1 ათას დოლარს. ამ სკანდალურ ისტორიასთან დაკავშირებით აშკარა გახდა ამერიკის პრაღის საკონსულოს მონაწილეობა, ვინაიდან იგი დაუბრკოლებლად უფორმებდა შესასვლელ ვიზებს ჩეხ ქალებს, რომელთა საქმიანობა, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვს იწვევდა.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით
უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ჭადრაკი

# ბიჭებიც დაჩაგრა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 12 წლის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაზე 85 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონობას. მათ შორის ერთი გოგონა გახლდათ – შარშანდელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალოსანი, ქუთაისის 25-ე სკოლის მეხუთეკლასელი ნანა ძაგნიძე (მწვრთნელი გია მენაბდე). მას თავის ასაკში ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე მონაწილეობა განაღდებული აქვს, ამიტომ ვაჟებთან ორთაბრძოლაში გადაწყვიტა ძალების გამოცდა და... შედიშედ მეიდ ბიჭს მოუგო, ბოლო ორი შეხვედრა ფრედ დაამთავრა, ცხრა შესაძლებლობიდან რვა ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა!

ჩემპიონს ქულით ჩამორჩა სენაკის პირველი სკოლა-გიმნაზიის მეექვსეკლასელი გიორგი მურღულაია (მწვრთნელი გოჩა გუებუჩავა). 7 ქულა მოაგროვა მიხეილ გოგუაძემაც, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე გავიდა.

გოგონათა პაექრობაში ჩინებულად იასპარეზა თბილისის მე-6 გერმანული სკოლის მეშვიდეკლასელმა ნონა დათუაშვილმა (მწვრთნელები ლამა ჯანჯღავა და გიორგი მაჭარაშვილი). მან შედიშედ 8 პარტია მოიგო, ბოლო ტურში მეგობარ ესებუასთან კი წააგო, მაგრამ ჩემპიონობას მაინც ვერავინ შეეცილა. 7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისის მე-19 სკოლის მეოთხეკლასელი სალომე ჭოხონელიძე (მწვრთნელი გია მენაბდე). მან უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრო მესამე ადგილზე გასულ ესებუას.

ჩემპიონები წლეულს მსოფლიო პირველობაზე გაემგზავრებიან, ვიცე-ჩემპიონები კი ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

ეკა ბესტავაშვილი.



სურათზე: სხედან – ნონა დათუაშვილი და ნანა ძაგნიძე, დგანან – სალომე ჭოხონელიძე და გიორგი მურღულაია.
ვაჟა დანელიას ფოტო.



# „საუბარი ცოცხალ ლეგენდასთან"

ასე უწოდებს ცნობილი გერმანელი მიმომხილველი დაგობერტ კოლმაიერი თავის ინტერვიუს ნონა გაფრინდაშვილთან, რომელიც ჟურნალ „როხადეს" მარტის ნომერში გამოქვეყნდა.

**– ნონა, თქვენც ის კითხვა უნდა დაგისვათ, რაც მრავალ სხვას:**
**რა აზრისა ხართ მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალ სისტემაზე?**

– ფაქტია, რომ მრავალწლიანი ტრადიცია უნდა შეცვლილიყო. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. განვითარების ახლანდელ ტემპებს თუ ანგარიშს არ გავუწევთ, სად ნახავთ ისეთი მატჩის ორგანიზატორს, რომელიც რამდენიმე თვეს გრძელდება?

**– გადავხედოთ თქვენს ხანგძლივ, წარმატებებით სავსე საჭადრაკო კარიერას. რა მოგცათ ჭადრაკმა?**

– მე ცხოვრებაში ყველაფერი მივიღე: სახელი და აღიარება, მეგობრობა და სიყვარული. ჩემს დროში ფული რაიმე როლს არ თამაშობდა, ახლა კი ვითარება შეიცვალა. შეიცვალა ურთიერთობებიც. ადრე ჩვენ მცირედით ვკმაყოფილდებოდით. ასე რომ, ადრინდელი და ახლანდელი სიტუაციის ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია.

**– ვინ იყო თქვენთვის მისაბაძი მოჭადრაკე?**

– მიხეილ ტალი. იგი ჩემი თაობის მოჭადრაკეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მე მომწონდა მისი დამოკიდებულება ჭადრაკთან, როგორც სპორტთან. მხიბლავდა, როგორ იბრძოდა იგი დაფასთან და გულშემატკივრებს აჯადოებდა.

**– თქვენ დიდხანს იყავით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. როგორ მოხდა თქვენი ამ თანამდებობაზე არჩევა?**

– 1989 წელს, როცა საქართველომ მეტი დამოუკიდებლობა მიიღო, შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. მე მესაუბრნენ გამოჩენილი სპორტსმენები, შემომთავაზეს პრეზიდენტის თანამდებობა. ერთგვარი ყოყმანის შემდეგ, დავთანხმდი.

**– რატომ ყოყმანობდით?**

– მე მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ვიყავი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფესიონალი მოჭადრაკე. სპორტის ფუნქციონერის მუშაობა კი, როგორც ცნობილია, სულ სხვანაირი გახლავთ. ორივეს ერთდროულად ვერ გავაკეთებდი. ამაში დარწმუნებული ვიყავი, ამიტომაც დავამთავრე ჩემი პრაქტიკული გამოსვლები, როგორც მოჭადრაკემ. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში 7 საინტერესო წელი გავატარე, რომლებიც არ დამავიწყდება.

**– დაფასდა თქვენი ასეთი მუშაობა?**

– დიახ, ჯეროვნად. 1996 წელს, ოლიმპიური თამაშების შემდეგ, როცა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მუშაობა დავასრულე, მე ლოზანაში ხუან ანტონიო სამარანჩმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენით დამაჯილდოვა.

**– გიხარიათ, რომ ჭადრაკი სპორტის ოლიმპიური სახეობა უნდა გახდეს?**

– ეს ჭადრაკის განვითარებისათვის აუცილებელია. არის ბევრი ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები არა აქვს. იმ ქვეყნებს განსაკუთრებული დახმარება სჭირდება. ამით ჭადრაკს, როგორც ოლიმპიურ სახეობას, სულ სხვაგვარი მიდგომა ექნება.

**– ახლა რით ხართ დაკავებული?**

– მას შემდეგ, რაც ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გამოვეთიშვიდობე, დავუბრუნდი ჩემს ძველ სიყვარულს, ჭადრაკს. მე თვითონაც განვაახლე ტურნირებში გამოსვლა. გარდა ამისა, ვამეცადინებ ნორჩ მოჭადრაკეებს, მაგალითად ანა მატნაძეს. იგი 14 წლისაა, ძალიან ნიჭიერი – თავის ასაკში პირდაპირ ფანტასტიკური შედეგით გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 11 პარტიაში 9,5 ქულა მოაგროვა.

იმის დასამტკიცებლად კი, თუ როგორ დიდ სტრატეგოსად რჩება დღევანდელი ნონა გაფრინდაშვილი, ჟურნალს მოჰყავს მის მიერ პოლონელ საერთაშორისო ოსტატ ტომაშ მარკოვსკისთან შესანიშნავი სტილით მოგებული პარტია.

მოამზადა
გივი თხინვალელმა.

კალათბურთი

# ჩემპიონატი დასკვნით ფაზაშია

საქართველოს მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატი ვაჟ კალათბურთელთა გუნდებს შორის დასკვნით ფაზაში შევიდა. გუშინ ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა ორი მეოთხედფინალური შეხვედრა. ამ ეტაპზე გამარჯვებულად ის გუნდები ჩაითვლებიან, რომლებიც ორჯერ მოახერხებენ მეტოქის დამარცხებას.

პირველ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ რუსთაველის „აზოტი" და „მაქაბი". თავიდან მაქაბელები დაწინაურდნენ, მაგრამ, ჯაფარიძის შესანიშნავი თამაშის წყალობით, რუსთაველებმა მეტოქეს წინ გასვლის საშუალება არ მისცეს. თამაშის დაწყებიდან მეხუთე წუთზე „აზოტის" ცენტრალური თავდამსხმელის ანგარიშზე, უკვე 12 ქულა იყო. გაიმის შუაში, როცა „მაქაბი" წინ იყო ოთხი ქულის სხვაობით, რუსთაველებმა 9 უპასუხო ქულა ჩაუგდეს მეტოქეს და ხუთი ქულით გაიჭრნენ წინ – 27:22.

მატჩის მეორე გაიმში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – იაშვილის, ანდღულაძის და ფერიაშვილის ზუსტ ტყორცნებს ასევე ზუსტი ტყორცნებით პასუხობდნენ ბოისა, ბერუაშვილი და ჯაფარიძე და თითქმის მთელი მეორე ნახევრის მანძილზე რუსთაველები 14-15 ქულაზე ახლოს არ უშვებდნენ მეტოქეს.

მატჩის მიწურულს აზოტელები ოდნავ მოეშვნენ და მეტოქეს ამით საშუალება მისცეს რამდენადმე შეემცირებინათ ანგარიშში სხვაობა. 95:84 – ასე დამთავრდა შეხვედრა.

ამის შემდეგ მოედანი მეორე მეოთხედფინალურ წყვილს დაუთმო, რომელშიც ერთმანეთის სტუდენტური გუნდები თსუ და სდასუ ხვდებოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო ეს შეხვედრა უფრო დაძაბულად წარიმართა. თსუ-ს რიგებში პირველად გამოჩნდა ამერიკიდან დაბრუნებული არჩილ ხელაშვილი. მატჩის დასაწყისში თსუ-მ მცირე უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ სდასუ-მ შეძლო გარდატეხის შეტანა და ჩერქეზიშვილის ორი ზუსტი ჯარიმის შემდეგ ანგარიში გაუთანაბრდა – 20:20. ამის შემდეგ კვლავ თსუ-მ იძლაერა და შესანიშნავად მოთამაშე ბაბიაშვილის წინამძღოლობით გაიმი 8 ქულით მოიგო – 36:28.

ძირითადი დროის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე 5 პერსონალური ჯარიმის გამო მოედანი დატოვა თსუ-ს გამთამაშებელმა ელენგმა, მანამდე კი ამავე მიზეზით – ხელაშვილმა. ერთი წუთის შემდეგ იგივე ბედი გაიზიარა ცხვედიანმაც და თსუ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თანაც შესანიშნავად ჩაატარა მეორე ნახევარი სდასუ-ს გამთამაშებელმა ჩერქეზიშვილმა და თსუ-ს უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე სანაძის სამქულიანის შემდეგ თსუ მხოლოდ 1 ქულით იყო წინ, მაგრამ სდასუ-მ მეტი ველარ მოახერხა და დამარცხდა – 73:76.

იაგო სავანელი.



სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრის მომენტი.
ალექსანდრე ქოტორაშვილის ფოტო.

ძიუდო

# ცხრა გუნდის მონაწილეობით



გლდანში, ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის საჭიდაო დარბაზში გაიმართა 1983-1984 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა გუნდური პირველობა. მონაწილეობდნენ აჭარის, იმერეთის, „ლოკომოტივის", ქვემო ქართლის, მართვეს, კახეთის, „დინამოს", სამეგრელოს, „შევარდენის" და ოლიმპიური სასწავლებლის ჭაბუკები. 2 ჯგუფში პირველი-მეორე ადგილები და ფინალური შეხვედრების საგზურები 2-დღიანი პაექრობის შემდეგ მოიპოვეს იმერეთის, „შევარდენის", ქვემო ქართლისა და მასპინძლების ოლიმპიური სასწავლებლის ძიუდოისტებმა. რა თქმა უნდა, სასურველი იყო ასპარეზობაში გვენახა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუნდები. თუმცა, ზოგიერთი რეგიონი თავის შეჯიბრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. კახეთის გუნდი, მაგალითად, მხოლოდ საგარეჯოელი მოჭიდავეებით იყო წარმოდგენილი...

ფინალი მაისობის ზეიმის წინა დღეს გაიმართება გლდანში. გუნდური შეჯიბრების დროს გავესაუბრეთ საქართველოში ძიუდოს ბერმუხას, დამსახურებულ მწვრთნელს ბიძინა მამიაშვილს:

– ეს ჭაბუკები ჩვენი ძიუდოს „ანკარა წყაროები" არიან, ამათ უნდა მივხედოთ. გუნდურ პირველობაში მოჭიდავე, ჯერ ერთი, საკუთარი წარმატებისთვის იბრძვის, პლუს ამას გუნდის ინტერესებისათვის, რითაც მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს. ხომ ხედავთ, რა აჟიოტაჟია მაყურებლებში, თქვა ბატონმა ბიძინამ და ძველი ამბებიც გაიხსენა:

– რა დამავიწყებს 1964 წელს. გუნდურ პირველობებს, მოგეხსენებათ, ყოველთვის მძიმეწონოსნები წყვეტდნენ. გერმანიის ქალაქ ესენში ევროპის გუნდური ჩემპიონატის ფინალში ფრანგებს ვხვდებოდით. თუ ჩვენი ანზორ კიკნაძე მძიმე წონაში ბოლო შეხვედრას 17 წამში მოიგებდა, გამარჯვება ჩვენი იყო, თუ არა და – ფრანგების... ტატამზე გასვლის წინ ამას აცხადებს შეჯიბრების დიქტორი. გაისუსა დარბაზი, დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გადიან ტატამზე ანზორი და მისი ფრანგი მეტოქე, ესალმებიან ერთმანეთს. გაისმის მსაჯის შეძახილი „ჰაჯიმე"! (დაიწყე) და იქვე ამბობს „იპონ"! (სუფთა გამარჯვება). უცებ ლამ მოჰკრა თვალი ფრანგის ფეხებს პაერში. გაბლიშე კი დაიწერა – 2 (!) წამში გაიმარჯვა ანზორ კიკნაძემ. ეს იყო ნამდვილი რეკორდი და გმირობა.

რამდენიმე წლის წინ დავიწყე ცხონებული ანზორ კიკნაძის სახელობის ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირების გამართვა, სადაც გამოჩნდნენ შემდგომში მსოფლიო ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი. დარწმუნებული ვარ, გლდანის გუნდური შეჯიბრების ტრადიციად გადაქცევა დიდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ძიუდოს, – დასძინა ბატონმა ბიძინა მამიაშვილმა.

გაბრიელ ბარჯაძე.

ყოველი მხრიდან

## მარადონა არ დაბრუნდება

ალბათ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ახსოვთ, სულ ცოტა ხნის წინ ვწერდით, რომ მარადონა ისევ, უკვე მეშვიდედ, აპირებს დიდ ფეხბურთში დაბრუნებასო. მაგრამ სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, ჩვეულებისამებრ, ისევ შეცვალა გადაწყვეტილება. როგორც მისმა ადვოკატმა გილერმო კოპოლამ განაცხადა: ახლა მაინც და მაინც ხელსაყრელი დრო არ არის მეორე დივიზიონის კლუბთან „ოლ ბოიზსან" კონტრაქტის გასაფორმებლად, ვინაიდან დიეგოს სხვა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს აუცილებლად გადასაჭრელიო.

იქიდან კი მთავარია შემდეგი: გასული კვირის ბოლოს იტალიის სასამართლომ არგენტინის ნაკრების ექსკაპიტანი დაადანაშაულა ალიმენტისაგან თავის არიდებაში – მას ქორწინების გარეშე შვილის დიეგო არმანდო უმცროსის უკვე 400 მილიონი ლირა (221000 დოლარი) მართებს. ეს თანხა დაგროვდა 5 წლის მანძილზე – ჯერ კიდევ 1992 წელს ნეაპოლის სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნების შემდეგ დამტკიცებული მამობისათვის მას ყოველთვიურად 5 მილიონი ლირას (2770 დოლარის) გადახდა დააკისრა. ფეხბურთის დიდოსტატს აპელაციამაც არ უშველა.

ახლა უმცროსი დიეგო 12 წლისაა, მასთან უკვე გააფორმა საუნიორო ხელშეკრულება „ნაპოლიმ". მასში ისე ნათლად ჩანს დიდი ფეხბურთელის გენები, რომ მის ამ ქვეყნად მოვლინებაში მარადონას მონაწილეობა უდავოა.




უძღვება
ანზორ ბასილაია.

ღირსეულნი

# კეთილ საქმეთა მოთავე

ჯერ ქალაქ ხაიფაში, შემდეგ კი ქალაქ ხოლონში ჩამოყალიბა ქართული თეატრი და ისრაელის ქართულენოვან მოსახლეობას აცნობს, როგორც ქართული მწერლობის კლასიკოსთა, ასევე თანამედროვე ავტორთა ქმნილებებს. ისრაელში ქართულენოვანმა მაყურებელმა შეიყვარა დავით ხუბელაშვილის, როგორც სამსახიობო, ასევე სარეჟისორო ხელოვნება.

როგორც ყოველთვის, კეთილი საქმე უკვალოდ არ ქრება. მისი მოღვაწეობა საქართველომ ღირსების ორდენით აღნიშნა. ვინაიდან ბატონი დავითი შორს არის ჩვენგან და პირადად მასთან შეხვედრის საშუალება არა გვაქვს, მივმართეთ სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილეს თამაზ ყიფიანს.

*— ბატონო თამაზ, სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის მკითხველი ნაკლებად იცნობს დავით ხუბელაშვილის მოღვაწეობას, იქნებ დაგვეხმაროთ და თქვენ გვიამბოთ მის შესახებ.*

— დავით ხუბელაშვილი წარმოშობით აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნიდან არის, იქვე დაამთავრა სკოლა, შემდეგ კი ფოთის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდია. ცეკვავდა ფოთის ოფიცერთა სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. მალე თავად იწყებს ცეკვების დადგმას; ხობის ანსამბლში ცეკვა „საბრალეს“ დადგმისათვის თბილისში საქალაქთაშორისო ფესტივალზე დაიმსახურა ქების სიგელი და ფულადი პრემია. ამავე პერიოდთან არის დაკავშირებული მისი პირველი სცენური ნათლობა, როგორც მსახიობისა. ფოთის თეატრის სცენაზე განასახიერა კინტოს როლი კომედიაში („რაც გინახავს, ველარ ნახავ“), შემდეგ თეთრგვარდიელი პიესაში („ნიკო ნიკოლაძე“).

ათი წლის მანძილზე ბატონი დავითი ფოთის თეატრის დირექტორის მოადგილე იყო.

1972 წელს იგი ოჯახითურთ საცხოვრებლად მიემგზავრება ისრაელში. ჩასვლისთანავე დავით ხუბელაშვილმა ქალაქ ხაიფაში ექვსკაციანი დასი ჩამოაყალიბა. ამ პატარა ქართულმა თეატრმა, პირობების მიუხედავად, წარმატებით დაიწყო სპექტაკლებისა და კონცერტების გამართვა, რასაც მაყურებლის აღიარება მოჰყვა. ისრაელის კულტურის სამინისტრომ კი თეატრს დაუნიშნა დოტაცია და საქართველოს ებრაელთა დრამატული თეატრის სტატუსი მიაკუთვნა.

ისრაელში ქართულენოვანი თეატრის დაარსებისათვის ბატონმა დავითმა დაიმსახურა ქ. ბიალიკის მუნიციპალიტეტის საპატიო სიგელი. ამას მოჰყვა კიდევ მრავალი სიგელი, სამახსოვრო მედალი თუ პრიზი. 1989 წელს დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

დღეს დავით ხუბელაშვილი ქალაქ ხოლონში ცხოვრობს და გერცელ ბააზოვის სახელობის ქართულენოვანი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მსახიობი და რეჟისორია.

ისრაელის თეატრის სცენებზე მან განასახიერა მრავალი როლი: დათა („დათა თუთაშხია“), დანიელი („მუნჯები ალაპარაკდნენ“), ძუკუ ხაინდრავა („ვალი“), აბრაამი („მშვიდობით, ჩემო სოფელო“), ცები („ჩვენი ოჯახი“), ქურდი („ინფლაცია“), აპოლონი („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“). ამ უკანასკნელის შესრულებისათვის ბატონ დავითს ისრაელის ვარსკვლავის წოდება მიენიჭა.

ასევე, ნაყოფიერად მუშაობს დავითი რეჟისორის ამპლუაში. მან მნიშვნელოვნად დადგა პიესები ი. მაღლაკელიძის „მეგობრები“, ჯ. აჯიაშვილის „გამოიღვიძე ქნარო“, ა. მამისთვალოვის „გაერთიანება“, დ. ბოთერაშვილის „მშვიდობით, ჩემო სოფელო“, დ. ხუბელაშვილის „„უპროფესიო კაცი“, „შეხვედრა ლოდის აეროპორტში“, „თბილისის სურათები და მოგონებები ისრაელის ცის ქვეშ“, ლ. შილორაძის „ყიმანიელი ბრძენი“. ამჟამად მუშაობს გ. ბათიაშვილის პიესაზე „სიონისაკენ, სიონისაკენ“.

*— ბატონი დავითი ქართული პოეზიის უბადლო დეკლამატორიც ყოფილა...*

— ისრაელში ჩასვლისთანავე მან მიზნად დაისახა ქართული სიტყვის აჟღერება სცენაზე, რასაც ჩინებულად გაართვა თავი. უწინარესად, იგი თავად კითხულობს ქართველ პოეტთა ლექსებს, ასე რომ, შორეულ ქვეყანაში ქართულ პოეზიას შესანიშნავ პროპაგანდას უწევს.

ყოველივე ამის გარდა, ბატონი დავითი საქართველოდან გამოსულთა საერთაშორისო ცენტრისა და ჟურნალ „დროშის“ ადმინისტრაციულ განყოფილებას განაგებს.

მას სცენის პატრიარქს უწოდებენ. გამოჩენისთანავე სიარულით, მოძრაობით, გამოხედვით იგი ნათლად ქმნის თავისი გმირების შინაგან თუ გარეგან ხასიათებს.

არიან ადამიანები, რომლებიც ხელოვნებაშიც ქმნიან ეპოქას, ალბათ, მემატიანე, ისრაელში ქართულენოვანი თეატრის ეპოქას ბატონი დავით ხუბელაშვილის სახელით დაიწყებს.

ბატონი დავითი უამრავ კეთილ საქმეთა მოთავეა. და ეს დამსახურებული ავტორიტეტი აქვს მოპოვებული როგორც თავის თემში, ასევე ადგილობრივ მკვიდრთა შორის.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

—

— გალიაში მსხდომთაგან ხელს კატეგორიულად ვერავის დაუდებ. დიდი დრო გავიდა. შეიძლება შევცდე.

— გამორიცხულია, რომ მკვლელთაგან რომელიმე აქ იჯდეს?

— არა, გამორიცხული არ არის!

გიული ურუშაძის განმარტებით, იმ დღეებში სოლიკო ხაბეიშვილი არავის ემდუროდა, არც ვინმეს ტელეფონით ურეკავდა რაიმე განსაკუთრებულ საქმეზე. განსასჯელთაგან თუ ვისთან ჰქონდა ურთიერთობა, ესეც არ იცის. ახსოვს მხოლოდ ერთი ეპიზოდი, როცა მისი ქმარი გიგა გელაშვილს შეხვდა. მგონი, საქმე ეხებოდა ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნების ამუშავებასო.

გიგა გელაშვილმა თქვა, რომ სოლიკო ხაბეიშვილთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. დამეხმარა კიდეც ბაკურიანის საბაგირო გზის ამოქმედებაშიო. მერე თავად დამიბარა, — ბორჯომის წყლის ბიზნესში თავისი შვილის ჩართვა სურდაო. გიული ურუშაძემ სიტყვა შეაწყვეტინა:

— მეორედ ეგ აღარა სთქვათ. ჩემი შვილი ექიმია, პროფილით მუშაობს, რა უნდოდა ბორჯომის წყლის ბიზნესში?..

სასამართლო პროცესზე რამდენჯერმე ითქვა, რომ სოლიკო ხაბეიშვილის სამუშაო კაბინეტში იპოვეს ხელყუმბარები და უხმო ავტომატები. დაზარალებულმა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ჯიმი მიქელაძის სიტყვები მოიშველია და ეს ჭორიც გააქარწყლა:— მისი სეიფი ცარიელი იყო! საერთოდ კი, სოლიკო ხაბეიშვილს ერთხელ, აფხაზეთის ომის დროს, ჩეხოსლოვაკიიდან იარაღი ჩამოუტანია და პირწმინდად თავდაცვის სამინისტროსთვის ჩაუბარებია!

— მაინც ვის უნდა მოეკლა თქვენი ქმარი? იქნებ, ეჭვი გაქვთ ვინმეზე...

— ეჭვი გვაქვს იმათზე, ვინც ადრე ჩემი ქმარი ციხეში ჩასვა. ორგანიზატორები ისინი არიან. ამათ შეიძლება შეკვეთა შეასრულეს...

— რას ითხოვთ სასამართლოსგან?

— სრული ჭეშმარიტების დადგენას!...

მეორე დაზარალებული სოლიკო ხაბეიშვილის ვაჟი — გიორგი ხაბეიშვილი გახლდათ. იგი დილდილაობით ხშირად მისდევდა მამას. მაინცდამაინც იმ დღეს არ გაჰყვა, — სამსახურში არ ეჩქარებოდა. წივილ-კივილზე გამოსულა საძინებლიდან. ძირს ჩამოვარდნილა, მამა უკვე მკვდარი ყოფილა, დედა შინ აუყვანია...

— იმხანად მამათქვენი ვინმეს ემდუროდა?

— ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— უნდოდა თქვენი ჩართვა ბორჯომის წყლის ბიზნესში?

— პირველად მესმის!

— გსმენიათ მამათქვენის რაიმე ჩანაწერების შესახებ ცეცხლსასროლ იარაღზე?

— ახლახანს გავიგე...

სასამართლო პროცესზე უკვე ინტენსიურად მოდიან დაზარალებულები, — შაოსანი ქალები. გუშინ პირველად ჩამოიღვარა მდულარე ცრემლებიც...

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

სასამართლო




## ნუ გვაშინებთ!

განსასჯელები ცოტა მოფერიანდნენ, მაგრამ გალიაში ჯდომა მაინც არავის ეპიტნავება. ჯაბა იოსელიანის განთავისუფლების შესახებ ჩვენმა საზოგადოებრივმა დამცველებმა განცხადება წარუდგინეს ევროპელ ომბუდსმენებს, რომლებიც ახლა თბილისში იმყოფებიან. ადვოკატმა ლილი მხეიძემ კი ხელახლა აღძრა შუამდგომლობა მამუკა ომხერელის აღმკვეთი ღონისძიების შესაცვლელად.

— ყველა განსასჯელი დაიკითხა, — თქვა ადვოკატმა, — ომხერელს ბრალს არავინ სდებს. ჩვენ არა გვყავს დაზარალებული. არის ერთადერთი მოწმე — მისი სიმამრი გიორგი კერესელიძე. იგი პროცესზე ვერ მოვა. ინფარქტი გადაიტანა, რთული ოპერაცია გაიკეთა. არა მარტო ჩვენი კონსტიტუციით, არამედ საერთაშორისო კონვენციებითაც კი მას ეკუთვნის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა. სასამართლო კოლეგია ვალდებულია გაუშვას იგი. მე უკვე მივმართე დავით სალარიძეს, რუსუდან ბერიძეს. ახლა მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

— ნუ გვაშინებთ! — გააფრთხილა ჯემალ ლეონიძემ.

— დიდი-დიდი ხუთი წელი მისაჯოთ, ნახევარი უკვე შის, გაუშვით, სად გაგექცევათ, — თქვა ჯაბა იოსელიანმა.

— მამუკა ომხერელი ავადაა, მისი ჯანმრთელობა საგანგაშოა, ესეც გაითვალისწინეთ, — დაამატა გიგა გელაშვილმა.

— წინასწარი გამოძიებისას ომხერელმა ყველაფერი გულწრფელად აღიარა. აქ კი გადათქვა, არ მოინანია, — მაგისი გაშვება არ შეიძლება, — მოსჭრა პროკურორმა გივი ხაბაშვილმა.

და არც გაუშვეს!

## შვილს ვინ გამიცოცხლებს?

ემზარ ბახტაძე გია გულუას მძღოლი გახლდათ. გენერალთან ერთად ისიც მანქანაში ჩაცხრილეს. დარჩა მეუღლე, ორი შვილი. როგორც ყველა სხვა დაზარალებულს, ისე ემზარ ბახტაძის დედას — მარიამ ბახტაძეს ჰკითხეს:

— რას ითხოვთ სასამართლოსგან?

— მე რა უნდა მოვითხოვო... შვილს ვინ გამიცოცხლებს... კანონით იმოქმედეთ!..

გამწარებულმა დედამ კატეგორიულად მორალური ზარალის ანაზღაურებაც არ მოითხოვა. პროკურატურის წარმომადგენლები კი დაზარალებულებს მატერიალური საბრალების ანაზღაურებაზეც ეკითხებიან. პასუხი ჯერჯერობით ერთია:

— რას ამბობთ, რაზეა ლაპარაკი!

ყველა მკვლელობა, რომელიც ამ პროცესზე იხილება, ჩადენილია განზრახ, წინასწარი ფიქრებით...

ჩვენმა დიპლომატმა გიგა მახარაძემ შემთხვევით იმსხვერპლა ამერიკელი გოგონა. 7 წლიწადი მიუსაჯეს. და კიდევ — 15 მილიონი დოლარი მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს.

ისინი ითხოვენ, — თავიანთ უფლებას იყენებენ!

ჩვენ არ ვითხოვთ, — ჩვენს უფლებას არ ვიყენებთ და მაინც არა ვნანობთ!

**ბონდო გულიაშვილი.**

წიგნი

# „ყოველივე უნდა დაიწეროს მხოლოდ სიმართლის აღდგინებით“

ამ სახელწოდებით და ეპიგრაფებით — შოთა რუსთაველისა: „სად წაიყვან სადაურსა, სად ალუფხერი სადით ძირსა“, და ნიკოლოზ ბარათაშვილისა: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“ — გამოდის **ლევან სანიკიძის** ახალ წიგნთა სერია. უკვე გამოვიდა და მკითხველს მიერთმევა პირველი წიგნი, რომლის შესავალში, ანუ „წინაბჭეში“ვკითხულობთ:

„ამ წიგნთა გმირები სწორედ ისინი არიან, ვისაც კი, სხვადასხვა მიზეზით, თავისი საწუთისოფლო ცხოვრება სამშობლო ქვეყნის გარეთ, უცხო მიწაზე დაუსრულებია და იქვე დაკრძალული, უცხო მიწადვე დამიწებულა.

ასეთი „გაუცხოებული“, თუ უცხოდ „ალუხერილ-დამიწებული“ შვილი ბევრი ჰყოლია საქართველოს. ვინ რა მიზეზით წაუყვანიათ, თვითონ წასულა თუ გადახვეწილა სამშობლოდან უცხო მხარეში, ვინ რას იქმოდა საპირადო თუ საქვეყნო საქმედ, ვის რა ღვაწლი და სახელ-დიდება უმრავლებია მისგან დატოვებული სალოცავი სამშობლოსათვის, თუ იმავ უცხო ქვეყნის („დედინაცვალი“) და „უცხო თესლისთვის“, — ვის კიდევ, ნებით თუ უნებლიეთ, რა ენება და აუგი „უწყარმოებია“ მისი „უმადური საქართველოსთვის“...

და, კვლავაც, ყოველივე უნდა დაიწეროს მხოლოდ სინამდვილის, მხოლოდ სიმართლის აღდგინებით; მამასადამე, კვლავაც მხოლოდ ჭეშმარიტი ისტორიის მორალური პოსტულატით — Sine ira et studio — „გაანჩხლებისა და მიკერძოების გარეშე“.

ასე „გაუცხოებულ ქართველთა“ სიმრავლემ წიგნთა სერია მოითხოვა. წინამდებარე პირველმა წიგნმა IV-XVII საუკუნეები მოიცვა; მომდევნო საუკუნეებს კიდევ ორი (თუ სამი) ტომი მიეძღვნება.

სამშობლო ქვეყნიდან ძალით მოკვეთილ, თუ თვითმოკვეთილ ქართველს ერთი მუჭა მშობლიური მიწა მიჰქონდა, ყელზე მესკვნილი. და ამ „ტრილოგიის“ (თუ „ტეტრალოგიის“) მთავარი, ლაიტმოტიური სიმბოლიკაც ეს უნდა იყოს:

**რას იწონიდა ასე მუჭა-მუჭად საქართველოდან გატანილი საქართველო**, განკვეთილ-გაუცხოებული ქართველისთვის პიროვნულად, თუ თვითონ საქართველოსთვის საერთოდ?!

**რას იწონიდა, რას-მეთქი (და არა — რამდენს)??!!**

და ამის განსჯა და „აწონვა“ იმის კვალობაზე, თუ როგორ მკერდზე ეკიდა, როგორ გულთან ერთად თრთოდა და, ბოლოს იმ მკერდთან და გულთან ერთად მიწდებოდა ის განკვეთილი მუჭა-საქართველო“...

მაშ, ახალ წიგნთა სერია იწყება IV საუკუნით (ბაკურ იბერიელი) და სრულდება XX საუკუნით (ლავრენტი ბერია).




სიახლე

# ბავშვთა მეგზური




ლოგოპედიური სკოლა ერთადერთია საქართველოში, სადაც მეტყველების მძიმე დარღვევის მქონე ბავშვები სწავლობენ. მათ მეტყველების განუვითარებლობის ფონზე გონებრივი განვითარება აქვთ შეფერხებული და, ხშირ შემთხვევაში, დარღვეული აქვთ აგრეთვე, წერა-კითხვის უნარიც. ასეთ ბავშვებს სრულყოფილი წერა-კითხვის დაუფლებისათვის საგანგებო სახელმძღვანელო და მუშაობის განსაკუთრებული მეთოდი სჭირდებათ.

ახლახანს, გამომცემლობა „განათლებამ“ „ინვალიდ ბავშვთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის ასოციაციის“ მიერ საერთაშორისო ფონდის „ISAR საქართველოს“ ხელშეწყობით მეტყველების მძიმე დარღვეულ ბავშვებისთვის შესანიშნავად გაფორმებული „დედა ენა“ გამოსცა, რომლის ავტორები არიან: მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თინა ფერაძე-აბაშიძე, სკოლის ლოგოპედ-მასწავლებელთა დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანების მეთოდისტი ლერა სარალიძე, სკოლის ლოგოპედ-მასწავლებელი ლამარა ნებიერიძე და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ალბერტ ქელბაქიანი.

სახელმძღვანელო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული. იგი იაკობ გოგებაშვილის ანალიზურ-სინთეზურ მეთოდზეა აგებული განსხვავებული ანბანთწყობით. ასო-ბგერათა თანმიმდევრობა მათი წარმოთქმის სიადვილის მიხედვით არის დალაგებული. წიგნი ლოგოპედიური სკოლის მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასებისთვის არის განკუთვნილი. იგი სამი ნაწილისგან შედგება: წინასაანბანო პერიოდის, საანბანო პერიოდისა და ანბანის შესწავლის შემდგომი პერიოდისაგან.

წიგნის მაკეტი ათი წლის განმავლობაში იდო გამომცემლობა „ცოდნაში“ და უსახსრობის გამო მისი დაბეჭდვა ვერ ხერხდებოდა.

პრეზენტაციაზე სკოლის დირექტორმა ნინო ზაქარეიშვილმა „დედა ენის“ გამოცემა ლოგოპედიის ისტორიაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა. ისაუბრა პედაგოგთა რუდუნებით აღსავსე შრომაზე, რომლებიც წლების განმავლობაში ხელით უწერდნენ და ისე ავრცელებდნენ სახელმძღვანელოს მოსწავლეებში.

აღნიშნული გამოცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლოგოპედიური სკოლის მოსწავლეებისთვის, — არამედ ყველა დაწყებითი სკოლის პედაგოგისა და მშობლისთვისაც.

**მაია ასაკაშვილი.**

ჟურნალი

# წაიკითხეთ!

გამოვიდა ჟურნალ „რელიგიის“ ამა წლის პირველი-მეორე ნომერი ერთ წიგნად (მთავარი რედაქტორი — ვიქტორ რცხილაძე).

განყოფილებაში „ღვთისმეტყველება, ქართული ეკლესიის ისტორია“ — დაბეჭდილია ზურაბ კიკნაძის „გამოსვლათა წიგნი“ (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 1997 წ. № 4, 5, 6). დავით მერკვილაძის „ასურელ მამათა აღმსარებლობა“, ელდარ მამისთვალიშვილის „საქართველოს იერუსალიმთან ურთიერთობის მოტივები ძველ ქართულ მწერლობაში“, ხოლო განყოფილება „ქრისტიანობისა და ისლამის პოლემიკის ისტორიიდან“, წარმოდგენილია ბორის დარჩიას სტატიით „იაკობ შემოქმედელი — პოლემიკოსი მწერალი“.

„ფილოსოფია და მისტიკაში“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ორ სტატიას, ესენია: თინათინ ბოჭორიშვილის „სიცოცხლის საზრისის პრობლემა თანამედროვე პროტესტანტიზმსა და ნეოთომიზმში“ და ელისო ლაკვეხელიანის „ფლობისა და ყოფნის კონცეფცია მარსელ ეპარტთან“.




მეუღლე თალიკო კაველიძე, შვილები ზეზვა, ლელა, დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზურაბ ივანეს ძე ლოლაძე
პანაშვიდი 26, 27 III, 5 ს. დაკრძალვა 28 III, 3 ს. ი. ნიკოლაძის ქ. № 7.

შვილები ლიანა, დარეჯან, ავთანდილ ჩიქვინიძეები, ძმა ნიკუშა მშვილდაძე, რძალი დოდო ამირანაშვილი, შვილიშვილები ცოტნე, რატი, მულები ქეთო, ლეილა, მაზლები გივი, თენგიზ ჩიქვინიძეები, რძლები ნაზი კიწმარიშვილი, მედეა მესხი, მანანა დიასამიძე, სიძეები ნიკოლოზ კუჭუხიძე, ვახტანგ ბაჯაძე ოჯახებით, თამაზ ნაცვლიშვილი, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
ნატო კიმოთეს ასულ მშვილდაძე-ჩიქვინიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 III, 2 ს. ბაღდადის რაიონის სოფელ ქვედა დიმში.

შვილები მზია, გოჩა, სიძე რევაზ გორგილაძე, შვილიშვილი თამარ გორგილაძე, სიძე მამუკა კელაურაძე, შვილთაშვილები თინათინ, ანი კელაურაძეები, ძმისწულები, დისწულები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამარ ზაქარიას ასული ჩიტაიშვილი-ჩიმაკაძე
პანაშვიდი 25 III, 5 სთ. გამოსვენება 26 III, 2 სთ. ფალიაშვილის 80.



შვილები გივი, გიორგი, ალა წურწუმიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ევგენია (ნინა) სპირიდონის ასული
მაჭავარია-წურწუმია
პანაშვიდი 28, 29 III, 4 ს. გამოსვენება 31 III, 3 ს. დავით აღმაშენებლის 147, ბინა 25.

მეუღლე ლიანა კაპანაძე, შვილები ინგა, არჩილ ნემსაძეები, რძალი ილონა მაისურაძე, დედა ია წივწივაძე, და თინათინ ნემსაძე, სიძე კონსტანტინე ბოკუჩავა, სიდედრი ნინა კაპანაძე, სიმამრი ემილ ჯორჯიკია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ირაკლი ნემსაძე
პანაშვიდი 27, 28 III, 4 ს. დაკრძალვა 29 III, 3 ს. ნაფარეულის ქ. 3 ა

თბილისის მე-60 საშუალო სკოლის 1966 წლის X² კლასის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
თამაზ ზურაბიშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რადიომაუწყებლობისა და ინფორმაციის კაბინეტის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
რუსუდან დომენტის ასული ბახტაძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა სამძიმარს უცხადებს პარლამენტარ შალვა ნათელაშვილს ძმის
ირაკლი ნათელაშვილის
გარდაცვალების გამო.

**საქართველოს იუსტიციის საბჭო აცხადებს ღია კონკურსს მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის (მანტიის) მოდელის შესაქმნელად**

1. კონკურსის მიზანია მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის (მანტიის) მოდელის შექმნა;
2. კონკურსი ტარდება ორ ტურად:
პირველ ტურზე წარმოდგენილი პროექტებიდან შეირჩევა სამი;
მეორე ტურში მონაწილეობენ პირველ ტურში გამარჯვებულები და ასრულებენ პროექტის შესაბამის მოდელს;
3. კონკურსის მეორე ტურის მონაწილეთათვის გაიცემა მოდელისათვის საჭირო მასალები;
4. კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მანტიის ესკიზი (ჩანახატი) ფორმატი A-3; ნახაზი ფორმა A-4 და განმარტებითი ბარათი ხარჯთაღრიცხვით;
5. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს 1998 წლის 27 აპრილს 11-დან 17 საათამდე საქართველოს იუსტიციის საბჭოში;
6. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:
პირველ ტურში — სამი პრემია თითოეული 500 ლარის ოდენობით;
მეორე ტურში — ერთი პირველი პრემია 1500 ლარის ოდენობით
და ორი წამახალისებელი პრემია 600-600 ლარის ოდენობით;
7. კონკურსში მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კონკურსის პირობების მიღებისას, აუცილებელია მონაწილეთა ანონიმური რეგისტრაცია.
8. კონკურსთან დაკავშირებულ ყველა განმარტებას და პირობებს იძლევა კონკურსის მომწყობი — საქართველოს იუსტიციის საბჭო.

**მისამართი: ქ.თბილისი,
დავით აღმაშენებლის № 80,
საქართველოს იუსტიციის საბჭო,
ტელ.: 95-81-74, 95-75-64.**

**საქართველოს იუსტიციის საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს — მოსამართლის თანამდებობრივი განმასხვავებელი ნიშნის ესკიზის შესაქმნელად:**

1. კონკურსის მიზანია სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს — მოსამართლის თანამდებობრივი განმასხვავებელი ნიშნის ესკიზის შექმნა;
2. კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სიმბოლოს ესკიზი ფერში — ფორმატი A-3 და განმარტებითი ბარათი;
3. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს 1998 წლის 27 აპრილს 11-დან 17 საათამდე საქართველოს იუსტიციის საბჭოში;
4. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია:
ერთი პირველი პრემია — 1200 ლარი;
ერთი მეორე პრემია — 700 ლარი;
ერთი მესამე პრემია — 400 ლარი;
5. კონკურსში მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კონკურსის პირობების მიღებისას, აუცილებელია მონაწილეთა ანონიმური რეგისტრაცია.
6. კონკურსთან დაკავშირებულ ყველა განმარტებას და პირობებს იძლევა კონკურსის მომწყობი — საქართველოს იუსტიციის საბჭო;

**მისამართი: ქ.თბილისი.
დავით აღმაშენებლის № 80.
საქართველოს იუსტიციის საბჭო.
ტელ.: 95-81-74. 95-75-64.**

**განცხადება**

სააქციო საზოგადოება ფირმა „თათმანში“ 1998 წლის 7 აპრილს 12 საათზე მოწვეულია აქციონერთა საერთო კრება. ყველა აქციონერის დასწრება სავალდებულოა.

სს ფირმა „თათმანის“ დირექტორატი

**ქუთაისის სს „წისქვილის“ აქციონერთა კრების ჩატარების ვადის გადატანის შესახებ**

მიმდინარე წლის 27 მარტს გამოცხადებული აქციონერთა კრება არ შედგება. კრების ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი გამოცხადდება პრესაში.

სამეთვალყურეო საბჭოს დირექცია

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ. 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.